რეფორმა აუცილებელია! A3

კაპიტალის ბაზრის განვითარება პრიორიტეტული ეკონომიკური ამოცანაა A8

ტერორი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 7 იანვარი, 2005 წელი. №3 (863)

ფასი 50 თეთრი

გილოცავთ ზოგას!

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"წავიდეთ, ერთად ვილოცოთ!"

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ერთად ლოცვის მოწოდებით ამოწურა ხანმოკლე ინციდენტი სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს შორის, რომლებმაც პრეზიდენტის უკრაინაში სტუმრობის დროს გამოიჩინეს თავი. დიპლომატიური გამოუცდელობისა თუ საკუთარი დამოუკიდებლობის ჩვენების სურვილის გამო, ირაკლი ოქრუაშვილმა და გიორგი ბარამიძემ პრესკონფერენციებზე ერთმანეთის მისამართით ისეთი განცხადებები გააკეთეს, რომ ავმა ენებმა მთავრობაში განხეთქილებაზეც კი დაიწყეს საუბარი. ამას მოჰყვა მათი საგანგებო გამოძახება პრეზიდენტთან. შეხვედრაზე, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც ესწრებოდა, ჩვენი გმირების ოფიციალური განცხადებებით ყველაფერი გაირკვა. გთავაზობთ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას და ოქრუაშვილ-ბარამიძის ცხელ-ცხელ კომენტარებს სტენოგრაფიული სიზუსტით.

გაგრძელება A2 გვერდზე

"რას ჰგავს ეს?"

კინკლაობა პრესკონფერენციებით

ვერიკო თევზაძე

"ნამდვილად არ ეკადრება არავის, მით უმეტეს, ჩემს კოლეგას, სხვადასხვა პიარ-ტრიუკებით წარმოაჩინოს, რომ გიორგი ბარამიძე პატიოსანია (გმადლობთ, დიდი მადლობა!), მაგრამ სულელია, აზრზე არ არის, რა ხდებოდა მის სამინისტროში. ყველამ ბოდიში მოიხადოს და პირში წყალი გამოივლოს, სანამ ასეთ რამეს იტყვის... ირაკლი ოქრუაშვილს არ აქვს უფლება, მოისხას პროკურორის მანტია და ილაპარაკოს იმაზე, რომ მას აქვს სურვილი, ერთ თვეში ხალხი ციხეში იჯდეს. ვინ მისცა მას ეს უფლება? რა ევროკავშირში გაწევრიანებაზე და ევროინტეგრაციაზე, რა ცივილურობაზე ვლაპარაკობთ ჩვენ? მე მგონი, ის ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა პროკურორის როლიდან. მოსამართლეა თუ პროკურორი, რას ჰგავს ეს?"

გაგრძელება A2 გვერდზე

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმოწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად 70,20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად 124,80 ლარი.

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გაქნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი: ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

უცხოეთი

ცუნამით დაზარალებულს გაერთიანებული მსოფლიო აღადგენს



კოფი ანანი: ჩვენი დახმარება დროული და კარგად კოორდინირებული უნდა იყოს.

A5

საზოგადოება

კვამლი უცვეცხლოდ?

"მიუხედავად თავისი მასშტაბებისა, "თბილგაზი" იზოლირებულია ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო პროცესებისაგან", - აცხადებს დავით მორჩილაძე.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

ამინდი

	7/1	8/1
თბილისი	8	9
ქუთაისი	9	11
ბათუმი	12	13
სოხუმი	7	9
ფოთი	10	12
თელავი	7	8
ზუგდიდი	9	11
გორი	5	7
ახმეტა	6	8
ჭიათურა	7	8
გაგრა	5	8
სამტრედია	9	11

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7900
ევრო	2.3615
გირვანქა სტერლ.	3.3528
რუბლი	0.0645

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ტერორი B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

ხულიგნობაში ეჭვმიტანილი ყოფილი გენერალური დირექტორი დააკავეს

თითქმის სამთვიანი ძებნის შემდეგ პოლიციამ მოახერხა შპს "შუქნიშნის" ყოფილი გენერალური დირექტორის ლევან მგალობლიშვილის დაკავება, რომელიც 22 ოქტომბრიდან ხულიგნობის ბრალდებით იძებნებოდა.

შპს "შუქნიშნის" ყოფილ გენერალურ დირექტორ ლევან მგალობლიშვილზე ძებნა ოქტომბერში მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის საგამოძიებო ნაწილმა მას შემდეგ გამოაცხადა, რაც იგი დაუსწრებლად ცნეს ხულიგნობაში ეჭვნიტანილად.

გამოძიების მასალების თანახმად, ლევან მგალობლიშვილმა ფეხის არეში დაჭრა თელავის რაიონის სოფელ გულგულაში მცხოვრები თეიმურაზ კირიაკოვი და სოფელ კონდოლის მკვიდრი ივანე დარახველიძე. ორივე მათგანს სასწრაფო ოპერაციის ჩატარება დასჭირდა.

ინცინდენტი თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე, მგალობლიშვილის სახლის წინ მოხდა. 22 ოქტომბერს, მერიის მიერ დაქირავებული მუშები გზაზე ქვაფენილს აგებდნენ. იმისათვის, რომ კირიაკოვს და დარახველიძეს "თბილშუქნიშნის" გენერალური დირექტორის ეზოზე დამატებით ბორდიური გაეკეთებინათ, მისმა დედამ მუშებს 30 ლარი გადაუხადა. სწორედ ამ დროს სახლში დაბრუნდა მგალობლიშვილი. როგორც ჩანს, იგი აღაშფოთა იმან, რომ მუშებმა ფულის აღება გაბედეს და 30 ლარის უკან წართმევა მოინდომა. კირიაკოვმა და დარახველიძემ გაწეული შრომის ანაზღაურების საფასურის დაბრუნებაზე უარი თქვეს და კონფლიქტიც ამით დაიწყო. როგორც საავადმყოფოში დაკითხული დაზარალებულები აღნიშნავენ, მგალობლიშვილი მოულოდნელად სახლში გაიქცა, იარაღი გამოიტანა და ორივე მუშა ფეხში დაჭრა. კონფლიქტში სხვა მუშებიც ჩაერთვნენ, რომლებმაც გენერალურ დირექტორს იარაღი წაართვეს და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციაში ჩააბარეს. თავად მგალობლიშვილი კი შემთხვევის ადგილიდანვე მიიმალა. გუშინ იგი სამართალდამცველებმა აბაშაში დააკავეს.

ხულიგნობის დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, რაც სრულიად რეალურია, მგალობლიშვილს სამიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სანამ მგალობლიშვილი იძებნებოდა, გამოძიებამ გაარკვია, რომ მას არ ჰქონდა იარაღის შენახვის უფლება, შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ მას ბრალი ამ კუთხითაც წარედგინოს. ყოფილი გენერალური დირექტორის საქმეს, ალბათ, ისიც დაამძიმებს, რომ იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

24 საათი

"მაუდის" აქციონერები ბადრი პატარკაციშვილს დაუპირისპირდნენ

სახელმწიფო კანცელარიის წინსს "მაუდის" აქციონერებმა საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც "მედია-ნიუსთან" საუბრისას აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ როზა კოღოშვილმა განაცხადა, "მაუდი" 1998 წელს, ერთი ოთახის ფასად, 10 ათას დოლარად შეისყიდა ბადრი პატარკაციშვილმა და აქციონერებს სამართლებრივი უფლებები ჩამოერთვათ."

აქციის მონაწილეთა თქმით, სამართლებრივი უფლებები მათ ფარულად, ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ჩამოერთვათ, რომელსაც არც დასწრებიან.

ისინი სკანდირებდნენ "მიშა, მიშა" და აცხადებენ, რომ პრეზიდენტთან შეხვედრა სურთ. მათი მოთხოვნაა, დაუბრუნდეთ სამართლებრივი უფლებები და "მაუდი" ბადრი პატარკაციშვილს ჩამოერთვას.

მედია-ნიუსი

მეცნიერები ხელისუფლებას საპრივატიზაციო პოლიტიკას უწუნებენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილი საქართველოს ხელისუფლებას პრივატიზაციის პოლიტიკას უწუნებს და მთავრობის პირველ პირებს "მონოპოლისტური კაპიტალიზმის" დამკვიდრებაში ადანაშაულებს.

მეცნიერების უკმაყოფილებას ს.ს. "ჭიათურმანგანუმის" კერძო პირზე გასხვისების პერსპექტივა იწვევს. ისინი ხელისუფლებას ჭიათურის საბადოების გაყიდვისგან თავის შეკავებას ურჩევენ.

როგორც მეცნიერებმა დღევანდელ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ჭიათურის მანგანუმის საბადოებს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. ეს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა და მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა დარგის მონოპოლიზაციას გამოიწვევს, რაც ქვეყნისთვის შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს.

მეცნიერები ხელისუფლებას ქართული მეტალურგიული კომპლექსის განვითარების პროგრამის შემუშავებისკენ მოუწოდებენ, რის შემდეგაც პროგრამის დამფინანსებლის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადება იქნება შესაძლებელი.

ამასთან, მეცნიერ-ეკონომისტების აზრით, ჭიათურის საბადოების აქციები მოსახლეობამ უნდა შეისყიდოს, რის შემდეგაც ისინი საკუთარი მიწა-წყლის პატრონები თავად გახდებიან.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი საქართველოს მთავრობაში დაპირისპირებას უარყოფს. როგორც მინისტრმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, გენერალური პროკურატურა და კონტროლის პალატა თავდაცვის სამინისტროში შესაძლო ფინანსურ დარღვევებს იძიებენ და შესაბამის დასკვნებსაც გააკეთებენ. "უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ არმიაში ბევრი რამ გაკეთდა, სერიოზული წინსვლები შეინიშნება, თუმცა, თუ რომელიმე სისტემაში დარღვევები აღმოჩნდება, ამის შესახებ განგაში სწორედ ჩვენ უნდა ავტეხოთ," - განაცხადა მერაბიშვილმა. მისი თქმით, საქართველოს მთავრობა ერთიანი გუნდია, ერთიანად მოქმედებს და ერთად მიაღწევს წარმატებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ზესტაფონის რაიონში მმართველი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან გამოყოფილმა წევრებმა საქართველოს კონსერვატორული პარტიის რაიონული ორგანიზაცია დაფუძნეს, რომელშიც ამ ეტაპზე 100-მდე ადამიანი გაერთიანდა. ზესტაფონის გამგებლის ყოფილი მოადგილის, კონსერვატორული პარტიის ზესტაფონის საქალაქო ორგანიზაციის ლიდერის მევლუდ ნიშნიანიძის განცხადებით, პარტიის ორგანიზაციები ყველა სოფელში დაფუძნდება და მათი სახით ადგილობრივ ხელისუფლებას სერიოზული ოპოზიცია ეყოლება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოსიაურის რეზერვისტთა მომზადების ბანაკში გუშინ კიდევ ერთი დანაყოფის საზეიმო გამოშვება შედგა. წინასწარი ინფორმაციით, გამოშვებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უნდა დასწრებოდა, თუმცა მან ოსიაურში ჩასვლა გადადო. ქვეყნის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე რეზერვისტების მომზადების დონით კმაყოფილი დარჩა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართულ ბატალიონს ახალი მეთაური ჰყავს. ამ თანამდებობაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადის ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი კობა ლაჭყებიანი დაინიშნა. მან პეტრე გოგუაძე შეცვალა, რომელიც პენსიაზე გავიდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ ბატალიონის პირად შემადგენლობას ახალი მეთაური ოფიციალურად წარუდგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის უმრავლესობიდან გასული ბეჟან გუნავა არ გამორიცხავს, რომ მომავალ საქმიანობას ოპოზიციონერი დეპუტატების - ზვიად ძიძიგურისა და კობა დავითაშვილის საპარლამენტო ჯგუფს დაუკავშირებს. ბეჟან გუნავას განცხადებით, იგი ყველა კონსტრუქციულ ძალასთან აპირებს თანამშრომლობას. მისი თქმით, პრეზიდენტის გარემოცვა სახელმწიფოს მართვას ცდილობს, თუმცა მათ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიჰყავთ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის კრიმინალისტიკის სამსახურს დღეს უახლესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ოთხი მიკროავტობუსი გადასცა, რომელთა საშუალებითაც შემთხვევის ადგილზე, საველე პირობებში გახდება მუშაობა შესაძლებელი. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, თითო-თითო მსგავსი მიკროავტობუსი კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციებს გადაეცემა, წლის ბოლომდე კი კიდევ 30 აღჭურვილი მანქანა გადანაწილდება. მისივე თქმით, აღნიშნული საველე ლაბორატორიები დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნას და დამნაშავეთა მოკლე ვადებში დადგენას შეუწყობს ხელს. **ინტერ-პრესი**

"რას ჰგავს ეს?"

პირველი გვერდიდან

"ნამდვილად არ ეკადრება არავის, მით უმეტეს, ჩემს კოლეგას, სხვადასხვა პიარ-ტრიუკებით წარმოაჩინოს, რომ გიორგი ბარამიძე პატიოსანია (გმადლობთ, დიდი მადლობა!), მაგრამ სულელია, აზრზე არ არის, რა ხდებოდა მის სამინისტროში".

გუშინ, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა და ამჟამად ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა გიორგი ბარამიძემ ბრიფინგი გამართა და უარყო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "აბსურდი", რომელიც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა რამდენიმე დღის წინ გააჟღერა.

"ჩემთვის ეს ნიშნავს იმას, რომ არის მცდელობა საქართველოს ხელისუფლების ერთიანობაში სერიოზული განხეთქილების შეტანისა," - აცხადებს ბარამიძე. სახელმწიფო მინისტრმა გუშინვე გაავრცელა პრესრელიზი, რომლის საშუალებითაც უარყოფილია ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაცხადებული ბრალდებები სამინისტროში არსებულ დარღვევათა შესახებ. **"თითქოსდა სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის ხელშეკრულებები რამდენიმე სამშენებლო ორგანიზაციასთან სხვადასხვა კორუფციული გარიგებების მიზნით გაფორმდა. სინამდვილეში, აღნიშნული სამუშაოების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მიერ ივლისში,"** - ნათქვამია პრესისთვის გავრცელებულ ინფორმაციაში.

გიორგი ბარამიძე **"არაკეთილსინდისიერს"** უწოდებს ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა ქართული ჯარი იმაზე უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, ვიდრე ეს ვარდების რევოლუციამდე იყო: **"არა მგონია, როცა ქართულ ჯარში სერიოზულ მიღწევებზე საუბრობდნენ ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და სხვები, ისინი ტყუოდნენ..."**

როგორც გუშინ გიორგი ბარამიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის უცნობია, რატომ დაუპირისპირდა ოქრუაშვილი. ბარამიძე **"ბოლო თვეების განმავლობაში პრესაში წაკბენებს"** ახსენებს და დასძენს, რომ ყველაფერს ითმენდა: **"რაც შეეხება დაპირისპირებას, ჭურში არავინ ზის. თქვენ თვეების განმავლობაში მისვამდით ამასთან დაკავშირებით შეკითხვებს და მე ამ შეკითხვებს თავს ვარიდებდი.... არ მინდა, რომ ჩვენი ხელისუფლება და გუნდი დაემსგავსოს შევარდნაძის ერთმანეთთან დაპირისპირებულ, კინკლაობაში მყოფ ადამიანების ხროვას."**

ბარამიძემ გუშინ "წვრილმან" საკითხებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მის ყოფილ მოადგილეს პაატა გაფრინდაშვილს კაბინეტიდან გამოსვლაც კი არ დააცადეს, რის გამოც იგი იძულებული იყო, ნივთები თავისი ყოფილი კაბინეტის შესასვლელში ჩაელაგებინა.

ბარამიძე უკიდურესად შეშფოთებულია კიდევ ერთი გარემოებით. როგორც გუშინ გაირკვა, მან სატელევიზიო ეთერიდან მოისმინა ის სიტყვები, რომელიც ოქრუაშვილმა წინამორბედის კაბინეტში შესვლისას წარმოთქვა. ბარამიძის კომენტარი ასეთია: **"კოლეგა შედის თავდაცვის მინისტრის კაბინეტში და ლაპარაკობს, აქ კაცმა არ იცის, ხალხს ეძინა თუ მუშაობდაო. ეს არ არის განწყობა, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთმანეთის მიმართ უნდა ჰქონდეთ."**

"არ მეძინა," - უცხადებს ბარამიძე ოქრუაშვილს, თანაც, ხაზგასმით შეახსენებს თავის მოღვაწეობას, ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული - დღემდე. **"არ მეძინა!"** - მრავალგზის გაიმეორა გუშინ ბარამიძემ, უპირველს ყოვლისა, ოქრუაშვილის გასაგონად და იქვე დასძინა: **"ვერავინ მასწავლის, მით უმეტეს, ბატონი ოქრუაშვილი, როგორ უნდა ვებრძოლო კორუფციას, იმიტომ, რომ როცა მე კორუფციას ვებრძოდი, მაშინ ბევრი საერთოდ არც ხელისუფლებაში ჩანდა და არც, საერთოდ, ახლო-მახლო..."**

"მთელი საზოგადოება ლაპარაკობს მოსალოდნელ საფრთხეზე, ხელისუფლების შიგნით დაპირისპირებაზე, ეს არ უნდა დავუშვათ," - ასეთია გიორგი ბარამიძის საბოლოო პოზიცია.

ყოველივე ამის შემდეგ ბარამიძე პრეზიდენტ სააკაშვილის და პრემიერ-მინისტრ ჟვანიას სიტყვას ელის: **"დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი თავიანთ სიტყვას იტყვიან."**



ტყუილ-მართალი გიორგი ბარამიძის ვერსიით.

ვახო ბესელიას ფოტოები

"წავიდეთ, ერთად ვილოცოთ!"

პირველი გვერდიდან

მიხეილ სააკაშვილი: **"მე თქვენ მოგიწვიეთ, რათა გავარკვიოთ ბოლო დროის მოვლენები. საკმარისია, სახლიდან გავსულიყავი რამდენიმე დღით, ჩემს მეგობრებთან უკრაინაში, რომ მარტოდ დარჩენილმა მთავრობის წევრებმა, დამიგულეს რა გარეთ, დაუყოვნებლივ დაიწყეს კინკლაობა და ცელქობა. უფრო სერიოზულად რომ ვთქვა, მინდა ყველამ გააცნობიეროს - ჩვენ ვართ ხალხის მთავრობა; ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა არა ერთმანეთის წინაშე, არა, თუნდაც, პრეზიდენტის და პრემიერის წინაშე, არამედ ჩვენი ხალხის წინაშე. ჩვენს ხალხს სჭირდება დღეს ჩვენი ურთიერთობა და ურთიერთშეთანხმებული, ზუსტი გარიგით მოქმედება. აქამდე ჩვენი წარმატება ემყარებოდა ყოველთვის ამ ერთიანობას და გათვლილ მოქმედებებს.**

თავდაცვის სამინისტროში რაც გაკეთდა ბოლო თვეებში და რაც არის გიას დამსახურება, სწორედ ის არის, რომ დღევანდელი არმია ჩვენი, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება იმისგან, რაც იყო. მაგრამ არის პრობლემები, როგორც ყველა სხვა სფეროში, სადაც კეთდება საქმე. ჩვენ დღეს იმაზე კი არ უნდა ვმსჯელობდეთ, ადრე რატომ არ გამოსწორდა ეს პრობლემები, არამედ იმაზე, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სიტუაცია კიდევ უფრო უკეთესი იყოს, ვიდრე არის დღეს.

სწორედ ეს მანდატი აქვს ირაკლის და მისი დიდი იმედი მაქვს, რომ ამას გააკეთებს და იქნება ორიენტირებული მართლა თანამედროვე ჯარის შექმნაზე. ჩვენ უკვე ჩავაცვით ჯარს, ვაჭმევთ, რაც ადრე არ იყო. აღვჭურვეთ ხუთჯერ უკეთესად, ვიდრე იყო და თუ კიდევ ვინმე დღეს ხმას იღებს, კანონის მთელი ძალა გამოიყენეთ, რომ დეზერტირი და კანონის დამრღვევი იყოს იქ, სადაც უნდა იყოს – საბრალდებო სკამზე.

მართლაც არის უნიკალური პერსპექტივები იმისა, რომ საქართველოში ეს სტრუქტურა რაღაცას დაემსგავსოს. აქედან გამომდინარე, გვინდა, რომ ჩვენ გვქონდეს სრული ურთიერთქმედება და კონცენტრაცია.

პრესკონფერენციებით ლაპარაკი ნორმალურ მთავრობაში არ ხდება. ეს ხდებოდა ჩემი წინამორბედის მთავრობაში და იმიტომაც დაემხო თავზე ქვეყანა. მე ამის მოსმენას არ ვაპირებ. ორივენი ხართ ჩემი მეგობრები, ახლობლები, ორივეს ძალიან გაფასებთ, მაგრამ არა მხოლოდ ამას უნდა დაესვას დღეს წერტილი, არამედ, ბატონ ზურაბს მინდა ვთხოვო: თუ მომავალში რომელიმე მინისტრს გაუჩნდება ცდუნება, მთავრობის შიგნით ურთიერთობები ჯერ პრესკონფერენციებზე გაარკვიოს და მერე საქმიან ვითარებაში ("რა თქმა უნდა," – კვერი დაუკრა ზურაბ ჟვანიამ), კარი ყველასთვის ღიაა, სადაც უნდა, იქ წავიდეს და მიხედოს თავის საქმეს.

მთავრობაში, საქართველოს მთავრობაში, ქვეყანაში, რომელიც უნდა დადგეს ფეხზე, რომელმაც ხალხს უნდა გაუკეთოს ის, რასაც ჩვენ დავპირდით და რისი გაკეთებაც დავიწყეთ უკვე, ხალხს, რომელიც აპირებს კინკლაობას, არაფერი ესაქმება. ეს არის ჩემი გადაწყვეტილება და ჩემი უმკაცრესი მოთხოვნა. ან შევძლებთ ერთად კოორდინირებულ მუშაობას, ან, ვისაც არ შეუძლია, პრობლემა არ არის. უცვლელი ადამიანები ქვეყანაში ნამდვილად არ არსებობენ. ჩვენ გვყავს ბევრი კარგი ახალგაზრდა. ეს არის და ეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ, როცა სადმე გავალ, მსგავსი რამე არ განმეორდება და როცა აქ ვარ... არ მომხდარა აქამდე და არც ამის შემდეგ მოხდება, იმედია. და ვაკეთოთ საქმე. ხალხი ჩვენგან ელის საქმეს.

დღეს წავიდეთ, ყველამ ერთად აღვნიშნოთ შობა, ვილოცოთ და დილას, როცა გავიღვიძებთ, ყველამ მივხედოთ ჩვენს ძალიან მნიშვნელოვან სფეროებს. აი, ეს არის ჩემი რჩევა თქვენდამი.

დიდი მადლობა და გილოცავთ ყველას შობას."

ირაკლი ოქრუაშვილი: **"ის, რაც მე განვაცხადე, არანაირად არ ნიშნავდა იმას, რომ რაიმე პოლემიკა დამეწყო გია ბარამიძესთან, და თუ ვინმემ ჩათვალა, რომ ჩვენ შორის არსებობდა რაიმე ინციდენტი, შეგიძლიათ მიიჩნიოთ, რომ ეს ინციდენტი ამოწურულია. მე, ასე ვთქვათ, ამის ნიშნად გიას ხელს ჩამოვართმევ. აქ არ იყო საუბარი იმაზე, რომ მე და გიას რაიმე დაპირისპირება გაგვაჩნია. ჩემი განცხადებების საფუძვლიანობა-არსაფუძვლიანობაზე იმსჯელებს პროკურატურა და ამაზე დასკვნას გამოიტანს."**

გიორგი ბარამიძე: **"მე მესმის, რომ ბატონ ირაკლის გარკვეული უხერხულობა აქვს. მე ვეტყვი, რომ ამ განცხადებების გაკეთების, უფრო სწორად, ამ საბუთების მოკვლევის საფუძველი, რა თქმა უნდა, თავდაცვის მინისტრს აქვს და ეს არის მისი მოვალეობა, რომ ყველაფერი მოიკითხოს, რა ხდება და როგორ ხდება... და ამას გააკეთებს ირაკლი ოქრუაშვილი, მე ამაში დარწმუნებული ვარ.**

ჩემი აზრი, მე რაც ვთქვი, გითხარით - ასე ვთქვათ, ცოტა ფორმა იყო სხვა. მე მოხარული ვარ, რომ დღეს პრეზიდენტთან შედგა ჩვენი საუბარი. მე გავარკვიე, რომ არც მინიშნებით და არც ისე, არ ყოფილა არც ჩემ მიმართ და არც სხვა რომელიმე პიროვნების მიმართ ბრალდებების ტონი, რაც იყო ჩემთვის მიუღებელი და რამაც გამოიწვია დღევანდელი ჩემი პრესკონფერენცია. მიმაჩნია, რომ ქართული ჯარის მშენებლობა არის ჩვენი ქვეყნისთვის ერთერთი მთავარი პრიორიტეტი და ვინც არ უნდა იყოს იქ - დღეს იქ არის ირაკლი ოქრუაშვილი - ჩვენ ვართ ერთი გუნდის წევრები, ყველას ვუსურვებ წარმატებას.

დღეს, სანამ ვართ ყველანი ერთად, ჩვენი მოვალეობაა, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ერთმანეთს არ ვეკინკლაოთ, ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ და ერთმანეთის გვერდით ვიდგეთ, თუ საჭირო იქნება, ფრონტის წინა ხაზზეც."

24 საათი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა - კარგი მუსიკის რადიო 107.4

„ყველაფერი კარგად იქნება“

„რადიო დილა“ ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

წამყვანები - გგგა გოცირიძე, ანა კორძაია-ხარბადაშელი

სტუმრები: - ნესგან კვინიკაძე (მწერალი), ქეთევან მაჭავარიანი (კინორეჟისორი)

ნუნუკან ჯაფარიძის: მინდა,რომ წიგნის კითხვის უნდოდეთ ხოლმე,რომ ის დღესაც დაწერილი... საქართველოში 23 წლამდე ადამიანმე ამბობენ ხოლმე,ბავშვიაო. ის ბავშვი კი არა,ახალგაზრდაა. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა,რომ სულ ახალგაზრდა ვიყო.

ქეთევან მაჭავარიანის: ძალიან მინდა, რომ სულ ფილმს ვიღებდე ცხადია, ახალ-ახალს. მინდა, რომ თქვენმა ისეთი ფილმი გადაიღოთ, რომელიც მრავალი, თუნდაც ამა წლის შემდეგაც, ახალი ფილმი იქნება და არასოდეს დაბერდება.

რის ხარჯზე იზრდება აფხაზ სეპარატისტთა 2005 წლის ბიუჯეტი?

აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტმა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ახლახან დაამტკიცა. ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სეპარატისტთა პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად ამ დღეებში გადაეგზავნება, 2004 წლის ბიუჯეტთან შედარებით, თითქმის ერთი მესამედით - 200 მილიონი რუსული რუბლით (დაახლოებით, 7 მილიონი აშშ დოლარით) არის გაზრდილი.

მარიამ ჯაჭვაძე

გასულ წელს პარლამენტმა 2004 წლის ბიუჯეტის მიღება დიდი ხმაურისა და ვნებათაღელვის შემდეგ მხოლოდ გაზაფხულზე მოახერხა. განსაკუთრებით ცხარე დებატები ბიუჯეტის იმ მუხლებმა გამოიწვია, რომელიც ძალოვანი უწყებების დაფინანსებას ეხებოდა. გარკვეული პრეტენზიები აფხაზმა პარლამენტარებმა იმ მუხლების დაფინანსების გამოც გამოთქვეს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად, აფხაზთა თვითმარქვია პრეზიდენტის ნათესავებს და მის გარემოცვას უკავშირდება.

თუკი 2005 წლის ბიუჯეტის პროექტს თვალს გადავავლებთ, ადვილი შესაძლებელია, რომ მსგავსი პრეტენზიები აფხაზ პარლამენტარებს წელსაც გაუჩნდეთ.

აფხაზეთის ფინანსთა მინისტრის ლილი ბგანბას განცხადებით, ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები მომავალი წლისთვის 643 მილიონ 500 ათასი რუსული რუბლით განისაზღვრა, ხარჯები - 647 მილიონ 300 ათასით. აფხაზეთის 2005 წლის ბიუჯეტი, ისევე, როგორც გასული წლის, დეფიციტურია. თუმცა, შარშანდელთან შედარებით, წელს დეფიციტი თითქმის 4 მილიონამდე შემცირდა. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მნიშვნელოვნად იზრდება საგადასახადო შემოსავლები, მათ შორის - საწარმოებიდან, ბანკებიდან და ორგანიზაციებიდან მობილიზებული მოგების გადასახადი, რაც, სეპარატისტთა გათვლით, მომავალ წელს 58 მილიონს გადააჭარბებს. საშემოსავლო გადასახადის სახით, აფხაზეთის ფინანსთა სამინისტრო 66 მილიონზე მეტის აკრეფას ვარაუდობს. ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის გადასახადიდან 2005 წელს 19.4 მილიონის მობილიზებაა დაგეგმილი, ქონების გადასახადიდან – 2 მილიონ 500 ათასის, სახელმწიფო ბაჟიდან – 11.5 მილიონის, დამატებითი ღირებულების გადასახადიდან – 105 მილიონის, აქციზიდან – 23.1, საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციიდან – 5 მილიონის, სპირტიანი სასმელების ვაჭრობისთვის გაცემული ლიცენზიიდან – 460 ათასის, მიწის გადასახადიდან – 20.1 მილიონის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მესამედზე მეტი, 222 მილიონ 300 ათასი, საბაჟო გადასახადზე მოდის.

რაც შეეხება 2005 წლის ხარჯებს: ხარჯების ყველაზე დიდი ნაწილი - 196.3 მილიონი რუბლი სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე მოდის. 95 მილიონზე მეტით დაფინანსდება მომავალ წელს აფხაზეთის სახალხო მეურნეობა, მეცნიერება – 17.9 მილიონით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები 11 მილიონით. ფინანსთა მინისტრის თქმით, **“პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდას ითვალისწინებს, მათ შორის, აქ დასაქმებულთა ხელფასების 50-პროცენტიან და კვების 30-პროცენტიან ზრდას.”** ბგანბამ ასევე განაცხადა, რომ მომავალი წლის სახელფასო ფონდი 248 მილიონ 600 ათას რუბლს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია, სეპარატისტთა ბიუჯეტი წლის ბოლოს უმნიშვნელო გარღვევით სრულდება, ექსპერტების შეფასებით, აფხაზთა ბიუჯეტის შედგენა, მიღება და მისი შესრულება ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. იმავე ექსპერტების თქმით, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში შემოსავლების კუთხით ბევრად მეტი პოტენციალი არსებობს, ვიდრე ეს დღეს სეპარატისტთა ბიუჯეტშია ასახული.

თვალსაზრისი

რეფორმა აუცილებელია!

მეცნიერების მართვის დარგში გადაუდებელი რეფორმების შესახებ

ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოში მომხდარმა ცვლილებებმა იმედი გაგვიჩინა წარმატებული გარდაქმნისა, რომლებიც პერსპექტივაში თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოების გვერდით დაგვაყენებდა. საქართველოს, როგორც თავისი ობიექტური, ბუნებრივ-მატერიალური პირობებით, ასევე ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შექმნილი სულიერი ღირებულებებით, ნამდვილად ძალუძს ღირსეული ადგილი დაიკავოს დღევანდელ გეოპოლიტიკურ რეალობაში. უდავოა, რომ ამ მიზნის მიღწევის გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი განათლებისა და მეცნიერების რეფორმაა, რომელიც არა მარტო შეინარჩუნებდა ქვეყნის ინტელექტუალურ-შემოქმედებით პოტენციალს, არამედ განავითარებდა და ქვეყნის დღევანდელი მოთხოვნილებების დონეზე აიყვანდა მას, განსაზღვრავდა მის მომავალს.

საბედნიეროდ, ენთუზიაზმი და ინტერესი მეცნიერების მიმართ ჩვენს ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ არსებობს და არც არასდროს გამქრალა.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ საქართველოში, ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანმიმდევრული საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრატეგიის არქონა მნიშვნელოვანი პრობლემების დაგროვების მიზეზი გახდა. ამან განსაზღვრა კვალიფიცირებული კადრების საზღვარგარეთ გადინება, ასევე არცთუ მაღალი დონის საგანმანათლებლო დაწესებულებების, დაბალი დონის სახელმძღვანელოების მომრავლება და სხვა უამრავი პრობლემა, რომელთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. იყო და არის ცალკეული წარმატებებიც, მაგრამ აქ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთეული შემთხვევების დასახელება შეიძლება. ეს წარმატებები მიღწეული იყო დიდი ენთუზიაზმის, სხვადასხვა საერთაშორისო დაფინანსებების, საზღვარგარეთ დროებით ან უკვე მუდმივად მოღვაწე ქართველ მეცნიერთა აქტიურობის ხარჯზე.

ნებისმიერი დარგის მეცნიერის აღზრდა-ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია. იგი ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მერხიდან უბრალო ცნობისმოყვარეობით იწყება და გადის ხანგრძლივ შემეცნებითევოლუციურ გზას - უმაღლესი სასწავლებლიდან ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში. ნიჭიერი ახალგაზრდის საწყისი ენთუზიაზმისა და დაინტერესების ეფექტური წარმართვა რეალური სამეცნიერო საქმიანობისაკენ, სახელმწიფოში შესაფერისი **საგანმანათლებლო-სამეცნიერო სისტემის** არსებობას მოითხოვს. საბედნიეროდ, ენთუზიაზმი და ინტერესი მეცნიერების მიმართ ჩვენს ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ არსებობს და არც არასდროს გამქრალა, რადგან ცოდნა და განათლება, *ცოდნის მოყვარეობა* ჩვენი ქვეყნის სულიერი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მუდმივი თანამგზავრია.

აშკარაა, რომ დღეს არსებული ძალიან მძიმე მდგომარეობა უცილობლად საჭიროებს ძირეული რეფორმების განხორციელებას! ამიტომაა, რომ განათლების და მეცნიერების რეფორმის პროექტების განხილვამ ასეთი დიდი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებაში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში მოხდა არა მარტო ქვეყნის საერთო ეკონომიკური რეგრესი, არამედ დაკნინდა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალიც. მდგომარეობის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება და რეფორმები, ალბათ, ჯერ კიდევ არსებული შესაძლებლობების რეალური განსაზღვრა-შეფასებებით უნდა დაიწყოს (არსებულზე დაყრდნობა, რასაკვირველია, არამც და არამც არ ნიშნავს, მეცნიერების მართვის ჯერ კიდევ შემორჩენილი *ბიუროკრატული* და *რეაქციული* აპარატის შენარჩუნებას. ამ აპარატმა თავისი სრული უუნარობა სწორედ ქვეყნისთვის მძიმე პერიოდში გამოავლინა). რეალური და მკაფიო სტრატეგიის ჩამოყალიბების შემდეგ, შესაბამისი რეფორმების გატარებით, შესაძლებელი იქნება ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრების იმ გზით წარმართვა, რომელიც მნიშვნელოვანი იქნებოდა დღეისათვის და სამომავლოდ.

რეფორმების გაუტარებლობა ან გადადება, მეცნიერების მართვის ძველი, ბიუროკრატული სისტემის შენარჩუნების მცდელობა (თუნდაც მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებების გატარებით), სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში უკვე არსებული პრობლემების მხოლოდ შემდგომ გაღრმავებას და გამრავლებას გამოიწვევს.

შესაბამისი რეფორმების გატარებისას აუცილებელია გამოყენებული იყოს სხვა ქვეყნების გამოცდილება, განსაკუთრებით კი ბალტიის ქვეყნებისა, რომლებიც მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბოლო ათწლეულში, მნიშვნელოვანი პროგრესის მაგალითია. ცხადია, გამოცდილების გამოყენება არ ნიშნავს მის მექანიკურ გადმოტანას, რადგან სტრატეგია, რომელიც ემყარება არსებულს და უნდა განსაზღვროს მომავალი, განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებისთვის. იგი სხვადასხვაა მათი გეოგრაფიულ-რეგიონული თავისებურებების და სამრეწველო-ტექნიკური პოტენციალის მიხედვით; დამოკიდებულია ქვეყნის გეოპოლიტიკურ რეალიებზე. მაგალითად, ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკოლოგიური პრობლემები და, შესაბამისად, მათი აღმოფხვრის გზებიც, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ინფორმაცია საქართველოში მეცნიერების ორგანიზების და მართვის რეფორმის გადადების შესახებ ამ წერილის დაწერის ერთ-ერთ მიზეზად იქცა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არის საკითხები (ასეთად მიგვაჩნია მეცნიერების გრანტული დაფინანსება და სასწავლო-სამეცნიერო სკოლების დაფუძნება), რომელთა გადაჭრა დღესვე შეიძლებოდა, დაწყებულიყო.

მეცნიერების გრანტული დაფინანსება კარგად აპრობირებული მეთოდია მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში. გრანტული დაფინანსების სწორი (ქვეყნის სტრატეგიის შესაბამისი) მიზნობრივი გამოყენება უმოკლეს დროში მოგვცემდა შედეგებს. აქ აუცილებელია მაქსიმალურად ობიექტური რეცენზირების (რეფერირების) უზრუნველყოფა, რისთვისაც სავალდებულო იქნება რეფერირების პროცესში ამა თუ იმ დარგის წამყვანი უცხოელი რეცენზენტების ჩართვა. ის სამეცნიერო პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და ასპირანტების მონაწილეობას, უცილობელი პრიორიტეტით უნდა სარგებლობდეს. შერჩეული პროექტების ნორმალური დაფინანსება უზრუნველყოფდა, როგორც მეცნიერების შესაბამისი დარგის საერთაშორისო დონის შენარჩუნებას და განვითარებას, ასევე ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების აღზრდასა და ქვეყნის შიგნით მათი დამაგრებისთვის მინიმალური ბაზის შექმნას. აქ გადამწყვეტი როლი **საქართველოს მეცნიერების ნაციონალური ფონდის** შექმნამ შეიძლება, შეასრულოს, რომელიც სახელმწიფოსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის *ერთადერთი* შუალედური რგოლი იქნებოდა, ჩაატარებდა გრანტულ კონკურსებს და შეიმუშავებდა რეცენზირების მკაცრ და ობიექტურ სტანდარტებს. საერთაშორისო რეფერირებაზე დამყარებული გრანტული სისტემის დანერგვას აუცილებლად მოჰყვება უნივერსიტეტებისა და მოქმედი კვლევითი დაწესებულებების დაახლოვება, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება მეცნიერების ეფექტური განვითარებისთვის. ბუნებრივია, რომ გრანტული სისტემა უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე სპეციალურ მიზნობრივ გრანტებს მეცნიერთა სამეცნიერო მივლინებების (თანა)დაფინანსებისთვის უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისთვის დღეს მოქმედი საერთაშორისო TACIS, INTAS, NATO, CRDF და სხვა პროგრამებით განხორციელებული გრანტული დაფინანსება, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანია და მას შეაქვს წვლილი ჩვენი მეცნიერული პოტენციალის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მარტო ამ პროგრამების იმედზე ყოფნა აღარ შეიძლება, უკვე დროა, მძლავრმა *ადგილობრივმა* გრანტულმა სისტემამ უმეტესწილად თავის თავზე აიღოს ქვეყნის დღევანდელი და სამომავლო სამეცნიერო პოლიტიკის დაფინანსება.

დრო აღარ ითმენს და ცვლილებები აუცილებელია, სწორედ დღეს და არა გაურკვეველ მომავალში!

2. სასწავლო-სამეცნიერო სკოლების დაფუძნება. ასეთი სკოლები გამიზნულია მომავალი სამეცნიერო კადრების ზრდის ხელშეწყობისთვის სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების პერიოდებში. ასეთ მოკლევადიან (რამდენიმე კვირის ხანგრძლივობის) სასწავლო-სამეცნიერო სკოლებში სტუდენტებს და მოსწავლეებს სპეციალურად შერჩეული როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული მეცნიერები წაუკითხავენ ლექციასემინარებს მოცემული დარგის თანამედროვე პრობლემებსა და უახლოეს მიღწევებზე. ასევე ჩატარდება ექსპერიმენტულ-თეორიული სამუშაოები ახალგაზრდა მსმენელთა აქტიური თანამონაწილეობით. შევნიშნოთ, რომ აღნიშნული მოთხოვნა რეალურად მომდინარეობს მოსწავლე ახალგაზრდობის, ასევე სკოლისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სურვილია, სასწავლო პროგრამაში შეტანილი იყოს სტუდენტების მონაწილეობა ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ნაციონალურ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში დაგეგმილი ასეთი სკოლის მუშაობაში. ასეთი სკოლების საქმიანობის სწორად წარმართვა გაზრდის როგორც ნიჭიერი ახალგაზრდების მომავალი სამეცნიერო საქმიანობით დაინტერესებას, ასევე უკვე ჩამოყალიბებულ მკვლევარ მეცნიერთა ეფექტურ ჩაბმას სამომავლო კადრების აღზრდაში. ასეთი სკოლები ძალიან ეფექტურად ფუნქციონირებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. არსებობს ამ ტიპის საერთაშორისო სკოლებიც, მაგალითად *თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი ტრიესტში (იტალია)*, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ახალგაზრდა მეცნიერებს, მთელი წლის მანძილზე, ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა სასწავლო-სამეცნიერო სკოლათა და კოლეჯთა, სხვადასხვა პროფილის კონფერენციათა და სემინართა მუშაობაში მონაწილეობისა. მათი მიზანია პერსპექტიულ ახალგაზრდა მეცნიერთა წარმოჩენა და ეფექტური ჩაბმა სამეცნიერო საქმიანობაში. სავსებით რეალურია არსებულ საერთაშორისო სკოლებთან გარკვეული ხელშეკრულებების დადება და თანადაფინანსების საფუძველზე *რეგიონული სამეცნიერო სკოლების* ორგანიზება. ამ მიზნით იმავე ტრიესტის ცენტრში, უკვე წლების მანძილზე, არსებობს აზიის, ლათინური ამერიკის და აფრიკის სხვადასხვა ქვეყანასთან კოოპერაციული თანამშრომლობა. ასეთი სკოლების დაფინანსება, არსებული რეალობიდან გამომდინარე, არაა დაკავშირებული დიდ ხარჯებთან და სავსებით შესაძლებელია, ეს ტრადიცია უახლოეს მომავალში საქართველოშიც დამკვიდრდეს.

ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ასეთი რეფორმების გაუტარებლობა ან გადადება, მეცნიერების მართვის ძველი, ბიუროკრატული სისტემის შენარჩუნების მცდელობა (თუნდაც მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებების გატარებით), სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში უკვე არსებული პრობლემების მხოლოდ შემდგომ გაღრმავებას და გამრავლებას გამოიწვევს. ასეთი დაყოვნება მხოლოდ დააჩქარებს ახალგაზრდა პერსპექტიული სამეცნიერო კადრების გადინების ამჟამად მიმდინარე პროცესს. ახალგაზრდა სპეციალისტის აღზრდას, რომელიც უკვე სკოლის მერხიდან იწყება, წლები სჭირდება და რეფორმების თუნდაც ერთი წლით გადადება მეცნიერებაში მოსულ ახალგაზრდათა რიცხვის შემდგომ შემცირებას ნიშნავს. დრო აღარ ითმენს და ცვლილებები აუცილებელია, სწორედ დღეს და არა გაურკვეველ მომავალში!

გ. დიდებულიძე
თ. ზაქარაშვილი
თ. კახნიაშვილი
გ. მელიქიძე
გ. ნაცვლიშვილი
ი. პაპავა
ა. პატარაია
ა. როგავა
გ. ღოღობერიძე
ს. წერეთელი
რ. ხომერიკი

საქართველოს პარლამენტი მიხეილ მარიჩინს ესარჩლება

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გუშინ გაავრცელა განცხადება, სადაც გამოხატა შეშფოთება სასამართლო პროცესის გამო, რომელიც მიმართულია ცნობილი ოპოზიციური ლიდერის, ბელორუსის ევროპული მოძრაობის პრეზიდენტის, ელჩის მიხეილ მარიჩინის წინააღმდეგ.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი მოუწოდებს ბელორუსის ხელისუფლებას, პატივი სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და აზრის გამოხატვის თავისუფლებას. “ჩვენ ხმას ვუერთებთ საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების პროტესტს, მიმართულს ელჩ მარინიჩის კანონიერი და ადამიანის უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ და გამოვდივართ მოწოდებით მისი გათავისუფლებისათვის. ჩვენ მივმართავთ ეუთოს და ევროპის საბჭოს და ასევე მათი წევრი ქვეყნების მთავრობებს, რათა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება სამართლიანი და კანონიერი შედეგის მისაღწევად,” – აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი აწერს ხელს.

24 საათი

ირანში ელჩი საქმიანობას შეუდგა

2 იანვარს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ლევან ასათიანმა რწმუნებათა სიგელი გადასცა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს მოჰამედ ხათამის.

პრეზიდენტთან შეხვედრის დროს საქართველოს ახალმა ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები უფრო მეტად გაიზრდება.

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა, თავის მხრივ, ხაზი გაუსვა თავისი ქვეყნის ურთიერთობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის აუცილებლობას კავკასიის რეგიონთან. მოჰამედ ხათამიმ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში და ახალ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა დადებით ფაქტორად შეაფასა მომავალი თანამშრომლობის განვითარებისა და ორმხრივი ინტერესების დაცვის საკითხში.

24 საათი

"ომის ეკონომიკიდან - მშვიდობის ეკონომიკამდე"

პარლამენტში გაიმართა წიგნის - "ომის ეკონომიკიდან მშვიდობის ეკონომიკამდე" - პრეზენტაცია. ნაშრომის შექმნაში მონაწილეობდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მეცნიერები, მათ შორის, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე და პროფესორები: დავით ჩხარტიშვილი და ბესიკ კიწმარიშვილი.

წიგნში განხილულია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური რეგიონების ეკონომიკური ვითარება. მათ შორის საუბარია ე.წ. სამხრეთ ოსეთზე, აფხაზეთსა და ყარაბაღზე.

როგორც რომან გოცირიძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, წიგნში საკმაოდ ვრცელი პუბლიკაცია აქვს თურქეთის წარმომადგენელს რეგიონულ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

წიგნი გამოიცა დიდ ბრიტანეთში და იგი დასტამბულია ორ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. გამოცემა საერთაშორისო ორგანიზაცია "ინტერნეიშნლ ალტერ"-მა დააფინანსა. წიგნი არ გაიყიდება და იგი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებსა და ყველა დაინტერესებულ პირს დაურიგდებათ.

რომან გოცირიძის თქმით, წიგნის პრეზენტაცია უკვე გაიმართა სტამბულში, რამაც საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ინტერ-პრესი

„აირზენა" ისევ რეგულირების საფასურის კონსტიტუციურობას ასაჩივრებს

ავიაკომპანია "აირზენასა" და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას შორის დავა საკონსტიტუციო სასამართლოში ოთხშაბათს, 12 იანვარს განახლდება. გუშინ დანიშნული პირველი პროცესი კი ერთ-ერთი მხარის არაინფორმირებულობის გამო გადაიდო. კერძო ავიაკომპანია სასამართლოსგან ადმინისტრაციის იმ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს, რომლის თანახმადაც, გასული წლის სექტემბრიდან ავიაკომპანიები, აეროპორტები და საქაერონავიგაცია რეგულირების საფასურს იხდიან.

ეთერ მამულაშვილი

ახალი კანონი სახელმწიფო რეგულირების შესახებ, რომელიც პარლამენტმა გასულ ზაფხულს დაამტკიცა, ავიაკომპანიებს დამატებითი გადასახადი, რეგულირების საფასური დაუწესა. ხსენებული კანონის თანახმად, კერძო ავიაკომპანიებს ერთ გადაყვანილ მგზავრზე 3-5 ამერიკული დოლარის ეკვივალენტის გადახდა ეკისრებათ, ხოლო რეგულარულ მოკლე რეისებზე გადასახადი 3 დოლარით განისაზღვრა. სახელმწიფო რეგულირების შესახებ კანონი ავიასაწარმოებს, მათ შორის - საქაერონავიგაციას, რეგულირების საფასურს, საწარმოს წლიური შემოსავლის 2 პროცენტს უწესებს. 2 პროცენტი დაანგარიშდება დღგ-ს გადასახადის გასტუმრების შემდეგ დარჩენილი შემოსავლიდან.

სხვათა შორის, რეგულირების საფასური ქართულ ავიაციაში 2002 წლამდე მოქმედებდა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ავიაკომპანია "აირზენას" საჩჩელის საფუძველზე გააუქმა. გასულ ზაფხულს კი პარლამენტმა რეგულირების გადასახადი კვლავ დაამტკიცა.

"აირზენა" ერთ-ერთი იმ ავიაკომპანიათაგანია, რომელიც რეგულირების საფასურს დაწესების დღიდან აპროტესტებს და მის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს. ავიაკომპანიის წარმომადგენლის კოკა სეფერთელაძის თქმით, **"ადმინისტრაცია, ფაქტობრივად, ფულს არაფერში ითხოვს. საერთოდ, გაუგებარია, რა არის რეგულირების საფასური და რაში უნდა გადაიხადოს ის კაცმა. არათუ აუცილებელი, საერთოდ დაუშვებელია, რომ ქვეყანაში ასეთი სახის გადასახადი არსებობდეს. ამიტომაც ჩვენ ვთვლით, რომ ეს ანტიკონსტიტუციურია და მის დაუყოვნებლივ გაუქმებას მოვითხოვთ."**

თავის მხრივ, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში ავიაკომპანიის კომენტარს რეგულირების საფასურთან დაკავშირებით აბსურდულს უწოდებენ და განმარტავენ: "იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ავიასაწარმოების (ავიაკომპანიების, აეროპორტების, საქაერონავიგაციის) უსაფრთხოებაზე, რეგულირების საფასური სწორედაც რომ ამას ითვალისწინებს. რეგულირების საფასურში შედის ავიასაწარმოების ტექნიკური, ეკონომიკური და უსაფრთხო ფრენების მომსახურების უზრუნველყოფა ადმინისტრაციის მხრიდან."

ადმინისტრაციაში იმასაც განმარტავენ, რომ რეგულირების საფასურს ავიაკომპანია საკუთარი ჯიბიდან არ იხდის. ის ბილეთის საფასურში შედის.

პრეტენზიები "აირზენას" მიმართ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციასაც აქვს, რომელმაც შესაბამისი სარჩელი საოლქო სასამართლოში რამდენიმე თვის წინათ შეიტანა. ადმინისტრაცია კერძო ავიაკომპანიისგან რეგულირების საფასურის გადაუხდელობის გამო დაგროვილი დავალიანების გასტუმრებას მოითხოვს. დავალიანება, რომელიც "აირზენას" 2002 წლამდე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე (საფასურის გაუქმების თაობაზე), დაუგროვდა. ავიაკომპანიის დავალიანება, "საქაერონავიგაციასთან" ერთად, მილიონ ლარამდე დაგროვდა. ძველი დავალიანების გარდა, "აირზენას" მიმდინარე თვეების საფასურიც არ გადაუხდია. ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ ავიაკომპანია, გასული წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, რეგულირების საფასურს არ იხდის.

ახალი კადრები საბაჟო დეპარტამენტში

"ინტერ-პრესის" ფოტო

გიორგი გოდაბრელიძემ აეროპორტის საბაჟოს თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟოს ხათუნა ბიწაძე უხელმძღვანელებს. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ აეროპორტის საბაჟოს თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი გუშინ წარუდგინა.

მანამდე, ხათუნა ბიწაძე საბაჟო დეპარტამენტში საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს ხელმძღვანელობდა.

როგორც გუშინ გიორგი გოდაბრელიძემ განაცხადა, ხათუნა ბიწაძეს საზოგადოებასთან ურთიერთობის კარგი გამოცდილება აქვს და კარგად იცის საბაჟო კოდექსი.

ხათუნა ბიწაძე პირობას დებს, რომ აეროპორტში ყველაფერი გაკეთდება საბაჟო პროცედურების გასამარტივებლად.

"საბაჟო პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას შევისწავლით და თბილისის აეროპორტში იმ მოდელს დავნერგავთ, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს," - აღნიშნა ბიწაძემ.

აღსანიშნავია, რომ აეროპორტის საბაჟო სამსახურში 39 თანამშრომელი მუშაობს, რომელთა მინიმალური ხელფასი 500 ლარია, ხოლო მაქსიმალური - 1200 ლარი.

საკადრო ცვლილებები გატარდება, აგრეთვე, სხვა საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე, რადგან გიორგი გოდაბრელიძის თქმით, საბაჟოს უფროსების დიდხანს ერთ ადგილზე მუშაობა საბაჟოს ხელმძღვანელობის იმპორტიორებთან გარიგების რისკს ზრდის.

ცნობისთვის: საბაჟოში გატარებული სტრუქტურული რეფორმების შედეგად, ოთხი რეგიონული საბაჟოდან გაუქმებულია ორი; ახალი სტრუქტურის საფუძველზე ფუნქციონირებს მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის რეგიონული საბაჟოები.

ასევე გაუქმებულია გორის მოძრავი საბაჟო და საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებული საბაჟო გამშვები პუნქტი "მამისონი."

სტრუქტურულმა რეორგანიზაციამ საბაჟო დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობის 12 პროცენტით შემცირება გამოიწვია. 2005 წლის 4 იანვრამდე დეპარტამენტში დასაქმებული იყო 1146 თანამშრომელი, 5 იანვრიდან კი საბაჟო დეპარტამენტში მუშაობას აგრძელებს 1025 თანამშრომელი.

24 საათი

ანტიმონოპოლიური სამსახური სიგარეტის ფასის სპეკულაციურ ზრდას გამორიცხავს

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებს ქვეყანაში სიგარეტის ბაზარზე არსებული მდგომარეობის მონიტორინგს, რომლის შედეგადაც სამსახური ასკვნის, რომ სიგარეტის გაძვირება განპირობებულია:

დასახელება	აქციზის ფასი (თეთრი)		პროდუქციის ფასი (ბლოკი) ლარი		საცალო ფასი (ლარი)	
	ძველი	ახალი	ძველი	ახალი	ძველი	ახალი
მარლბორო	40	90	17.0	24.6	2.5	2.8-3.0
ჩესტერფილდი	40	90	14.3	20.6	1.6	2.2
პარლამენტი	40	90	31.6	34.6	3.5	4.0
მტკვარი	25	70	6.0	13.5		1.5
ელ-ემი	25	70		15.2		1.7
ასტრა-ექსპრესი	25	70		12.3		1.3
უფილტრო ასტრა	10	25		4.1		
ვინსტონ ლაითი			14.0	21.8		2.3
მონტეკარლო			9.0	16.3		1.7
კარელია			17.0	24.6		2.5
ვაისროი			13.0	15.6		1.7
კენტი			23.0	28.0	2.5	3.0
დავიდოვი			28.0	35.0	3.0	3.6

საგადასახადო კოდექსში სიგარეტზე აქციზების მატებით. კერძოდ, ახალი კოდექსით იმპორტირებულ ფილტრიან სიგარეტზე აქციზი 90 თეთრი იქნება, ადგილობრივი წარმოების სიგარეტზე - 70 თეთრი. უფილტრო სიგარეტი (იმპორტირებული) 25 თეთრით, ადგილობრივი - 15 თეთრით დაიბეგრება.

აქედან გამომდინარე, 30 დეკემბრიდან 5 იანვრის ჩათვლით, მიმდინარეობდა სიგარეტის იმპორტიორ და მწარმოებელ ფირმებში არსებული ნაშთების ინვენტარიზაცია, რის გამოც ბაზარზე არ შესულა სიგარეტის ახალი პარტია, რამაც შექმნა დეფიციტი და გამოიწვია პანიკა.

5 იანვრიდან უკვე დაწყებულია ქსელში სიგარეტის შეტანა, რაც ბაზარს სტაბილურს გახდის და, სავარაუდოდ, სიგარეტის ფასები იქნება:

მოკვლეული მასალებიდან ჩანს, რომ სიგარეტის ბაზარზე ფასების მომატება გამოიწვევს პროდუქციის გაძვირებას 50-70 თეთრით, რაც შეესაბამება აქციზის განაკვეთის ცვლილებას.

ანტიმონოპოლიური სამსახურის ინფორმაციით, განსაკუთრებით მაღალი იყო ფასი "ფილიპ-მორისის" მიერ წარმოებულ სიგარეტებზე, რაც დამატებით განპირობებული იყო ფირმა "ომეგას" (რომელიც ფილიპ-მორისის ძირითადი დისტრიბუტორია) საქმიანობის შეფერხებით, რამაც შექმნა დეფიციტი ბაზარზე. მაგრამ, 1 იანვრიდან "ომეგამ" აღადგინა მუშაობა და დეფიციტის მასშტაბები მაქსიმალურად შემცირდება.

"ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სიგარეტის ბაზარზე ფასების მომატება გამოიწვია აქციზური გადასახადის მომატებამ. ამ ეტაპზე პანიკის საფუძველი არ არსებობს და ფასების შეთანხმებულ, სპეკულაციურ ზრდას სრულად გამოვრიცხავთ," - აცხადებენ ანტიმონოპოლიურ სამსახურში.

24 საათი

საშობაო საჩუქარი საქართველოს მოსახლეობას

საშობაოდ საქართველო 24-საათიან ელექტრომომარაგებაზე გადავიდა. როგორც 6 იანვარს გამართულ ბრიფინგზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს ყველა რეგიონი ელექტროენერგიას 24 საათის განმავლობაში მიიღებს. ელექტრომომარაგების ასეთი რეჟიმი იქნება ძველით ახალი წლისთვის, 14 იანვრისთვისაც.

გიგიტა ბუხაიძის ფოტო

გილაური კმაყოფილია.

მთლიანად, საქართველოს მასშტაბით, 24-საათიანი ელექტრომომარაგება 7 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება. მოსახლეობას ელექტროენერგია 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება ძველით ახალ წელსაც - 13-14 იანვარს. ამის შესახებ გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

მინისტრის თქმით, ახალი წლის დღეების დასრულების შემდეგ ძველი გრაფიკი ამოქმედდება. კერძოდ, დიდ ქალაქებს ელექტროენერგია დღე-ღამეში 19-20-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. რეგიონები, გადახდის მიხედვით, 3-8 საათიანი გრაფიკით მომარაგდება, ხოლო თბილისს უწყვეტი - 24-საათიანი ელექტრომიწოდება ექნება.

ნიკა გილაური პირობას დებს, რომ 1 ოქტომბრიდან ქვეყანას ელექტროენერგია უპრობლემოდ მიეწოდება. ამის თქმის საფუძვლად იგი სამინისტროში შემუშავებულ გეგმას ასახელებს, რომლის განხორციელება პრივატიზაციიდან შემოსული თანხებით უნდა მოხდეს.

პრივატიზაციიდან შემოსული თანხებიდან 50-75 მილიონი აშშ დოლარი სწორედ ენერგოსექტორს მოხმარდება.

როგორც ნიკა გილაურმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული თანხა ჰესების რეაბილიტაციაზე, გარდაბნის თბოელექტროსადგურის "თბილსრესის" ენერგობლოკების სარემონტო სამუშაოებზე, ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე, გამრიცხველიანებასა და ბუნებრივი აირის შესყიდვაზე დაიხარჯება.

ბრიფინგზე ნიკა გილაურმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ ენერგეტიკოსს, რომლებიც სადისპეტჩეროში თუ ჰესებსა და ქვესადგურებზე ახალი წლის დღეებში მუშაობდნენ.

"ელექტროენერგიის მიწოდების თვალსაზრისით, ეს იყო რეალურად ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ახალი წელი ბოლო წლების განმავლობაში. პრაქტიკულად, 2004 წლის 25 დეკემბრიდან 2005 წლის 2-3 იანვრამდე მთელ ქვეყანას თითქმის უპრობლემოდ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. იყო გარკვეული შეფერხებები, თუმცა მასზე სწრაფი რეაგირება ხდებოდა. ახალი წლების დღეებში საქართველოში მოხმარება იყო თითქმის 1 900 მეგავატი, რაც რეკორდული მაჩვენებელია," - აღნიშნა ნიკა გილაურმა.

24 საათი

სავალუტო რეფორმა თურქეთში

თურქული ლირა ექვს ნულს კარგავს

ახალ წელს თურქეთის რესპუბლიკა ახალი ეროვნული ვალუტით შეხვდა. მრავალნულიანი ლირა 2005 წლის 1 იანვრიდან ექვსი ნულისგან "გათავისუფლდა." მეზობელი ქვეყნის ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ეს ცვლილება ეროვნული ეკონომიკის გამოცოცხლების სიმბოლო გახდება.

თურქეთში ჩასულ ნებისმიერი ქვეყნის ტურისტს, რომელსაც თავისუფლად შეეძლო თავი მულტიმილიონერად ჩაეთვალა, ძალიან ხშირად ნერვებს უშლიდა თურქული ექვსნიშნა ლირები. მაღაზიებში თუ ბაზრობებზე მოსიარულე ახალჩასულ ტურისტებს ადგილობრივი მცხოვრებლებისგან იოლად გამოარჩევდით. ისინი ყოველთვის დაბნეულები იყვნენ და თურქული ლირების ნულებს გულდასმით ითვლიდნენ. ცვლილებამდე ერთი აშშ დოლარი მილიონ სამასი ათასი ლირა ღირდა. ქალაქში გასეირნება კი, სულ მცირე, 5 მილიონი დაგიჯდებოდათ.

ეროვნული ვალუტის გაუფასურება თურქეთში დაახლოებით ოთხი წლის წინ დაიწყო, რასაც ეკონომიკის დაქვეითება და 2 მილიონზე მეტი ადამიანის სამსახურის გარეშე დატოვება მოჰყვა.

სხვათა შორის, 2001 წელს თურქეთში ინფლაცია 70 პროცენტს უტოლდებოდა.

გასულ წელს ეროვნული ვალუტის ინფლაცია მკაცრ კონტროლზე ჰყავდა აყვანილი თურქეთის ხელისუფლებას, რაც, გარკვეულწილად, ეკონომიკის აღმავლობის წინაპირობად იქცა კიდეც. წინასწარი გათვლებით, შარშან თურქეთის ეკონომიკა 7.9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ინფლაცია 10 პროცენტით შემცირდა.

ახალი წლიდან 1 მილიონი ლირა ერთ ლირის ტოლფასი გახდა. თურქეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ეს ცვლილება სერიოზულ სტიმულს მისცემს საერთაშორისო ვაჭრობას და, რაც მთავარია, ტურისტების გარდა, ხარჯების გაკონტროლებას ადგილობრივ მაცხოვრებლებსაც გაუადვილებს. **"ახალ ვალუტაზე გადასვლამ დაადასტურა, რომ ჩვენს ეკონომიკას ჩაკეტილი წრის გარღვევა შეუძლია. ახალი ლირა სტაბილური ეკონომიკის სიმბოლოა, რომელზედაც ჩვენ მთელი ეს წლები ვოცნებობდით,"** - განაცხადა თურქეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარემ.

თურქული ლირის ამ ცვლილებას სხვადასხვა ქვეყნის ფინანსისტები დადებითად გამოეხმაურნენ. "ასოშეიტიდ პრესის" მთავარი ეკონომისტის შეფასებით, **"თურქული ლირა დღემდე ფარატინა ქაღალდი იყო."**

თუმცა, წვრილი ვაჭრები ამ ცვლილებას ცოტა ეჭვის თვალით უყურებენ და კომენტარისას ფრთხილობენ. **"წარმოიდგინეთ, რა გავლენას მოახდენს ეს ცვლილება იმ ადამიანის ფსიქიკაზე, რომელსაც შემნახველ სალაროში 10 მილიარდი ლირა ჰქონდა,"** - ამბობს ერთ-ერთი წვრილი მოვაჭრე.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის (თბსბ) 6 იანვრის ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა (4 - გამყიდველისა და 1 - მყიდველის სტატუსით) კომერციულმა და ეროვნულმა ბანკმა. დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება აშშ დოლარზე, რომლის საერთო მოცულობამ 900.000 აშშ დოლარი შეადგინა. ვაჭრობაში ეროვნულმა ბანკმა 800.000 აშშ დოლარი შეიძინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აბონენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2005 წლის იანვრის ყოველ შაბათ დღეს სს "თელასის" სერვის-ცენტრები სრული დატვირთვით იმუშავებს. როგორც "მედია-ნიუსს" თელასში განუცხადეს, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა და მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა თბილისელ აბონენტებს უქმე დღეს უკვე 9-დან 17 საათამდე შეეძლებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

საჩხერე. საჩხერის რაიონის გამგებელი ზურაბ ცერცვაძე "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ადგილობრივი წარმოების დაბრკოლებაში ადანაშაულებს. მისი განმარტებით, საჩხერე საქართველოს მასშტაბით ელექტროენერგიის საფასურის ყველაზე კარგი გადამხდელია. ხშირი გამორთვებით კი ადგილობრივი მეწარმეები ზარალდებიან, რომელთაც ხელშეკრულებები ფინელ და თურქ პარტნიორებთან აქვთ გაფორმებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის მიერ ამ დღეებში მიღებული ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უკვე შევიდა. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის კანცელარიაში განაცხადეს, კანონი ხელმოსაწერად წარედგინება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც მასზე ხელის მოსაწერად 10-დღიანი ვადა აქვს. ხელმოწერის შემდეგ კანონი კვლავაც პარლამენტს გადაეგზავნება, რათა საკანონმდებლო ორგანომ დასაბეჭდად გადასცეს იუსტიციის სამინისტროს. კანონი იუსტიციის სამინისტროს ჟურნალ "საკანონმდებლო მაცნეში" დაიბეჭდება და სწორედ ამის შემდეგ შევა იგი ძალაში. **მედია-ნიუსი**

უკრაინის ახალი პირველი ლედი ქმრის მოწამვლის, პოლიტიკისა და ტირანიაზე გამარჯვების შესახებ

გასულმა წელმა უამრავი გულის ტკენა და იმავდროულად დიდი სიხარული მოუტანა კატერინა იუშენკოს, უკრაინის ახალ პირველ ლედის. უკრაინამ ვიქტორ იუშენკო პრეზიდენტად აირჩია და კატერინა, რომელიც აშშ-ში დაიბადა, სიხარულით იყო აღსავსე, როდესაც მეუღლესთან ერთად ტრიბუნაზე იდგა და იუშენკოს მომხრეებისგან შემდგარ "ფორთოხლისფერ ზღვას" ხელს უქნევდა. "ფორთოხლისფერმა რევოლუციამ", რომლის შედეგად ხალხმა გაყალბებული არჩევნების შედეგების გაუქმება შეძლო, კიევში ეიფორიის გრძნობა მოიტანა. გარდა ამისა, შეიცვლება უკრაინის პოლიტიკური კურსი, ქვეყანა დასავლეთისკენ აპირებს მობრუნებას, საიდანაც მოხვდა უკრაინაში კატერინა – ჩიკაგოში გაზრდილი ემიგრანტების ქალიშვილი.

უკრაინის "პირველი" ოჯახი.

იუშენკომ არჩევნებში გაიმარჯვა და ამით კატერინას ოცნება ახდა, რომელიც საკმაოდ ძვირად დაუჯდა. გასული წლის სექტემბერში მისი ქმარი პოლიტიკურმა მეტოქეებმა მოწამლეს და სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. მოწამვლის შემდეგ, ვიქტორ იუშენკოს სახე და სხეული წყლულებით დაეფარა და მუდმივ ტკივილს განიცდის. "მის გარეგნობაში მომხდარი ცვლილებები ჩემთვის საშინელებათა ფილმის ტოლფასი იყო. მეშინოდა, რომ მოკვდებოდა, ხოლო მე არაფრის შეცვლა არ შემეძლო. ლოცვაღა დამრჩენოდა," - ამბობს კატერინა. ვიქტორ იუშენკო თვლის, რომ დიოქსინით მოწამლეს. ის უკრაინის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებთან ვახშმობის შემდეგ გახდა ავად.

კატერინა ამბობს, რომ თუ მისი ქმარი მართლა ამ ვახშმობის დროს მოწამლეს, ეს აქტი მისი მოწინააღმდეგეების მხრიდან წინდახედული ნაბიჯი არ იყო: "ვიქტორი უფრო მტკიცე და მობილიზებული გახდა, რათა ქვეყანა გათავისუფლებულიყო ადამიანებისგან, რომლებიც თავიანთ ოპონენტებზე მსგავს მეთოდებს იყენებენ". შხამიანი ნივთიერების დოზა მეტი რომ ყოფილიყო, 50 წლის იუშენკო მოკვდებოდა. დღეს მას გამოჯანმრთელებისა და გარეგნობის აღდგენის შანსი აქვს, თუმცა საამისოდ დროა საჭირო. "ჩვენი შვილები ვიქტორის გარეგნობის ცვლილებამ არ შეაშინა, რადგან მათ უყვართ მამა. ვფიქრობ, ამ ყველაფრის შემდეგ უფრო გავძლიერდით," - ამბობს კატერინა. "გულის სიღრმეში ყოველთვის ვგრძნობდი: თუ ვიქტორის მტრები პოლიტიკური საშუალებით ვერ გაიმარჯვებდნენ, ისინი ვიქტორის ფიზიკურ განადგურებას შეეცდებოდნენ. ჩემი წინათგრძნობის შესახებ ხშირად ვუყვებოდი ვიქტორის კოლეგებს, ისინი მარწმუნებდნენ, რომ ეს არ მოხდებოდა. ჩემი ვარაუდი მაინც გამართლდა," - ამბობს იგი. კატერინა იუშენკო 1961 წელს დაიბადა ჩიკაგოში. მისი მშობლები უკრაინელები არიან, რომლებიც ომის წლებში გერმანიაში გადაასახლეს. მამამისი ელექტრიკოსი იყო, დედა – მქსოველი. ცივი ომის დაწყების შემდეგ კატერინას მშობლებს დაბრუნების შესაძლებლობა არ ჰქონდათ სამშობლოში, რომელიც ძალიან ენატრებოდათ და ათასობით უკრაინელი ემიგრანტის მსგავსად, მისი დამოუკიდებლობა სურდათ. კატერინა ამბობს, რომ "ორი ცხოვრებით ცხოვრობდა": "ვსწავლობდი ამერიკულ სკოლებში, მყავდა ამერიკელი მეგობრები, თუმცა სახლში უკრაინულად ვლაპარაკობდით. დავდიოდი უკრაინულ ეკლესიაში და უკრაინულ ცეკვებს ვსწავლობდი". 1975 და 1979 წლებში კატერინა დედასთან ერთად ორჯერ იყო უკრაინაში და ეს ქვეყანა შეიყვარა. კოლეჯში სწავლის დროს კატერინას მიმტანადაც უწევდა მუშაობა. 1986 წელს მან ჩიკაგოს უნივერსიტეტი დაამთავრა და საბანკო საქმეში ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო. რონალდ რეიგანის მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს ის თეთრ სახლში მუშაობდა, სადაც აღმოსავლეთ ევროპის საკითხებით იყო დაკავებული, აგრეთვე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობდა. 1991 წელს კატერინა უკრაინაში სამუშაოდ ჩავიდა, ამერიკელი სპეციალისტების ჯგუფის შემადგენლობაში, უკრაინაში ამერიკული დახმარების გაწევის პროგრამის ფარგლებში. უკრაინაში ჩასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, ის აშშ-ში ათი უკრაინელი ბანკირისგან შემდგარ ჯგუფს გაჰყვა, რათა მათთვის დასავლეთის ფინანსური სისტემის პრინციპები ესწავლებინათ. თვითმფრინავში კატერინას ადგილი იმავე რიგში აღმოჩნდა, სადაც უკრაინული დელეგაციის ხელმძღვანელი ვიქტორ იუშენკო იმყოფებოდა, რომელიც იმ პერიოდში უკრაინის ეროვნულ ბანკს ხელმძღვანელობდა. ვიქტორ იუშენკომ მასსა და კატერინას შორის მჯდომ კოლეგას სთხოვა, ადგილები გაეცვალათ, რათა "ამ გოგონამ მოგვიყვეს, სად მივფრინავთ და რა უნდა გავაკეთოდ".

კატერინა ამბობს, რომ ვიქტორთან რომანტიკული ურთიერთობა მოგვიანებით დაეწყო, თუმცა მაშინვე აღნიშნა, რომ ვიქტორი – ძალზედ მიმზიდველი მამაკაცი. ვიქტორთან ურთიერთობისას კატერინა მიხვდა, რომ მათ ბევრი საერთო ინტერესი ჰქონდათ. მას ძალზე ესიამოვნა, როდესაც შემთხვევით გაიგო, რომ ვიქტორი ბავშვთა სახლებს და ქალთა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს ეხმარებოდა. 1998 წელს ისინი დაქორწინდნენ. მათი ერთობლივი ცხოვრება იდილიური იყო. "არასოდეს ვიყავით სახლში. დავდიოდით მუზეუმებსა და კინოთეატრებში, ვესწრებოდით კლასიკური მუსიკის კონცერტებს ან თეატრს. ჩვენ ორივე თავგადაკლული თეატრალები ვართ. ვიქტორი ძალიან კარგად ხატავს, ნამდვილი მხატვარივით. გარდა ამისა, ხისგან და ლითონისგან სამშვენისებს აკეთებს," - ამბობს კატერინა. მისი თქმით, უკრაინაში გაჩაღებული პოლიტიკური კრიზისის დროსაც კი ქმარი პოულობდა დროს პოლიტიკისგან დასასვენებლად, ხატავდა სურათებს. 2000 წელს ლეონიდ კუჩმამ ვიქტორ იუშენკო პრემიერ-მინისტრად დანიშნა. ახალი პრემიერის კორუფციასთან ბრძოლის მცდელობამ უკრაინაში ბევრი გავლენიანი ფიგურა გაანაწყენა. ერთ წელიწადში იუშენკო პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გაათავისუფლეს. იუშენკოს მტრებმა მის მეუღლეს ამერიკელი აგენტი უწოდეს, რომელიც სპეციალურად იყო გამოგზავნილი უკრაინაში ვიქტორ იუშენკოს გასაპრეზიდენტებლად, რომელიც შემდგომში ამერიკელების ხელში მარionეტი გახდებოდა. კატერინა კი ამბობს, რომ პოლიტიკა – ყველაზე უკანასკნელი თემაა, რომელსაც ცოლ-ქმარი ეხება ხოლმე. "ვიქტორი მიჩვეულია პოლიტიკისა და ოჯახური ცხოვრების გაყოფას. მას უნდა, იცოდეს, როგორ არიან ბავშვები და რას აკეთებენ. ის სახლში ხშირად მოდის გვიან და აღვიძებს ბავშვებს, რადგან მათთან ლაპარაკი უნდა". უკრაინის ახალი პირველი ლედი იმედოვნებს დასავლეთში მცხოვრები მილიონობით უკრაინელის მოზიდვას უკრაინის ეკონომიკაში ინვესტიციების დასაბანდებლად.

თაიმსი

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი: მსოფლიოში ანტისემიტიზმი იზრდება

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ყოველწლიური მოხსენება გამოაქვეყნა, მსოფლიოს 62 ქვეყანაში ანტისემიტურ სიტუაციასთან დაკავშირებით. ეს პირველი მსგავსი დოკუმენტია, რომელიც ამერიკის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ მოამზადა. ასეთი მოხსენებების პუბლიკაციას სპეციალური კანონი ითვალისწინებს, რომლის მიღებაზეც სახელმწიფო დეპარტამენტი თავიდან უარს ამბობდა და რომელსაც გასული წლის შემოდგომაზე პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მოაწერა ხელი.

დოკუმენტში შემავალი ძირითადი დასკვნები ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ მაიკლ კოზაკმა გამოიტანა. მოხსენების შემდგენებმა მსოფლიოში ანტისემიტური განწყობის მნიშვნელოვნად მომძლავრება დაადასტურეს, კერძოდ, ევროპაში უკანასკნელი წლის მანძილზე. იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც ანტისემიტური ინციდენტების ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა, როგორიცაა ებრაელებზე და ებრაელთა ოფისებზე თავდასხმა, ებრაელთა სასაფლაოებსა და სინაგოგებზე განხორციელებული ვანდალური აქტები, აღმოჩნდა საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბელგია და ჰოლანდია.

სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილის განცხადებით, თანამედროვე ანტისემიტიზმს ორი შემადგენელი გააჩნია: პირველ რიგში, ეს რადიკალური მემარჯვენე ნაციონალისტური ძალების მხრიდან ებრაელებისადმი ტრადიციული სიძულვილია, მეორე, ევროპის ფართო მაჰმადიანურ თემში ანტიებრაული და ანტიისრაელური განწყობილება. როგორც მაიკლ კოზაკმა განაცხადა, ანტისემიტური პასაჟები ხშირად იკითხება ევროპულ ბეჭდვით მედიაშიც.

სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში რუსეთი განსაკუთრებულად არის მოხსენიებული. რუსეთში ანტისემიტიზმის პრობლემის სერიოზულობის დამადასტურებლად არა მარტო "სქინჰედებისა" და სხვა ულტრანაციონალისტური ორგანიზაციების წევრთა ებრაელებზე ურიცხვი თავდასხმის შემთხვევებია მოყვანილი, აგრეთვე, მთელი რიგი პოლიტიკობის ანტისემიტური გამონათქვამებიც, კერძოდ, ფრაქცია "როდინას", რუსეთის კომპარტიისა და ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა გამოსვლები რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში. მაიკლ კოზაკი იუწყება, რომ მსგავსი ფაქტების გამო რუსეთის ხელმძღვანელობას ამერიკის მთავრობის შეშფოთებას დიპლომატიური არხებით მიაწვდიან. მსოფლიო ანტისემიტიზმის შესახებ მოხსენებაში არ არის თავი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ეთმობა. კოზაკის განმარტებით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკაში ასეთი პრობლემა არ არსებობს, უბრალოდ, "საკუთარ ქვეყანაში სიტუაციის შეფასება სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან არაეთიკური იქნებოდა".

24 საათი

ჩინეთის მოსახლეობამ ოფიციალურად 1 მილიარდ 300 მილიონ ადამიანს მიაღწია

ამ ნიშნულს ჩინეთმა შუაღამისას გადააბიჯა, როცა პეკინის ერთ-ერთ სამშობიარო სახლში ბიჭი დაიბადა. ბავშვის მამა ავიაკომპანია "ეირ ჩაინაში" მუშაობს, დედა კი – ნავთობის გიგანტის "შელის" ჩინური ფილიალის მოსამსახურეა. მათ საპატიო სერტიფიკატი გადაეცემათ. როგორც ჩინური საინფორმაციო საagენტო "სინჰუა" აღნიშნავს, შობადობის შეზღუდვის სამთავრობო პროგრამის რეალიზაციის გარეშე, მილიარდ სამასმილიონიან ზღვარს ჩინეთი ჯერ კიდევ 4 წლის წინ დაძლევდა, ამჟამად კი ქვეყნის მოსახლეობა 1,5 მილიარდს გადააჭარბებდა. ჩინეთში დემოგრაფიული პოლიტიკის პრინციპები 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, როდესაც სახელმწიფო შობადობის ბუმის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სწორედ 30 წლის წინ ჩინეთში მიიღეს კანონი "ერთი ოჯახი - ერთი ბავშვი", რომლის მიზანი მოსახლეობის სიჭარბისგან ქვეყნის დაცვა იყო. მაშინ დამრღვევებს შრომით ბანაკებში გადასახლებით, სამუშაოდან გათავისუფლებით, ფულადი ჯარიმითა და იძულებითი სტერილიზაციით ემუქრებოდნენ. ახლა ისეთი ფულადი ჯარიმებია დაწესებული, რომლის გადახდა მხოლოდ შეძლებულ ჩინელებს შეუძლიათ. ამ პროგრამის რეალიზაციის შედეგად, ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში ჩინეთში შობადობის კოეფიციენტი 5,8%-დან 1,8%-მდე შემცირდა. თუმცა, ქვეყანა სერიოზული ასაკობრივი და სქესობრივი დისბალანსის საფრთხის წინაშე დგას. ახალგაზრდობას პენსიონერთა უზარმაზარი რაოდენობის რჩენა მოუწევს. მამაკაცებს კი ოჯახების შექმნა გაუჭირდებათ. საქმე ისაა, რომ ტრადიციულად ჩინურ ოჯახში ქალზე მეტად ვაჟი ფასობს. ზოგიერთი ქალი აბორტსაც კი იკეთებს, როცა ულტრაბგერითი გამოკვლევა ნაყოფის სქესად მდედრობითს უჩვენებს. სტატისტიკური მონაცემებით, ამჟამად 119 ბიჭზე 100 გოგონა იბადება. 2020 წლისთვის კი ჩინეთში 40 მილიონით მეტი მამაკაცი იქნება, ვიდრე ქალი.

24 საათი

ცუნამით დაზარალებულს გაერთიანებული მსოფლიო აღადგენს

როგორც ჩანს, 2004 წლის ბოლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას თავსდატეხილი, ალბათ, უახლესი ისტორიის ყველაზე მასშტაბური სტიქიური უბედურება, გარკვეულწილად, მსოფლიოს გაერთიანებასაც შეუწყობს ხელს. ყოველ შემთხვევაში თითქმის ყველა ქვეყანამ უკვე გამოთქვა მზადყოფნა, ხელი გაუწოდოს კატასტროფის ზონაში მცხოვრებთ.



კოფი ანანი: ჩვენი დახმარება დროული და კარგად კოორდინირებული უნდა იყოს.

ხუთშაბათს ცუნამის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში საგანგებო საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა კიდევ ერთხელ მოუწოდა მსოფლიო საზოგადოებრიობას, "ღირსეულად" შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება და სტიქიას გადარჩენილებს ფინანსური და სხვა სახის დახმარება გაუწიოს. "ის რაც 26 დეკემბერს მოხდა უპრეცედენტო გლობალური კატასტროფა იყო. ამიტომაც აქამდე არნახულ გლობალურ რეაქციასაც მოითხოვს. გაერო-სთვის, თავისი 60 წლიანი არსებობის მანძილზე, ეს ყველაზე დიდი კატასტროფაა," - განაცხადა გენერალურმა მდივანმა ჯაკარტაში. ანანის თქმით, ამ ეტაპზე, დაუყოვნებლივ არის საჭირო 977 მლნ აშშ დოლარის გამოყოფა.

სტიქიის მსხვერპლთათვის გამოყოფილი დახმარების საერთო მოცულობა 4 მილიარდ დოლარს უახლოვდება. თუმცა, ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პროგრამებისთვის არის გათვალისწინებული.

ცუნამით დაზარალებული ქვეყნებისთვის ყველაზე მსხვილი თანხა - 810 მილიონი დოლარი – ავსტრალიამ გამოყო. ფინანსური დახმარების მოცულობით მეორე ადგილზეა გერმანია (674 მილიონი დოლარი), იაპონია დაზარალებული სახელმწიფოებისთვის 500 მილიონი დოლარის გამოყოფას აპირებს. უდიდესი დონორების სიაში აშშ-ს მეოთხე ადგილი უკავია (350 მილიონი დოლარი). ოთხშაბათს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავისი პირადი სახსრებიდან დაზარალებულთა დახმარების ფონდში 10 ათასი დოლარი გადარიცხა.

კანადამ, კრედიტორი ქვეყნებიდან პირველმა, სტიქიით დაზარალებული ქვეყნების საგარეო ვალის გადახადზე ცალმხრივი მორატორიუმი გამოაცხადა. ჰუმანიტარულ ოპერაციაში უღარიბესი ქვეყნებიც ჩაერთვნენ – ჩრდილოეთ კორეა 150 ათას დოლარს გამოყოფს, ავღანეთი კი უბედურების ზონაში ექიმებს აგზავნის.

გაეროს შეფასებით, მსხვერპლთა საერთო რაოდენობა 150 ათას ადამიანს აღემატება და შესაძლოა, გაორმაგდეს, თუ სტიქიური უბედურების ზონაში ეპიდემიის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

კოფი ანანის გარდა, საგანგებო ფორუმში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალჩინოსნები, მათ შორის, გაერო-ს სხვადასხვა სპეციალური დაწესებულებების (უნისეფი, ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და ა.შ.), ევროპის კომისიის და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელები, ავსტრალიის, ჩინეთის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ კორეის და იაპონიის პრემიერ-მინისტრები, ასევე დიდი ბრიტანეთის, ინდოეთის, კანადის, აშშ-ის და შრი-ლანკას საგარეო პოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

გუშინ დილით ინდოეთის ოკეანეში ახალი ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა. მათმა ძალამ რიხტერის შკალით 6,2 ბალი შეადგინა. მსხვერპლის და ნგრევის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი.

24 საათი

ნაკლები ხანძარი და ჭანმრთელი მოსახლეობა

მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ მეტ-ნაკლები ეფექტურობით სხვადასხვა სახის კამპანიაა გაჩაღებული, კანადა ხდება პირველი ქვეყანა, რომელიც ისეთი სიგარეტის წარმოებას დაიწყებს, რომლის აალება მაქსიმალურად გამორიცხული იქნება. მართალია, ხანძრის გამოწვევის თვალსაზრისით უსაფრთხო სიგარეტები ნიუ-იორკშიც იყიდებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევა იყო და მთელი ქვეყნის მასშტაბით არ გავრცელებულა.

კანადაში თამბაქოს მწარმოებლების წინაშე იდგა ამოცანა, შეექმნათ ისეთი სიგარეტი, რომელიც ვერ გამოიწვევდა ხანძარს. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის გარდა, ქვეყანაში ამ მეთოდის აპრობირების ერთ-ერთი მოტივი ესეც იყო. კანადის ფედერალური ხელისუფლების მონაცემებით, ქვეყანაში ყოველწლიურად დაფიქსირებული ხანძრის შემთხვევებიდან 2 000 სწორედ სიგარეტის მიზეზით იყო გამოწვეული, იღუპებოდა საშუალოდ 70 ადამიანი, 200-ზე მეტი მოქალაქე კი სხვადასხვა სახის სხეულის დაზიანებით ხვდებოდა საავადმყოფოში. რაც შეეხება მატერიალურ ზარალს, იგი დაახლოებით 28 მლნ. დოლარს შეადგენდა.

კანადური სიგარეტის მწარმოებლები 20 წლიანი გამოცდილების გაანალიზების შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ ხანძრის გამომრიცხავი ტექნოლოგიის შემუშავება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. საამისოდ საკმარისია შემცირდეს სიგარეტის დიამეტრი, ნაკლებად დაიტკეპნოს თამბაქო და შეიცვალოს ქაღალდი. ამგვარად, გაუფრთხილებლობით დატოვებული ანთებული სიგარეტი უმალ ჩაქრება.

სიგარეტის ახალი ტექნოლოგიით დამზადების იდეა კანადაში გასული წლის დეკემბერში გაჩნდა და პარლამენტშიც უმალვე იპოვა მხარდამჭერები. პარლამენტარი ჯონ მაკკეი იყო სწორედ ის პირი, ვინც ამ იდეას კანონპროექტის სახე მისცა. აღნიშნული პროექტი კანონის სახეს, სავარაუდოდ, იანვრის ბოლომდე მიიღებს. რაც შეეხება თავად პროდუქციას, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის კანადური სიგარეტის მწარმოებლების პროდუქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი სტანდარტების შესაბამისი იქნება.

ცხადია, ყოველივე ზემოთქმული სიგარეტის მიზეზით ხანძრის საფრთხეს აბსოლუტურად არ გამორიცხავს, თუმცა, სპეციალისტთა მტკიცებით, იგი მაქსიმალურად შემცირდება.

ბი-ბი-სი

ორი სიტყვით

საუდის არაბეთი. იანვარში საუდის არაბეთი საკუთარი "ისლამური მობილური ტელეფონის" გამოშვებას იწყებს. მწარმოებელი კომპანიის ხელმძღვანელმა ღაზი ას-შალჰუბმა ხუთშაბათს ადგილობრივ გაზეთ "არაბ-ნიუსს" განუცხადა, რომ ახალი ფიჭური აპარატი აწყობილია და მისი წარმოება უცხოელების ჩარევის გარეშე მოხდება. "ისლამურ მობილურს" ტევადი მეხსიერება გააჩნია, მას 15-წუთიანი საუბრის ჩაწერა შეუძლია, აქვს დიდი ფერადი ეკრანი, აჩვენებს მიმართულებას, საითაც მლოცველები ლოცვის დროს იყურებიან დედამიწის ხუთი ათას ქალაქში და შეუძლია მუშაობა ექვს ენაზე არაბულის, სპარსულის, ინდონეზიურის და ურდუს ჩათვლით. კომპანიას უცხოელი მომლოცველების იმედი აქვს და პირველ წელს 110 დოლარის ღირებულების ორი მილიონი აპარატის გაყიდვას გეგმავს. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

სამხრეთ აფრიკა. ყოფილი პრეზიდენტის ნელსონ მანდელას ვაჟი – მაკგატო, შიდსით გარდაიცვალა. ამის შესახებ თავად ნელსონ მანდელამ გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის შიდსით განადგურების თემას შავ კონტინგენტზე ტაბუ აქვს დადებული. გარდა ამისა, მანდელამ მსოფლიოს ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისკენ მოუწოდა. მაკგატო მანდელა 54 წლის იყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ერაყი. ერაყის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ მოსულის შემოგარენში 18 ახალგაზრდა ერაყელის ცხედარია აღმოჩენილი. ამის შესახებ გუშინ ერაყის პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს. წინასწარი მონაცემებით, დანაშაული 8 დეკემბერსაა ჩადენილი. ექსტრემისტებმა მოსულის მახლობლად ორი მიკროავტობუსი გააჩერეს, რომლითაც ბაღდადელი ახალგაზრდები მგზავრობდნენ. ისინი მინდორში გაიყვანეს და დახვრიტეს. დაღუპულები, რომელთა ასაკი 18 წელს არ აღემატება, ბაღდადის შიიტური რაიონის ელ-ქაზემიას მცხოვრებლები იყვნენ. ისინი ერაყულმა ფირმამ მოსულში აშშ-ის სამხედრო ბაზაზე სამუშაოდ დაიქირავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სომალი. სააგენტო "როიტერ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცენტრალურ სომალიში ორ დაპირიპისრებულ კლანს შორის შეტაკებას 14 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო 34 დაიჭრა. თვითმხილველთა თქმით, შეტაკება ქალაქ ჰობაოს მახლობლად მოხდა. ჯერჯერობით უცნობია მისი გამომწვევი მიზეზები. კლანური დაპირისპირების შედეგად მხოლოდ გასული წლის დეკემბერში 115 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 192 დაიჭრა. **როიტერი**

კვამლი უცვეცხლოდ?

სააქციო საზოგადოება "თბილგაზის" აქციების 96,05 პროცენტს ქალაქის მერია ფლობს. 2003 წლის 21 აგვისტოს, ტენდერის საფუძველზე, აქციები 10 წლის მართვის უფლებით გადაეცა ამხანაგობა "ახალ მენეჯმენტს". რადგანაც ხელშეკრულება წინა მთავრობის პერიოდშია დადებული და მასში უამრავი მნიშვნელოვანი დეტალი არ არის გათვალისწინებული, ამხანაგობა "ახალ მენეჯმენტს" მიაჩნია, რომ დასადებია ახალი ხელშეკრულება, რომლის პირობებიც დააკმაყოფილებს ქალაქის მთავრობის მოთხოვნებსაც და შესრულებადიც იქნება. საკრებულოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ახალ ხელშეკრულებაზე ფიქრს მას შემდეგ დაიწყებს, როდესაც სპეციალურად შექმნილი კომისია "თბილგაზის" საქმიანობას შეისწავლის.

თამარ დვალი

"მიუხედავად თავისი მასშტაბებისა "თბილგაზი" იზოლირებულია ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო პროცესებისაგან", - აცხადებს დავით მორჩილაძე.

გასო გულაბვილის ფოტო

რამდენიმე დღის წინათ მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე თანამდებობას საკრებულოს თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე ტოვებდა. ამ ფაქტს ორივე მხარე კატეგორიულად უარყოფს.

"მე მორჩილაძის გადადგომა არ მომითხოვია. ამჟამად შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც "ახალი მენეჯმენტის" საქმიანობას იკვლევს. თუკი დარღვევები იქნა აღმოჩენილი, მხოლოდ ამის შემდეგ დავაყენებთ ხელმძღვანელობის გადადგომის საკითხს. ჯერ ამის საფუძველი არ გაგვაჩნია. ეს აჟიოტაჟი ვაკის პარკში გამართულ ღონისძიებაზე ერთ-ერთი ჟურნალისტის დასმულ შეკითხვას მოჰყვა. მე იქ მორჩილაძის გადადგომაზე არაფერი მითქვამს", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ზაზა ბეგაშვილმა.

ბეგაშვილი მორჩილაძის გადადგომის მოთხოვნის ფაქტს კი უარყოფს, მაგრამ ცხადია, რომ იგი "თბილგაზის" ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებულია. "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ქალაქის მთავრობასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვს, რის შემდეგაც, მისი აზრით, ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან იქნება აცილებული.

"სააქციო საზოგადოება "თბილგაზი" წარმოადენს საქართველოში უდიდეს გაზგამანაწილებელ საწარმოს, რომელიც 260000–მდე აბონენტს ემსახურება. მიუხედავად თავისი მასშტაბებისა, "თბილგაზი" იზოლირებულია ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო პროცესებისაგან და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საბჭოთა კავშირში აგრძელებს ცხოვრებას. დღემდე ეს საწარმო არ იმართებოდა ბიზნესის ლოგიკისა და კანონების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, უამრავ პრობლემას წარმოშობდა. დღეს მე დავაყენე საკითხი ქალაქის მთავრობასთან, რომ გაარკვიოს მფლობელმა, ანუ ქალაქის მთავრობამ, თუ რა პირობებს უყენებს მმართველ კომპანიას. შევთავაზე, შევცვალოთ ხელშეკრულება და გამოაცხადონ ახალი ტენდერი", – აცხადებს მორჩილაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების ხელმეორედ გაფორმებაზე მხოლოდ კომისიის დასკვნის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, რასაც მორჩილაძე არ ეთანხმება.

"ხელშეკრულება, რომელიც წინა მთავრობის დროს გაფორმდა, გაფორმების დღიდანვე არ სრულდება. იმისთვის, რომ ორივე მხარემ შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება, საჭიროა, დროულად მოეწეროს ხელი ახალ დოკუმენტს. დღეს, ძველი ხელშეკრულების მიხედვით, ქალაქის მთავრობას აქვს ვალდებულება, გადაიხადოს 15 მილიონი. ეს პარამეტრი, ჩემი აზრით, შეიძლება იყოს ცვლადი ახალ ტენდერში. ქალაქის მთავრობამ შეიძლება სხვა რაოდენობის დოტაცია დაასახელოს და ვინც ნაკლები თანხით მზადაა პასუხისმგებლობის ასაღებად, იმას უნდა მიანიჭონ უპირატესობა. არ მინდა იმის თქმა, რომ მე ყველაზე უკეთესად გავაკეთებ საქმეს, მაგრამ პასუხისმგებელი ვარ იმაზე, რაზეც ხელს მოვაწერ. ჩემი აზრით, ორი პარამეტრით უნდა აარჩიოს ქალაქის მთავრობამ მმართველი კომპანია - განსაზღვროს, თუ რა თანხა უჯდება ქალაქის ბიუჯეტს თბილგაზის ფეხზე დაყენება. ოღონდ, ეს უნდა იყოს გათვლადი და არა ისე, რომ ჩადონ 15 მილიონი, შემდეგ არ ეყოთ და დამატება ითხოვონ, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე; და მეორე - ვინც თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას, იყოს სანდო. არსებობს მეორე გზაც - ქალაქის მთავრობას შეუძლია, გააუქმოს ხელშეკრულება ახალ მენეჯმენტთან, რაც პრობლემას არ წარმოადგენს და მაშინ "თბილგაზი" უშუალოდ ქალაქის მთავრობამ მართოს როგორც აქციონერმა, ანუ მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღოს", – აცხადებს დავით მორჩილაძე.

ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი მიიჩნევს, რომ "თბილგაზში" სერიოზული პრობლემებია და ეს პრობლემები მორჩილაძის მოსვლამდე წარმოიშვა.

"ქალაქის პრემიერი და მე უახლოეს მომავალში შევხვდებით "თბილგაზის" ხელმძღვანელობას. მე ვეთანხმები მორჩილაძეს, რომ ახალი ხელშეკრულებაა გასაფორმებელი, თუმცა ვფიქრობ, რომ ქალაქის მხრიდან პირობები შესრულებულია. კომპანია, რომელიც შეიძლება გახდეს მომგებიანი, არის დოტაციაზე და შთანთქავს უამრავ ფულს. აქედან გამომდინარე, ეს მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება", – აცხადებს ჭიაბერაშვილი.

სანამ ქალაქის მთავრობა "თბილგაზის" ხელმძღვანელობასთან ურთიერთობებს გაარკვევს, მოსახლეობას აინტერესებს, მიეწოდება თუ არა გაზი უწყვეტად და თან მაღალი წნევით.

დავით მორჩილაძის თქმით, "თბილგაზი"-ს ქსელები 1958 წელს დაპროექტდა. ამ პერიოდში ქალაქში გათბობის ცენტრალიზებული სისტემა არსებობდა და გაზმომარაგება, ძირითადად, საყოფაცხოვრებო გაზქურებზე იყო გათვლილი. დღეს, როცა გათბობის ცენტრალიზებული სისტემა არ არსებობს, გაზის მოხმარებამ ერთ სულ მოსახლეზე მკვეთრად მოიმატა (დაახლოებით, ხუთჯერ); ამან კი არსებული ქსელი ტექნიკურად გამოუსადეგარი გახადა, რის გამოც, გაზი დაბალი წნევით მიეწოდება მოსახლეობას. მისივე თქმით, პრობლემას ქმნის "თბილგაზი"-ს დაგროვილი ვალებიც, რომელიც, 1 ნოემბრის მდგომარეობით, 215,4 მლნ ლარს შეადგენს. ამა წლის აგვისტოში "თბილგაზი"-ს ყველა ანგარიშს ყადაღა დაედო, რამაც კომპანიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პარალიზება გამოიწვია. აღნიშნული კუთხით, მდგომარეობა მას შემდეგ გამოსწორდა, რაც "თბილგაზი" გაკოტრება-გადავადების რეჟიმში გადავიდა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიაზე აღსრულებითი ღონისძიებები უკვე აღარ ვრცელდება.

"პირველი ამოცანა, რაც ჩემს წინაშე იდგა, იყო: ქალაქის უწყვეტი გაზმომარაგება, დაბალი ფასები და "გაზპრომთან" ურთიერთობის აწყობა. ეს საკითხები მოგვარებულია. შემდეგი ამოცანა არის, საერთოდ "თბილგაზის", როგორც ორგანიზაციის განვითარება. ეს საკითხი არ გადაწყდება სწორი იურიდიული სივრცის გარეშე. მესმის, რომ ხალხს მარტივი ფრაზებით უნდა ველაპარაკოთ და მათ სურთ მხოლოდ გაზი, მაგრამ მათაც უნდა გაიგონ, რომ თუ არ არის საინვესტიციო გარემო, არ მოდის ინვესტიცია და თუ არ არის ინვესტიცია, არ ვითარდება საწარმო. ინვესტიცია კი მანამდე არ იქნება, სანამ არ გაფორმდება სწორი ხელშეკრულება მფლობელ კომპანიასა და მმართველს შორის", – მიიჩნევს მორჩილაძე.

მისივე თქმით, ხელი მოეწერა ვალის გადახდის ახალ გრაფიკს, რომლის საფუძველზეც, "გაზექსპორტ"-მა 930 000 დოლარის ოდენობის საურავი ულტიმატუმის პირობიდან ამოიღო. ვალის დანარჩენი ნაწილის გადახდა კი, ახალი გრაფიკის მიხედვით, სს "თბილგაზი"-სთვის მაქსიმალურად მოსახერხებელი გახდა. "თბილგაზ"-ში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე, "გაზექსპორტ"-მა გადაწყვიტა, რომ ქართული კომპანია მიმდინარე ვალების დროულად გადახდას შეძლებდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბუნებრივი გაზის ფასი არ გაიზარდა.

ყველაზე მწვავე პრობლემად დღეს მოსახლეობის მიერ მოპარული ბუნებრივი აირის დიდი ოდენობა რჩება.

"ბოლოდროინდელი მოკლევის შედეგად გაზსადენებზე მრავალი უკანონო მიერთება და ავარიული მონაკვეთებია აღმოჩენილი. ამ პროცესს ეკონომიკურ წრეებში "ველური გაზიფიკაცია" დაერქვა. აგრეთვე, აღსანიშნავია გაზმომარაგების სისტემაში არსებული ის მილები, რომლებიც 40 წელია, გამოიყენება და მათი ექსპლუატაციის ვადა უკვე გასულია. მილების ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნილებების მიხედვით, ზემოაღნიშნული ქსელები საჭიროებს როგორც მექანიკურ, ისე ელექტრო-ქიმიურ დაცვას, რაც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, მწვავედ დადგა მილების შეცვლის საკითხი. შესაცვლელი მილების სიგრძე, დაახლოებით, 300 კმ-ია", – აცხადებს მორჩილაძე.

რაც შეეხება "თბილგაზში" არსებულ კორუფციულ სისტემას, მორჩილაძის აზრით, ცალკეული პირების დასჯა გამოსავალი არ არის. ამ მიზნით, შეიქმნა მოკვლევის დეპარტამენტი, რომელსაც ევალება ყველა კონკრეტული ფაქტის შესწავლა და რეაგირება. 1 დეკემბრის მდგომარეობით შემოწმებული 4129 აბონენტიდან აღმოჩენილია გაზის დატაცების 1043 ფაქტი, 1440 აღურიცხავი დანადგარი და 44 მომხმარებელი, რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებული "თბილგაზის" აბონენტებად.

თუკი "თბილგაზი" გააძლიერებს თავის საავარიო, სადისპეტჩერო და საექსპლუატაციო სამსახურებს, დახვეწს ბილინგის სისტემას და გადაწყვეტს უწყვეტი გაზმომარაგების პრობლემას, თუნდაც იგი დოტაციურად რჩებოდეს, შესაძლებელია, გამოიყოს თბილისის უბნები დისტრიბუციისთვის და ასევე, ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. "თბილგაზს" შეუძლია, კონტრაქტორს გაუწიოს საავარიო, სადისპეტჩერო, საექსპლუატაციო და ბილინგის მომსახურება, ხოლო ინვესტორის ძირითადი საქმიანობა შემოიფარგლება დისტრიბუციის სისტემის აწყობაში. ინვესტორს შეუძლია, მთლიანად იყიდოს რომელიმე უბნის გაზმომარაგების ქსელები, და ისარგებლოს თბილგაზის გაზით და მომსახურებით. ტექნიკურად სულ ორიოდე თვეში შესაძლებელი იქნება თბილისის ზონებად დაყოფა. ზონა არის ის უბანი, რომელსაც ინდივიდუალურად მიეზომება გაზი.

"თბილგაზის" ხელმძღვანელობის პროგნოზით, მხოლოდ მართვის რესურსის საშუალებით, "თბილგაზის" დეფიციტი ამ ზამთარს 15 მილიონ დოლარამდე უნდა შემცირდეს, მომავალ ზამთარს - 5 მილიონამდე. შემდეგში კი დეფიციტი საერთოდ აღარ იქნება.

"რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებს ვალების გადახდას 30 წლის განმავლობაში. თუმცა, ეს სულაც არ უშლის ხელს იმას, რომ ინვესტორებმა თავიანთ გამოყოფილ ზონებში წარმატებული ბიზნესი აწარმოონ. თბილგაზი ინვესტორისგან მოელის, რომ მან თავისი ზონის წამგებიანობა ეტაპობრივად შეამციროს", – ამბობს მორჩილაძე.

შეუფასებელი საჩუქარი 20 ინვალიდისთვის

რა კარგია, ბორბლების დატრიალება თვითონაც შემიძლია.

ვახო ბესელიას ფოტო

ნანა ქადაგიშვილი

საერთაშორისო ორგანიზაცია "ქაუნთერ ფართისა" და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის წყალობით, 20 იანვრამდე თბილისის ხუთივე რაიონში მცხოვრებ, განსაკუთრებით გაჭირვებულ ყველა ინვალიდს ეტლებით დაასაჩუქრებენ. ვაკე-საბურთალოს რაიონში საჩუქარი უკვე მიიღეს, გუშინ კი ეტლები ისანი-სამგორის რაიონში მცხოვრებ 20 ინვალიდს გადასცეს. მათგან 12 ბავშვი იყო. **"რა კარგია, ბორბლების დატრიალება თვითონაც შემიძლია. ახლა ეზოშიც ვისეირნებ და ეტლს სოფელშიც წავიღებ"**, – გამგეობის ფოიეში შეკრებულ ინვალიდთაგან ყველაზე მეტად 8 წლის ანი ოქრუაშვილი მხიარულობდა. მას დედის მიერ ნაყიდი ეტლი კარგა ხნის წინათ გაფუჭებია და გუშინდელ დღემდე უეტლოდ უწევდა ცხოვრება.

ისანი-სამგორის რაიონში ინვალიდი ბევრია, მაგრამ გამგეობამ ისეთი ადამიანები შეარჩია, საკუთარი სახსრებით ეტლის შეძენის არანაირი საშუალება რომ არ ჰქონდათ. სხვათა შორის, ნაჩუქარი ეტლები საკმაოდ ძვირფასია - 2000 ლარამდე ღირს. ბავშვობიდანვე ლოგინს მიჯაჭვული ადამიანებისთვის კი ეს შეუფასებელი საჩუქარია. დანარჩენ სამ რაიონში მცხოვრები ინვალიდები ეტლებს თვის ბოლომდე მიიღებენ.

გამგეობაში მიწვეულ ინვალიდებს საჩუქარი ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამაც მოუმზადა. რაიონის სოციალური განყოფილების ხელმძღვანელმა ლაშა გეწაძემ მათ 50-50 ლარიც გადასცა; დღეს კი გამგეობის ხელმძღვანელობა ბავშვთა სამი სახლის დასაჩუქრებას აპირებს.

ფონდი "ინტერნიუსი" აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:

1. **დოკუმენტური ფილმების პროდიუსერი**
2. **დოკუმენტური ფილმების რეჟისორი**
3. **ოპერატორ/მემონტაჟე**
4. **ტელე-ჟურნალისტი**
5. **რადიო ჟურნალისტი**
6. **ვებ-მასტერი**

კონკურსანტებმა უნდა წარადგინონ:
- რეზიუმე
- მოტივაციის წერილი
- კასეტაზე ჩაწერილი ნამუშევრები

განცხადებების მიღების ბოლო დღეა 20 იანვარი.
განცხადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: პაოლო იაშვილის ქუჩა N14/22, თბილისი, 0105. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს საიტზე: http://www.internews.ge
ტელ: 92-33-95/96/97

თურქული ვოიაჟით ქალაქის მთავრობა კმაყოფილია

თამარ დვალი

გუშინ თურქეთული ვოიაჟით კმაყოფილმა ქალაქის მერმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს. მათ საზოგადოებას თურქეთში გამგზავრების მიზეზები და შედეგები აცნობეს.

ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ანკარას მერთან შეხვედრით კმაყოფილია. მისი თქმით, ამ შეხვედრაზე განხილული იყო ორ ქალაქს შორის სატრანსპორტო კვანძების მშენებლობისა და საქალაქო ტრანსპორტის მოწესრიგების საკითხი.

"ჩვენ ყურადღება გზების მშენებლობაზე გავამახვილეთ. მათ გავაცანით გზების რეაბილიტაციის ის პროგრამა, რომელსაც ვგეგმავთ 2005 წელს. აღმოჩნდა რომ ქალაქის სატრანსპორტო სქემა იქაც მოუწესრიგებელია. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ერთობლივად შევიმუშაოთ სქემა", – განაცხადა ჭიაბერაშვილმა. მისივე თქმით, ბევრი თურქული კომპანია მზადაა, ჩამოვიდეს საქართველოში. თუკი ბიუჯეტში გზების მშენებლობისთვის გამოყოფილია 80 მილიონი ლარი, მერის აზრით, თურქული კომპანიების ჩამოსვლის შემთხვევაში, გვეცოდინება, რომ ეს ფული მაღალი ხარისხის გზების დაგებას მოხმარდება. იანვრის შუა რიცხვებში ქართული მხარე რამდენიმე თურქულ კომპანიას ელოდება. ესენი გახლავთ: "ნუროლი", "აჩარლარი" და სხვები.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის აზრით, თურქეთი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა და ქართველებმა მათი გამოცდილება აუცილებლად უნდა გაიზიარონ.

"ქართული მხარე ითხოვს იტალიური და ფრანგული ღვინოების გვერდით ქართული ღვინის ექსპორტის თანაბარ პირობებში ჩაყენებას. თუკი ისინი საბაჟოს გადასახადს 100 პროცენტით იხდიან, ჩვენი ღვინის შეტანისას 270 პროცენტია გადასახდელი. მე თურქ კოლეგებს ჩვენი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებაც შევთავაზე. იყო საუბარი გადამამუშავებელ მრეწველობაზეც. ჩემი მთავარი მიზანი რუსეთის და უკრაინის ბაზარზე ერთობლივი პროექტით გასვლაა. საერთოდ, გვინდა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა არ იყოს დამყარებული მხოლოდ მცირე ვაჭრობაზე. დღეს რიზეს პორტიდან ხილით და ბოსტნეულით დატვირთული გემები მიემგზავრება რუსეთისკენ. ჩემი იდეაა, საქართველოც ჩავრთოთ ამ პროცესში", - აცხადებს მიხეილ სვიმონიშვილი.

თარჯიმანი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის თანამდებობის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს დახასიათება:

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:
თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- შემომავალი და გამავალი წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმა;
- თარგმნილი დოკუმენტების კორექტირება;
- ნებისმიერი სხვა დახმარების აღმოჩენა პროექტით დაწესებული ვადების შესრულების მიზნით;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- პრიორიტეტების დაგეგმვის და ორგანიზების შესანიშნავი უნარი გამომდინარე იქიდან, რომ სათარგმნი მასალები შეიძლება სხვადასხვა ტიპის კლიენტებისგან შემოვიდეს;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2005 წლის 17 იანვარი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

ავტოავარია რესპუბლიკის მოედანზე

"ინტერ-პრესის" ფოტო

გუშინ დილით თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე "მერსედესის" მარკის სამარშრუტო მიკროავტობუსი სასწრაფო დახმარების სამსახურის "03"-ის ავტომანქანას შეეჯახა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ამოტრიალდა.

შემთხვევის ადგილზე მისული სამართალდამცველების განცხადებით, მომხდარი ავტოავარიის შედეგად მსუბუქად დაშავდა მედპერსონალი, რომელიც მიხაილოვის სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

რაც შეეხება ავტომანქანების მძღოლებს, იყო თუ არა რომელიმე მათგანი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, ამას ნარკოლოგიური შემოწმება გაარკვევს, რომლის ჩასატარებლადაც ისინი გუშინვე წაიყვანეს ნარკოლოგიურ დისპანსერში.

შემოწმების დასკვნა იმ მოკვლევის მასალებს დაერთვება, რომელიც ავარიის გამო მიმდინარეობს.

ინტერ-პრესი

ჭუბურხინჯში მხარეები მწირი ინფორმაციის გაცვლით იფარგლებიან

ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრების თემატიკა უცვლელია. გუშინაც ქართულმა მხარემ კვლავ დასვა გალის რაიონიდან გატაცებული სამი ქართველის საკითხი. გატაცებულთა ბედი ამ დროისთვის კვლავ გაურკვეველია. როგორც ცნობილია, დეკემბრის შუა რიცხვებში გატაცებული გოგოხიას ოჯახს გამტაცებლები უკვე დაუკავშირდნენ და გატაცებულის გათავისუფლების სანაცვლოდ 10 ათასი დოლარი მოითხოვეს. დანარჩენი ორი გატაცებულის შესახებ, რომელთა ვინაობას, მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, არ ასახელებენ, არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი მათგანი ბოროტმოქმედებს ტყვარჩელის რაიონში ჰყავთ. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აფხაზებს ამის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა და მათგან, მძევლის მოსაძებნად, მაქსიმალური აქტიურობა მოითხოვა.

გარდა ამისა, გუშინდელ შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ არ დაადასტურა ინფორმაცია, თითქოს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით სოხუმის ხელისუფლება 7 იანვრიდან ენგურის ხიდზე მოძრაობის აკრძალვას აპირებს.

რაც შეეხება ენგურის ხიდზე უფასო სამგზავრო ავტობუსის რეისის დანიშვნას, მისი ამოქმედება ხიდის სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხერხდება.

24 საათი

იმერეთში კორუფცია აღარ არსებობს, ან მას, უბრალოდ, არ ებრძვიან

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა, ძირითადად, მხოლოდ ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის ძველი ცოდვების გახსენებით რომ შემოიფარგლება, ამაზე მარტო იმერეთის რეგიონის მაგალითიც მეტყველებს.

ბექა სისაური
ქუთაისიდან

"24 საათი" იმერეთში ანტიკორუფციული საქმიანობის მაჩვენებლებით დაინტერესდა და აღმოჩნდა, რომ რეგიონის პოლიციის ეკონომიკური დანაშაულებისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების წლევანდელი მიღწევები, ხარისხობრივად დიდად არ განსხვავდება რევოლუციამდელისაგან. შევარდნაძისდროინდელის არ იყოს, ქრთამის ოდენობა, რომლის გაცემმიღების ფაქტების გამოვლენა 2004 წელს სამართალდამცველებმა შეძლეს, კვლავაც 100-300 დოლარის ფარგლებში მერყეობს, კორუფციული დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემული პირების თანამდებობა კი ყველაზე დაბალი რანგის ჩინოვნიკებს არ სცდება.

მაგალითად, იმერეთის სამხარეო პოლიციის ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის ბოლო კვარტლის მონაცემებით, ქრთამის აღების ფაქტზე გამოვლენილია ქუთაისის მერიის დაბალი რანგის ჩინოვნიკი, ქრთამის სახით აღებულმა თანხამ კი 285 ლარი შეადგინა.

"15 ოქტომბერს ქრთამის აღების ფაქტზე მხილებული იქნა ქუთაისის მერიის ტერიტორიული მართვის სპეციალისტი საბინაო საკითხებში - თეიმურაზ ჩიტაიშვილი, რომელმაც მოქალაქე ივანე ჯაფარიძეს, საცხოვრებელი ბინის პრივატიზებაში დახმარების მიზნით, ქრთამის სახით 285 ლარი გამოსძალა," -განაცხადა აღნიშნული სამსახურის უფროსმა აკაკი ზაქარიაძემ. მისივე ინფორმაციით, ქრთამის მიცემაში მხილებული იქნა ბაღდათის ადვოკატი, მიხეილ ვერულაშვილი, რომელიც იცავდა ვინმე ზურაბ უშვერიძეს. 2004 წლის აგვისტოში ადვოკატმა უშვერიძის მეუღლეს, ვითომდა ქმრის პატიმრობიდან გათავისუფლების უზრუნველსაყოფად, გამომძიებლისა და მოსამართლის მოსაქრთამად 400 აშშ დოლარი გამოართვა, ხოლო მოწმის მოსაქრთამად კი - დამატებით 150 დოლარი. ოჯახმა ადვოკატის მიერ ფულის მითვისების ამბავი მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა სასამართლომ ზურაბ უშვერიძე პატიმრობაში დატოვა.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამატების ფაქტზე მხილებულ იქნა ვანის რაიონის სოფელ სალომინაოს საკრებულოს გამგებელი თორნიკე ერისთავი, რომელმაც საკრებულოში პედაგოგების ხელფასებზე გასაცემი თანხა 1505 ლარი, მართალია, არცთუ ურიგო საქმისთვის, მაგრამ მაინც არამიზნობრივად გამოიყენა, კერძოდ, წინასაარჩევნოდ გზა მოხრეშა.

იმერეთის პოლიციამ კიდევ ერთი კორუფციული ფაქტი გამოავლინა: **"2004 წლის 13 ოქტომბერს კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ამხილეს ქუთაისის მრავლპროფილიანი დამოუკიდებელი ინსტიტუტის რექტორი ომარ ცხადაძე, ქუთაისის "ჰუმანიტარული და სამართლის" ინსტიტუტის დეკანი გრიგოლ არეშიძე და მდივანი მარინა ძიძიშვილი, რომლებმაც დაამზადეს ყალბი დიპლომი, თითქოსდა, ვინმე მირიან ფურცხვანიძეს დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის მრავალპროფილიანი ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი, რაშიც მას გამოსძალეს 400 დოლარი,"** - განმარტავს ზაქარიაძე. მისი სამსახურის მიერ გამოვლენილი კიდევ ერთი ფაქტი ბაღდათის რაიონის სატყეო მეურნეობის 6 თანამშრომელს ეხება. გამოძიება მათ სამსახურებრივ გულგრილობას ედავება.

მოკლედ, სულ ეს გახლავთ იმერეთის მასშტაბით, 2004 წლის ბოლო სამ თვეში გამოვლენილი კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის ფაქტები. თუკი ამ მონაცემებს გასული წლებისას შევადარებთ, გამოვლენილი ფაქტების ხარისხობრივი მაჩვენებელი მაშინდელისგან ოდნავ თუ განსხვავდება. მაგალითად, 2002 წელს მხარეში პოლიციის მიერ საჯარო მოხელეთა მხრიდან გამოვლენილი ქრთამის ყველაზე დიდი ოდენობა 110 დოლარი იყო, ხოლო ყველაზე მაღალი რანგის კორუმპირებული ჩინოვნიკი ბაღდათის რაიონის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი მამუკა ბინაძე გახლდათ. 2003 წელს კი ყველაზე კორუმპირებული ადვოკატი აღმოჩნდა, რომელმაც ქრთამის სახით 600 დოლარი აიღო.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმერეთის კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის უფროსი აკაკი ზაქარიაძე მიიჩნევს, რომ რევოლუციის შემდეგ ქუთაისის მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები ქრთამს, ფაქტობრივად, აღარ იღებენ, რის მიზეზადაც ამ უწყებებში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს ასახელებს:

"მხარის მასშტაბით მაღალი თანამდებობის პირებიდან ყველა კადრი შეცვლილია. შედეგად, კორუფციის დონემ მნიშვნელოვნად იკლო და ქრთამის აღება მართლაც არ ხდება," - აცხადებს ზაქარიაძე.

სხვაგვარად საუბრობენ რიგითი ქუთაისელები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

"ფულით ქუთაისის მერიაში საქმე აქამდეც კეთდებოდა და ახლაც, ოღონდ, უფრო ფრთხილები არიან. პოლიცია კი მათ წინააღმდეგ უძლურია, ეშინიათ კორუმპირებული არ მოუბრუნდეს და იქეთ არ დაატოვებინოს სამსახური," - აცხადებს რიგითი ქუთაისელი.

უფრო კონკრეტულ ინფორმაციას ფლობს თავისუფლების ინსტიტუტის რეგიონული კოორდინატორი გოჩა ჩხეტია. მისი თქმით: **"მოსახლეობიდან შემოსული ინფორმაციების საფუძველზე, საჯარო დაწესებულებებში კორუფციის დონე თითქმის ისეთივეა, როგორიც რევოლუციამდე იყო, კონკრეტულად დასჯილი პირი კი მე არ მინახავს. რაც იმას ნიშნავს, რომ კორუფციას არავინ ებრძვის."**

ზიმბაბველი დევნილის მიერ „TBC ბანკში" განხორციელებული აფერა

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ ყალბი საბანკო ჩეკისა და მისი ბოროტად გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2004 წლის 28 სექტემბერს "TBC ბანკს" მიმართა მოქალაქე დავით გაჩეჩილაძემ, რომელმაც 29 000 ფუნტი სტერლინგის გასანაღდებლად ინგლისის ბანკ "ბარკლაის" ჩეკი წარადგინა. ბანკმა მოქალაქეს ჩეკი გაუნაღდა და თანხა გაჩეჩილაძემ მეორე დღესვე გაიტანა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩეკი ყალბია და "TBC ბანკს" აღნიშნული თანხა ავტომატურად ჩამოეჭრა. 2004 წლის 9 ნოემბერს გაჩეჩილაძის მიერ ბანკში კვლავ იქნა წარდგენილი ანალოგიური ჩეკი, ხოლო ბანკმა უცხოეთიდან მიღებული ინფორმაციის შემდეგ, ჩეკის სიყალბის შესახებ ინფორმაცია ფინანსურ პოლიციას მიაწოდა.

პოლიციის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ამხილეს დავით გაჩეჩილაძე, რომელიც ბანკში 9 ნოემბერს წარდგენილი ჩეკის ღირებულების მიღებას ცდილობდა.

ფინანსურ პოლიციაში მიცემულ ახსნა-განმარტებაში გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ 2004 წლის ივლისში მას ინტერნეტით დაუკავშირდა ვინმე დუგლას ანგულუ, რომელიც იტყობინებოდა, რომ იგი ზიმბაბვედან დევნილი იყო, პოლიტიკური თავშესაფრის მიღება სურდა და ითხოვდა დახმარებას მამის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის - 18.5 მილიონი დოლარის მიღებაში. მას, ვინც დახმარებას აღმოუჩენდა, ზიმბაბველი ხსენებული თანხის 15 პროცენტს ჰპირდებოდა.

ელექტრონული ფოსტით მიმოწერის შემდეგ, გაჩეჩილაძემ "დიეჩელი"-ს ფოსტის მეშვეობით მიიღო ამანათი, რომელშიც ბანკ "ბარკლაის" საბანკო ჩეკი იყო. ჩეკის განაღდების შემდეგ გაირკვა, რომ გაჩეჩილაძის მიერ "ვესტერნ იუნიონი"-ს საშუალებით მართლაც გადარიცხული იყო თანხა ჰოლანდიაში დუგლას ანგულუს მიერ მითითებულ ანგარიშებზე.

გაჩეჩილაძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა თანხის გადარიცხვის ამსახველი ქვითრები, რომელთა მიხედვითაც, 2004 წლის 10 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე გაჩეჩილაძეს ზემოხსენებულ ანგარიშებზე გადარიცხული ჰქონდა 49 020 აშშ დოლარი.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში მიმდინარეობს გამოძიება.

მედია-ნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. ზუგდიდის N4 საპყრობილის საამანათო განყოფილებაში გუშინ დაიკავეს მოქალაქე, რომელიც პატიმრისთვის ნარკოტიკული ნივთიერების გადაცემას ცდილობდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცნობით, ტარიელ ნ.-ს შვილისთვის გადასაცემ ამანათში თეთრ ქაღალდში შეხვეული მომწვანო-მოლურჯო ფერის ნივთიერება აღმოაჩნდა, რომელიც ვაშლის ჯემში იყო მოთავსებული. ამოღებული ნივთიერება შესამონმებლად სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო კრიმინალურ ექსპერტიზას გადაეცა. დადგინდა, რომ ტარიელ ნ. პატიმრისათვის 4,7 გრამი "მარიხუანას" გადაცემას ცდილობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს 44 წლის გიორგი ჭეიშვილი და 30 წლის დავით ბრეგვაძე, რომლებმაც ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფიდან გასროლით მოკლეს მეზობელი, 58 წლის ამირან ბერიძე. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ისან-სამგორის რაიონის შს სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში მცხოვრები, 21 წლის ზურაბ სისვაძე, რომელიც 4 იანვარს ავტომანქანა "ვაზ-2107"-ში ჩაუჯდა 33 წლის ვალერი ნოინზადოვს და დანის მუქარით გასტაცა მობილური ტელეფონი, 15 ლარი და ავტომანქანის ტექპასპორტი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შს სამინისტროს, ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს და თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-6 განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად დააკავეს დაბა წყნეთში მცხოვრები, 22 წლის თენგიზ კვიციანი, რომელიც 20 დეკემბერს, სოფელ კრწანისში, ორ პირთან ერთად თავს დაესხა კობა მესხიშვილს და გასტაცა ავტომანქანა "მერსედესი." **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველმა სამართალდამცავებმა ამხილეს თურქეთის მოქალაქე, 36 წლის ზერდარ გუნგორი, რომელიც ზერვას პეტროსის დემოგრაფიული მონაცემებით და თავისი ფოტოსურათის გამოყენებით დამზადებული, საბერძნეთის მოქალაქის პასპორტით ცდილობდა საქართველოს საჰაერო სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას და ავსტრიაში გამგზავრებას. ყალბი პასპორტი გუნგორმა არაერთგზის გამოიყენა, კერძოდ, 2004 წლის 27 დეკემბერს მან საქართველოში შემოსვლისას ყალბი პასპორტი გამოიყენა. მოკვლეული მასალები საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში მცხოვრები, 38 წლის მაია ხადური და თანამონაწილე, ქარელის რაიონის სოფელ რუისში მცხოვრები, 37 წლის დავით გურასპაშვილი. სოფელ ლამისყანაში ურთიერთშელაპარაკებისას ხადურმა დანის გულ-მკერდში დარტყმით მოკლა მეუღლე, 44 წლის აკაკი მასიკაშვილი. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფოთის პორტში, თბომავალზე "მიხეილ სვეტლოვი", რომელიც სოჭიდან საქართველოსკენ მოემართებოდა, ქართველმა მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი, წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში მცხოვრები, 28 წლის გოჩა ონიანი დააკავეს. იგი ქურდობისა და იარაღის უკანონო შენახვისთვის იძებნებოდა. ონიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის სამმართველოშია გადაყვანილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა დიდი დიღმის დასახლებაში, ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის ოპერატიული სამსახურის თანამშრომელი გიორგი ჭანკოტაძე დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ჭანკოტაძეს ბრალი ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციაში ედება. მან ერთი აბი "სუბოტექსი" 125 აშშ დოლარად გაყიდა, ხოლო ჩხრეკისას მას კიდევ ერთი აბი "სუბოტექსი" აღმოაჩნდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **ინტერ-პრესი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

კაპიტალის ბაზრის განვითარება პრიორიტეტული ეკონომიკური ამოცანაა

ლევან სურგულაძე
დირექტორი, ფინანსური რისკის კონტროლი UBS Investment Bank (შვეიცარიის გაერთიანებული ბანკი) ნიუ იორკი ივლისი, 2004

წერილში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს შვეიცარიის გაერთიანებული ბანკის, მისი დირექტორების, თანამშრომლების ან მასთან ასოცირებული ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას და ამ წერილის ავტორის მხოლოდ პირად შეხედულებებს ემყარება და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს რაიმე საინვესტიციო რჩევას ზოგადად ან რომელიმე კონკრეტული პროდუქტის ან მეთოდიკის მიმართ.

გაგრძელება – ნაწილი მეორე

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება და პრობლემები

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მთავარი წინაპირობებია გამართული საბანკო სისტემა, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია - დაბალანსებული ბიუჯეტი, დაბალი ინფლაცია და სტაბილური ლარი, მინიმალური ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი, აგრეთვე ეფექტური სამართლებრივი მარეგულირებელი სისტემა, გამჭვირვალე საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტები და ძირითადი საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა.

მსოფლიოს ფასიანი ქაღალდების ბაზრების განვითარება დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ, მიზანმიმართული პოლიტიკისა და დაგეგმვის გზით, ადგილობრივი ბაზრის ფორმირება და მისი გლობალურ ბაზრებთან ინტეგრირება სულ 5-10 წელიწადში მოახერხა. ამ თვალსაზრისით, ესტონეთის მაგალითს განსაკუთრებით წარმატებული შეიძლება ეწოდოს. ფასიან ქაღალდებში საინვესტიციო აქტივობა ესტონეთში 90-იანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნევა. თუმცა, ბაზრის ჩამოყალიბების დასაწყისად ალბათ 1993 წლის ზაფხული უნდა ჩაითვალოს, როდესაც მიიღეს ფასიან ქაღალდებზე ჩარჩო კანონმდებლობა და მარეგულირებელ ნორმატიული აქტები პირველადი ბაზრის შესახებ. საქართველომ ანალოგიური კანონი, 5 წლის შემდეგ, 1998 წლის ბოლოს მიიღო. ტალინის საფონდო ბირჟამ ფუნქციონირება 1996 წლის ივნისში დაიწყო. 3 წლის თავზე, 1999 წლის ივნისის თვეში, ბირჟაზე 18,7 მილიონი ევროს საერთო ღირებულების 3101 გარიგება დაიდო. ე.წ. დახლსმიღმა (Over-the-Counter) გარიგებების გათვალისწინებით კი, 95,8 მილიონი ევრო საერთო ღირებულების 5175 გარიგება დაიდო. ბაზრის კაპიტალიზაცია (ყველა განთავსებული ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასების ჯამი), 1999 წლიდან დღემდე, 500 მილიონი ევროდან 3,5 მილიარდ ევრომდე გაიზარდა. ეს შთამბეჭდავი მაჩვენებელია პატარა ქვეყნის ახალგაზრდა ბაზრისათვის. შედარებისათვის, საქართველოს საფონდო ბირჟის შექმნის სამი წლის თავზე, 2003 წლის აპრილის თვეში, 36000 ევრო საერთო ღირებულების 93 გარიგება დაიდო, გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად. სურათებზე ნაჩვენებია თვიური სავაჭრო აქტივობა ტალინისა და საქართველოს საფონდო ბირჟებზე ბოლო ხუთი წლის მანძილზე. ორივე ბირჟაზე აქტივობა თვეების მიხედვით ოდნავ შესამჩნევი პერიოდულობით იცვლება, თუმცა, აქტივობის დონე საქართველოს საფონდო ბირჟაზე საშუალოდ დაახლოებით 40 - ჯერ ნაკლებია.

მეორე წარმატებული ქვეყნის მაგალითად, გეოგრაფიულად სრულიად განსხვავებული, აფრიკის ერთ-ერთი განვითარებადი ქვეყანა - განა შეიძლება დასახელდეს. აქ, 1991 – 1998 წლებში შეიქმნა საფონდო ბირჟა, რომლის საშუალებითაც ადგილობრივმა კომპანიებმა 126 მილიონი დოლარი გრძელვადიანი დაფინანსება მიიღეს. 1994 წელს, განას საფონდო ბირჟა განვითარებად ბაზრებზე აღიარებული იყო, როგორც საუკეთესო, რამაც უცხოელი ინდივიდუალური და ინსტიტუციური ინვესტორების მკვეთრი მოზიდვა გამოიწვია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიების დაფინანსება ფასიანი ქაღალდების ბაზრის საშუალებით მხოლოდ 4% იყო. დანარჩენი 96% ისევ საბანკო კრედიტს წარმოადგენდა.

რაც შეეხება უძველეს და წამყვან ბაზრებს, მაგალითად, მარტო ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე გასული წლის ივნისის თვეში 64 685 200 გარიგება დაიდო. რაც 3 მილიონზე მეტი გარიგებაა დღეში. თითოეულ გარიგებაზე საშუალოდ კომპანიების აქციების დაახლოებით 500 წილის ერთეული იყიდება.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობის ერთერთი მიზეზი ეკონომიკის სიმცირე და ეკონომიკური აგენტების ფინანსური სისუსტეა, რაც დამთრგუნველად მოქმედებს როგორც ფასიან ქაღალდებზე არსებულ მოთხოვნილებაზე, აგრეთვე მათ მოწოდებაზე. თუმცა, სხვა ქვეყნების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ეს არ არის ერთადერთი განმსაზღვრელი და ანალოგიური ეკონომიკური პარამეტრების მქონე ქვეყნებში ბაზრის განვითარების პროცესი გაცილებით სწრაფად და წარმატებით მიმდინარეობს. ქვემოთ ვისაუბრებთ ზოგიერთ სხვა ფაქტორებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, აგრეთვე განმსაზღვრელია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის.

მარეგულირებელი სისტემა

გამართული ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სისტემა სამ ძირითად პრინციპს ემყარება - სრული და გამჭვირვალე ინფორმაცია, ინვესტორის დაცვა და კანონმდებლობის განუხრელად აღსრულება.

ინდუსტრიის რეგულირება ფაქიზი საკითხია და მასზეა დამოკიდებულია ამ ინდუსტრიის ჩამოყალიბების ფორმები და განვითარების სისწრაფე. საკანონმდებლო ბაზის შექმნისას პრიორიტეტი განმსაზღვრავ საბაზრო ძალებს უნდა დაეთმოთ. დაუშვებელია გადამეტებული მარეგულირებელი მარწუხები, განსაკუთრებით ბაზრის ჩასახვის პერიოდში. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჩარჩო საკანონმდებლო ბაზა, ხოლო ინდუსტრია ძირითადად თვითრეგულირებადი შეიძლება იყოს. ეს განაპირობებს მოქნილობას და სწრაფი ადაპტაციის უნარს, რაც ერთობ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. არსებობს განსხვავებული აზრიც - თვითრგულირებადი ბაზრის პირობებში შეიძლება წამოიშვას ინტერესთა კონფლიქტი ჩვეულებრივ ინვესტორებსა და პროფესიონალ მონაწილეთა გარკვეულ ჯგუფებს შორის, რამაც შეიძლება ინვესტორთა ნდობის დაკარგვა გამოიწვიოს. ეს საკითხი ძირფესვიან ანალიზს საჭიროებს, სხვა ქვეყნების გამოცდილების და ადგილობრივი მენტალიტეტის გათვალისწინებით. ერთგვარად შეწონილი და, შესაძლოა, ნაწილობრივ ურთიერთ-დუბლირებული (სახელმწიფო - ინდუსტრია) მარეგულირებელი სისტემა უფრო მისაღები იყოს საქართველოს პირობებში.

აუცილებელია საკანონმდებლო ბაზა საინვესტიციო ფონდების საქმიანობის შესახებ. მარეგულირებელი სისტემა აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგიონალურ, ევრო და გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციის პერსპექტივებს. სასარგებლო იქნება თუ არსებულ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს ჩაუტარდება დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტიზა.

ინფორმაციის გამჭვირვალობა

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა ეკონომიკურ-ფინანსური (და სხვა არსებითი) ინფორმაციის არსებობა და მისი სრული განმჭვირვალობა. ეს პირობა სრულიად გამორიცხავს ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობას ნებისმიერი შესამჩნევი ფორმით. მნიშვნელოვანია, რომ ბაზრის პოტენციურ მონაწილეებს ყველა შესაძლო საშუალებით, ალტერნატიული წყაროებიდან მიეწოდებოდეთ სრული ინფორმაცია კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საინვესტიციო ინსტრუმენტების და მათთან ასოციირებული სხვადასხვა ტიპის ფინანსური რისკების შესახებ და სხვა არსებითი ინფორმაცია. საშუამავლო ფირმებს ამის გაკეთება აქტიური საინფორმაციო, საგანმანათლებლო და მარკეტინგული კომპანიის საშუალებით შეუძლიათ. ინვესტორის ინფორმირებულობა და ნდობის მოპოვება არის ის კრიტიკული წინაპირობა, ურომლისოდაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი არ განვითარდება.

ბანკებზე ორიენტირებულ კაპიტალის ბაზარზე ინფრმაციის საჯაროობა და გამჭვირვალობა ნაწილობრივ კარგავს არსებითობას. ბანკები აუცილებელ სპეციფიკურ ინფორმაციას პირდაპირ კომპანიებისაგან ღებულობენ, თითქმის ექსკლუზიური, ბანკი - კლიენტი არხებით. როგორც წესი, ეს მცირე ბიზნესს ეხება, რომელთა შესახებ ინფორმაციაც არ არის საჯარო. შესაბამისად, მცირე კომპანიების დაფინანსება უფრო ეფექტურად ბანკების საშუალებით ხერხდება.

საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტები და აუდიტი

საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტები სრულ შესაბამისობაში უნდა მოდიოდნენ საერთაშორისო სტანდარტებთან, რაზედაც მკაცრი და გამჭვირვალე მონიტორინგია საჭირო. საბაზრო ინფრასტრუქტურას შეუძლია თვითონ უზრუნველყოს აუცილებელი პროფესიონალური მომსახურეობა, მაგალითად, საკონსულტაციო ფირმების საშუალებით. მთავარი მიზანი აქ ის არის, რომ ადგილობრივი და უცხოელი ბაზრის მონაწილეები ხედავდნენ, რომ თამაშის წესები და საზომები ყველასათვის ერთია, გამონაკლისების გარეშე.

გარანტირებული ოპერაციული და ფინანსური უსაფრთხოება, ავტორიტეტი

განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ კაპიტალის ბაზრის ფორმირების საწყის ეტაპზე წარმოქმნილი ოპერაციული და ფინანსური უსაფრთხოების პრობლემები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ახალბედა ინვესტორის მენტალიტეტზე. ავტორიტეტის აღდგენას კი დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული ინსტიტუტების გარანტირებული ოპერაციული და ფინანსური უსაფრთხოება და ამის სრული განმჭვირვალობა ბაზრის ყველა მონაწილისათვის. სერვისის სტანდარტები ახლოს უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან. ნაკლებად ავტორიტეტული კომპანიები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ოპერაციულ, ფინანსურ თუ სერვის სტანდარტებს და ამით ვნებენ ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის იმიჯს, უნდა ჩამოშორდნენ მას.

ინვესტორთა უფლებების გარანტირებული დაცვა

განვითარებული კაპიტალის ბაზრებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადეკვატური და სამართლიანი ბაზრის (fair market) უზრუნველყოფას. აუცილებელია ეფექტური სისტემები, რომლებიც გააკონტროლებენ და აღმოაჩენენ ფასებით უკანონო მანიპულირების, კომპანიების შიდა (გამოუქვეყნებელი) ინფორმაციის უკანონო გამოყენების და სხვა დარღვევების შემთხვევებს. განსაკუთრებული როლი ენიჭება ინფრასტრუქტურული ორგანიზაციების მუდმივ მონიტორინგს და შესაბამისი კანონების განუხრელად აღსრულებას. ეს კი სახელმწიფო ფუნქციაა, რამეთუ, სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის განმჭვირვალობის და ინვესტორთა უფლებების დაცვის გარანტად. მონიტორინგის სამსახურები აღჭურვილნი უნდა იყვნენ სათანადო მანდატით და კომპეტენტური კადრებით. სანქციები საკმარისად მკაცრი უნდა იყოს, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული დარღვევის ფაქტით გამოწვეული ზარალი მრავალმხრივია და საგრძნობლად ზრდის სისტემურ რისკს.

რიგითი, ნაკლებად ინფორმირებული ინვესტორი და ბაზრის პროფესიონალი მონაწილე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საინვესტიციო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური რისკის შეცნობის და შეფასების უნარით და, შესაბამისად, ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებით. ეს ჩვეულებრივ ინვესტორს სერიოზული ფინანსური დანაკარგების რისკის ქვეშ აყენებს და საფრთხეს უქმნის მთელს ინდუსტრიას. სხვა ქვეყნების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ასეთი ინვესტორების დანაკარგებთან დაკავშირებული გახმაურებული სკანდალები საგრძნობი დროით აფერხებენ ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის და ეკონომიკის განვითარებას. აუცილებელია დაკანონდეს და შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორის სრულ ინფორმირებას, პროფესიონალი მონაწილეების ადეკვატურ ლიცენზირებას და მინიმუმამდე დაიყვანენ ინტერესების კონფლიქტის შესაძლებლობებს.

გარანტირებული ანგარიშსწორების მექანიზმი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ ფასიანი ქაღალდების შეუფერხებელი ყიდვა - გაყიდვა, მათთვის სასურველ დროს. ამისათვის საჭიროა არსებობდეს გარანტირებული ანგარიშსწორების მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს პროდუქტების ლიკვიდურობას. ასეთი მექანიზმები დიდი ხანია დანერგილია დასავლურ ბაზრებზე და მათი გადმოღება სირთულეს არ წარმოადგენს.

ინდუსტრიის მომგებიანობა და მომსახურების დაბალი ფასები

ცხადია, თუ ინდუსტრია საზოგადოდ არ არის მომგებიანი მაშინ ბაზარი არ განვითარდება. ერთის მხრივ, აუცილებელია არსებობდეს საინვესტიციო ინსტრუმენტების ფართო ასორტიმენტი, რაც ხელს შეუწყობს ციკლური რისკების დივერსიფიკაციას. მაგალითად, დაბალი აქტივობა წილობრივ სააქციო სექტორში შეიძლება კომპენსირებული იქნას საკრედიტო ბაზარზე. მეორეს მხრივ, შუამავალმა ორგანიზაციებმა, ბიზნესის ფუნქციონალური ოპტიმიზაციისა და ეფექტური მენეჯმენტის გზით შეიძლება შეამცირონ ხარჯვითი ნაწილი და, ამავე დროს, შეინარჩუნონ მომსახურეობის დაბალი ფასები, განსაკუთრებით ბაზრის ფორმირების საწყის ეტაპზე.

საშუამავლო ინფრასტრუქტურა და კადრები

საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტორი, საინვესტიციო ბანკები, ბროკერ / დილერები და საინვესტიციო ფონდები წარმოადგენენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ძირითად ნაწილს. ინფრასტრუქტურის და ბაზრის განვითარება თითქმის სინქრონულად ხდება და ძნელია ცალსახა მიზეზ-შედეგობრიობის კანონზომიერების დანახვა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს გააჩნია ბერკეტები საბაზრო ინფრასტრუქტურისადმი წამახალისებელი პოლიტიკის განსახორციელებლად, მაგალითად, საგადასახადო სფეროში.

კვალიფიციური კადრები არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განსავითარებლად. ამ საკითხის ეფექტურად გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს 1-2 წლიანი მოსამზადებელი პროგრამის შემუშავება უცხოელი პროფესიონალების და ინდუსტრიის ექსპერტების დახმარებით და უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებში სტაჟირება, საგარეო დაფინანსების პროგრამების საშუალებით.

პირველადი ბაზარი

ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრის მოცულობას მოთხოვნილებისა და მოწოდების ფუნდამენტალური კანონები განსაზღვრავენ. მოწოდება განპირობებულია იმ კომპანიებით, რომლებსაც კაპიტალი ესაჭიროებათ და მზად არიან კომპანიის ფასიანი ქაღალდები საჯაროდ გაყიდონ. მოთხოვნილებას ინდივიდუალური და ინსტიტუციური ინვესტორები განაპირობებენ. მოთხოვნილების და მოწოდების დონე მოცემული დროისათვის ბაზრის მოცულობის ბუნებრივ ზღვარს განსაზღვრავს. საქართველოში ამ ზღვრის მიღწევამდე ჯერ შორსაა, რამეთუ ბაზარი ლიმიტირებულია სხვა ფაქტორებით, პირველ რიგში, სუსტი მეორადი ბაზრით და ფასიანი ქაღალდების არალიკვიდურობით. მეორადი ბაზრის ჩამოყალიბების პრობლემა ერთერთი უმთავრესია და წერილში განხილული ყველა საკითხი, პირდაპირ თუ ირიბად, მას უკავშირდება.

დაბალი ლიკვიდურობისას, შეიძლება ეფექტური იყოს ასეთი მიდგომა. კომპანია, რომელსაც თავისი აქციები გამოაქვს პირველად ბაზარზე, თითოეულ აქციას თან ურთავს უფასო კონტრაქტს, რომელიც აქციის მფლობელს უფლებას აძლევს (მაგრამ არ ავალდებულებს), კონტრაქტში ფიქსირებული პერიოდის განმავლობაში, უკან მიჰყიდოს აქციის გამომშვებ კომპანიას თავისი აქცია კონტრაქტში დაფიქსირებულ ფასად. შედეგად, ლიკვიდურობა გარანტირებული ხდება. ასეთი კონტრაქტები მრავალნაერად შეიძლება იყოს სტრუქტურირებული, კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. ამ მეთოდის გამოყენებისას ზომიერებაა საჭირო, რადგანაც ასეთი "თანა-კონტრაქტების" შემთხვევაში მეორადი ბაზრის როლი მცირდება.

პირველადი ბაზრის გაფართოვებას სხვა ფაქტორებიც ზღუდავენ. არ არსებობს ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა. (თითქმის) არ არიან საინვესტიციო ბანკები, რომლებიც პროფესიონალურ დონეზე შეასრულებდნენ კომპანიების პირველად ბაზარზე გაწერის საკმაოდ რთულ სამუშაოს. არ არსებობს ინსტიტუციურ ინვესტორთა (მაგალითად, საინვესტიციო ფონდები) ბაზა, რომლებიც პირველად ბაზარზე მოთხოვნილებასა და ლიკვიდურობას განსაზღვრავენ.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითებიდან ჩანს, რომ ბაზრის განვითარების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს გატარებული სამთავრობო პოლიტიკა, განსაკუთრებით საპრივატიზაციო და მარეგულირებელ საკითხებში. მაგალითად, ესტონეთში, 1995/96 წლებში, პირველად ბაზარზე გამოტანილი კომპანიების 68% განპირობებული იყო სახელმწიფო საპრივატიზაციო პროგრამით, ხოლო 23,4%-ს შეადგენდნენ ბანკები, რომელთა აქციების გასაყიდად გამოტანა განპირობებული იყო მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნით. საქართველოში, საპრივატიზაციო პროცესი, კაპიტალის ბაზრის გვერდის ავლით, ძირითადად "სტრატეგიული ინვესტორის" ძებნაზე იყო ფოკუსირებული და ქაოსურ ფორმებში მიმდინარეობდა.





საინვესტიციო და რისკის მენეჯმენტის პროდუქტების მრავალფეროვნება მარკეტინგი

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საინვესტიციო პროდუქტების ასორტიმენტი ერთობ შეზღუდულია. ძირითადად ვხვდებით ორი ტიპის პროდუქტს - წილობრივ აქციებს და სახაზინო ვალდებულებებს. ასეთ პირობებში ბაზარი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ განვითარდება. ესტონეთში, გარდა კორპორატიული აქციებისა, ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია საკრედიტო ფასიან ქაღალდებს, საინვესტიციო ფონდების წილობრივ ფასიან ქაღალდებს და სამთავრობო ფასიან ქაღალდებს. აუცილებელია საინვესტიციო და ფინანსური რისკის მენეჯმენტის პროდუქტების ფართო არჩევანი, რომელიც უპასუხებდა ბაზრის სხვადასხვა ტიპის მონაწილეთა მოთხოვნილებებს. ბაზრის მონაწილეები შეიძლება მრავალი ფაქტორის მიხედვით განსხვავდებოდნენ. მათ შორის, ფინანსური შესაძლებლობებით, საინვესტიციო სტრატეგიით, ინვესტიციის სავარაუდო ხანგრძლივობით, ფინანსური რისკის ამტანუნარიანობით, ინფორმირებულობით, და სხვა. ბაზარზე ყველასათვის უნდა მოიძებნებოდეს სასურველი პროდუქტი, რაც ბაზარზე ფართო მონაწილეობის წინაპირობაა.

განვითარებულ ბაზრებზე პროდუქტების შემდეგ ძირითად ტიპებს ვხვდებით: წილობრივი აქციები, ფიქსირებული შემოსავლის (fixed income) ფასიანი ქაღალდები (აქვე გავაერთიანეთ სამთავრობო, მუნიციპალური, საკრედიტო და სხვა), სავალუტო გაცვლის ფასიანი ქაღალდები და შესაბამისი წარმოებული (derivatives) ფასიანი ქაღალდები. ეს უკანასკნელი გამოიყენება ძირითად ფასიან ქაღალდთან ასოციირებული ფინანსური რისკის რომელიმე კომპონენტის ბაზრის ერთი მონაწილიდან მეორეზე გადაცემისათვის, რა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ. აგრეთვე ვხვდებით, შედარებით ახალ, სწრაფად განვითარებად, სტრუქტურული (ჰიბრიდული) პროდუქტების ტიპს. ესენი არიან შედარებით რთული და ხშირად ნაკლებად ლიკვიდური ფინანსური კონტრაქტები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების გარკვეულ კომბინაციას. ასეთი პროდუქტებით ძირითადად ინსტიტუციური ინვესტორები ვაჭრობენ. სწრაფად ვითარდება ისეთი წარმოებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო სექტორებიც, რომელთა შესაბამისი ძირითადი ფასიანი ქაღალდი არ არის ფინანსური წარმოშობის, მაგალითად, ენერგო-მატარებლების წარმოებული ფასიანი ქაღალდები.

განვითარებულ ბაზრებზე პროდუქტების მრავალფეროვნება განპირობებულია იმ სტრატეგიების მრავალფეროვნებით, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები იყენებენ მაქსიმალური მოგების მისაღებად. ამ სტრატეგიების ძირითადი განმსაზღვრავებია ფინანსური რისკის სახეობა და სიდიდე, რომელიც მისაღებია ბაზრის მონაწილისათვის და ის დრო, რომლის განმავლობაშიც ეს რისკი იქნება აღებული. წარმოდგენილი პროდუქტები ფინანსური რისკის სხვადასხვა სახეობის მატარებლები შეიძლება იყვნენ. მაგალითად, ფასის სისტემური და არასისტემური საბაზრო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო გაცვლის რისკი, საკრედიტო ხარისხის რისკი, დეფოლტის რისკი, ლიკვიდურობის რისკი, სუვერენული (ქვეყნის) რისკი, და სხვა. რისკის სიდიდე დივერსიფიკაციის, სხვა პროდუქტების ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით რეგულირდება. განვითარებული ბაზრის მონაწილეს შეუძლია მრავალფეროვანი ლიკვიდური პროდუქტების საშუალებით ნებისმიერ დროს "იყიდოს" ან "გაყიდოს" სასურველი სახეობის რისკი, სასურველი რაოდენობით და სასურველი დროით.

საბროკერო და სხვა შუამავალმა ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ მარკეტინგის დინამიური ფორმულები, რომლებიც ყველაზე ეფექტურნი იქნებიან ლოკალური მენტალიტეტის და პოტენციური ინვესტორის შედარებით დაბალი საინვესტიციო განათლების და ინფორმირებულობის გათვალიწინებით. როგორც ნებისმიერ სხვა ბაზარზე, აქაც აუცილებელია პოტენციურ ინვესტორთა მოთხოვნილებების, შესაძლებლობების, რისკის აპეტიტის გამოკვლევა, საბაზრო სეგმენტებად დაყოფა და მისი პერიოდული მონიტორინგი. ახალი პროდუქტების ბაზარზე შემოტანა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს. საზოგადოებას მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების ბაზრის და მასთან დაკავშირებული სარგებლიანობის, პროდუქტების და შესაბამისი ფინანსური რისკის შესახებ.

თარგმანები თუ თარგუმები

B2

აი, დებიუტი! ლუშემბურგომ და "რეალმა" სასწაული მოახდინეს

B4

ტერორიზმის მრავალფეროვნება

B6

როგორ მიყვარდა ეს კაცი

სოფიო თოდუა

"კავკასიური ცარცის წრე", "რიჩარდ III", "ვარიაციები თანამედროვე თემაზე", "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", "მეფე ლირი"... ეს სპექტაკლები რობერტ სტრუამ რუსთაველის თეატრში დადგა. ამ სპექტაკლებში ***აკაკი ხიდაშელი*** *წამყვან როლებს თამაშობს. თითქოს შევთანხმდით, რომ პოლიტიკურ ავანსცენაზე არტისტებს არაფერი ესაქმებათ. მაგრამ ჩვენ იმაზე არ შევთანხმებულვართ, რომ ტრაგედია სცენიდან კულისებშიც უნდა გადაგვეტანა.*
თორმეტი წლის წინათ აკაკი ხიდაშელს რუსთაველის თეატრი პრეზიდენტ გამსახურდიას ერთგულებამ დაატოვებინა. თორმეტი წლის თავზე ვარდების რევოლუციამ მსახიობი გლდანის თეატრში დააბრუნა. ყოფილი მსახიობი და ყოფილი ქმარი - ასეთია მისი ახალი პერსონაჟი, სახელად სანდრო ("მეფე ლირი თავშესაფარში"), ცხოვრებაზე ხელჩაქნეული და ბედს შეგუებული, თუმცა ყოფილი ცოლი გალოთებულ ბერიკაცს კიდევ ერთხელ უბიძგებს გმირობისკენ. მრავალწლიანი პაუზა მაყურებელს არაფერს ეუბნება - ის ისევ ჩვეულ ფორმაშია და აპლოდისმენტებსაც მრავლად იმსახურებს. მრავალწლიან პაუზაზე მხოლოდ კულისებში საუბრობენ და ისე, სხვათა შორის, შექსპირის პერიფრაზსაც მიაყოლებენ: "შენც გყავდა რობერტ, ვიდრე რობერტ მოჰკლავდა იმას".



ლევან ხერხეულიძის ფოტო

- რამ განსაზღვრა თქვენი არჩევანი: ახმეტელის თეატრმა, პიესამ თუ, უბრალოდ, სცენაზე დაბრუნების გადაწყვეტილებამ?

- უპირველესად როლის სირთულემ, თუმცა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმაც და პიესის ავტორმაც გარკვეულწილად განსაზღვრეს ჩემი არჩევანი. ასეთი პერსონაჟი ადრე არ განმისახიერება. ვთამაშობ გალოთებულ მსახიობს, მე თვითონ კი სამ ჭიქას თუ დავლევ, ისიც ტრადიციის გამო. სხვათა შორის, არ მეგონა, რომ გლდანში არაჩვეულებრივ თეატრს აღმოვაჩენდი. სანამ ახმეტელის თეატრში მივიდოდი, ერთი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა როლი ისე შემომთავაზა, სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა საერთოდაც არ იცოდა, სცენაზე დაბრუნება რომ გადავწყვიტე. მაგრამ პერსონაჟს, რომელიც მე უნდა მეთამაშა, გავნითარება აკლდა. მითხრეს, როცა მსახიობი რამდენიმე წუთიან მონოლოგს კითხულობს და აუდიტორია უსმენს, კარგიაო. მე კი ვუპასუხე: ეს მეორე კურსელებმა უკვე უნდა იცოდნენ-მეთქი. ერთი სიტყვით, უარი ვთქვი. მოლაპარაკებები მაქვს სარდაფის თეატრთან, კერძოდ, ლევან წულაძესთან და რაღაც პერსონაჟამდე აუცილებლად მივალთ.

- საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ, არ გაგიჭირდათ თქვენთვის სრულიად უცნობ თეატრში მუშაობა?

- როცა, ბოლოს და ბოლოს, დადგა პრემიერის დანიშვნის დრო, უწყვეტი რეპეტიციებისთვის კიდევ ერთი კვირა მოვითხოვე. რასაც მე ვითხოვდი, იმდენად არაბუნებრივი იყო, მხარი არავინ ამიბა - არც რეჟოსორმა, არც სამხატვრო ხელმძღვანელმა და არც სპექტაკლის მონაწილეებმა. მართლები იყვნენ. ვერავინ ხვდებოდა, რა მამოძრავებდა. ახლა, როცა პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, სიმართლის თქმა შემიძლია: ჩემთვის იმდენად სასიამოვნო იყო ამ ჯგუფთან მუშაობა, არ მინდოდა, ერთმანეთს მალე დავშორებოდით. განსაკუთრებით პიესის ავტორზე და სპექტაკლის რეჟისორზე ოთარ ბაღათურიაზე მწყდება გული. ის ძალიან კარგი პიროვნებაა, ამას კი ჩემთვის მუშაობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. მასაც და მთელ ჯგუფსაც მადლობა მინდა გადავუხადო.

- როცა რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი, თანაც წამყვანი მსახიობი, 12 წლის თავზე გლდანის თეატრში უბრუნდება სცენას, ასეთ დროს აქტიორი საკუთარ თავს ხომ არ უწყობს გამოცდას?

- არა, ეს გამოცდა არ ყოფილა. რა თქმა უნდა, როცა ყველაზე კარგად დაფინანსებულ აკადემიურ თეატრს ტოვებ, თორმეტი წლის შემდეგ კი ყველაზე დაუფინანსებელ თეატრში აგრძელებ მუშაობას, ვიღაცას უცნაურად მოეჩვენება. მაგრამ, ჩემთვის, სადაც დარბაზი და ფიცარნაგია, ყველგან ჩემი სახლია.

- ამ პასუხიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ პროვინციულ თეატრთანაც ითანამშრომლებთ, თუ ასეთი შემოთავაზება იქნება?

- თუ იქაც იქნება რეჟისორი, რომელთანაც მუშაობას შევძლებ და საინტერესო როლს შემომთავაზებენ, რატომაც არა, პროვინციულ თეატრშიც წავალ. მაგრამ, რატომ უნდა წავიდე, როცა აქაც ბევრი თეატრია?! ახლა, მგონი, ჩემს თავს ვეწინააღმდეგები. პრემიერის შემდეგ ქალბატონმა ზინა კვერენჩხილაძემ შემახსენა, არ დაგავიწყდეს, დმანისის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი ხარო. რუსთაველის თეატრის პარალელურად დმანისის თეატრშიც მიმუშავია. ასე რომ, ეს არის დასტური თქვენს კითხვაზე: დიახ, სადაც ფიცარნაგი და დარბაზია, ყველგან შემიძლია თამაში.

- მაგრამ 12 წელი ფიცარნაგის გარეშე გაძელით. მაინც, რამ გაიძულათ სცენაზე დაბრუნება?

- ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩემი სცენაზე დაბრუნებით მინდოდა აღმენიშნა შევარდნაძიზმის (და არა შევარდნაძის) პირველი სერიოზული მარცხი. რა თქმა უნდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში სცენა მენატრებოდა, მაგრამ მარტო სურვილი და მონატრება არ კმარა. სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, სამი დღე და ღამე ვფიქრობდი. სამი დღის თავზე კი 2003 წლის 24 ნოემბერს, ღამის ათ საათზე, პირველი, ვისაც დავურეკე, თემურ ჩხეიძე იყო და ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ვუთხარი.

- გენიშნათ, რომ შევარდნაძეს პოლიტიკიდან წასვლა სწორედ იმ ხალხმა აიძულა, ვინც თავის დროზე გამსახურდიას რეჟიმი დაამხო?

- მე სხვანაირად ვიტყოდი. ჯერ ერთი, გამსახურდიას რეჟიმზე, როგორც ასეთზე, ვერ ვილაპარაკებ, რადგან რამდენიმე თვეში არ შეიძლება რომელიმე რეჟიმზე საუბარი. რაც შეეხება იმ ხალხს, ვარდების რევოლუციამ უპირველესად მათი მარცხი გამოააშკარავა.

- გამსახურდიას მომხრეების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ვარდების რევოლუცია კარგად დადგმული სპექტაკლი იყო...

- მე პოლიტიკოსი არ ვარ და ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა გამიჭირდება. შეიძლება მართლა იყო დადგმული სპექტაკლი, მაგრამ ვიღაცას ხომ დასჭირდა ამ სპექტაკლის დადგმა. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ შევარდნაძიზმი იმდენად იყო გაკოტრებული, ვიღაცას სწორედ ასეთი სპექტაკლის დადგმა დასჭირდა.

- პოლიტიკოსი არ ხართ, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებების გამო თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლები სცენის მიღმა გაატარეთ. თეატრიდან წასვლა ასე აუცილებელი იყო?

- თეატრი კოლექტიური ხელოვნებაა. ხომ მეთანხმებით? როცა ახმეტელის თეატრში მოვდიოდი, ყველას ვთხოვე, ბატონობით არავის მოემართა. ასე იმიტომ არ მოვქცეულვარ, რომ ასაკმა შემაწუხა და ამის აღქმა არ შემიძლია. რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, თეატრი ერთი დიდი ოჯახი უნდა იყოს, სადაც ყველა თანასწორია და ყველა ერთმანეთს ენდობა. ახლა უშუალოდ კითხვაზე გიპასუხებთ: იმ კოლექტივში დარჩენა აღარ შემეძლო. 1992 წელს რეპეტიციის დროს ხმამაღლა ვთქვი, რომ მე სისხლიანი ინტელიგენციის რიგებს არ ვეკუთვნოდი. ერთმა მხცოვანმა, ჩემთვის პატივსაცემმა მსახიობმა გასვლა ითხოვა. ყველას დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი ტუალეტში გავიდა. ის კი ჩავიდა ფოიეში და განაცხადა: აი, ხომ ვამტკიცებდი, ხიდაშელი გამსახურდიას მომხრეაო (თითქოს მე ეს ოდესმე დამემალოს). დაინგრა თურმე ფოიე რისხვისგან. როგორ გაბედაო? მე ერთი ჩვეულებრივი ცოდვილი ვარ და ვერ ვგრძნობ, რომ უკან ფრთები ამომდის. მეტიც, მეეჭვება, ოდესმე ეს ვიგრძნო. მაგრამ მე მართლა არ ვეკუთვნი იმ ინტელიგენციის რიგებს, ვინც თბილისის ქუჩებში ტანკების გამოჩენას ტაშით ეგებებოდა.

- არ უშვებთ, რომ ისინი, უბრალოდ, ცდებოდნენ და რომ სხვისი შეცდომების გამო სულაც არ ღირდა თეატრის დატოვება?

- როგორ შეიძლება დარჩე ოჯახში, სადაც ოჯახის ერთმა წევრმა თეატრის სახურავზე სნაიპერები აუშვა? რუსთაველის თეატრის მცირე სცენას ნატყვიარი რომ ამჩნევია, ეს იყო პასუხი სროლაზე სროლით. რა თქმა უნდა, მაშინაც ვთვლიდი და ახლაც ასე მიმაჩნია, რომ ის ადამიანები ცდებოდნენ. მაგრამ, თუ დამიჯერებთ, ყველაზე მეტად შევარდნაძე მებრალება, რადგან ერთია ცოდვა, რომელსაც საკუთარ თავს ან ახლობლებს აყენებ, და მეორე - საზოგადო ცოდვა, რომელსაც მთელი ერის განადგურება შეუძლია. თეატრალურ ინსტიტუტში ერთი პედაგოგი გვყავდა, ნათელა იონათამიშვილი, სასცენო მოძრაობას გვასწავლიდა. ერთ-ერთი მოძრაობა ხელების გაშლა იყო. ვიდექით სცენაზე და ვშლიდით ხელებს. ბუნებრივია, ერთმანეთს ვეჯახებოდით. გაიწიე, რა?! - ან მე ვეტყოდი სხვას, ან სხვა მეტყოდა მე. შენ თვითონ გაიწიე, - გვეტყოდა ხოლმე ეს პედაგოგი. მართლაც, ძალიან მარტივი გადაწყვეტილებაა: ერთი ნაბიჯით დაიწევ და გაშლილი ხელით აღარავის ეხები. ეს გაკვეთილები, როგორც ჩანს, კარგად ავითვისე - მე ჩავიწიე. ცხადია, ჩემი წასვლა ყველას ერთნაირად არ გაუხარდა. დღესაც, როცა ჩემი კოლეგები ახმეტელის თეატრში პრემიერაზე მოვიდნენ და მომილოცეს, სიხარულისაგან თავი ძლივს შევიკავე.

- მაგრამ, რუსთაველის თეატრიდან მარტო თქვენ არ წასულხართ. იზა გიგოშვილმა და მერაბ თავაძემ მალევე დააარსეს თეატრი და დაუჯერებელია, რომ თქვენ იქ არ მიეწვიეთ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენ ნახევარი კი არა, რამდენიმე მეტრით ჩაიწიეთ...

- შემოთავაზება, ცხადია, იყო, მაგრამ ვთვლიდი, რომ იმ თეატრის (ლაპარაკია სამეფო უბნის თაეტრზე - რედ.) გახსნა მაშინდელი ხელისუფლების წისქვილზე დაასხამდა წყალს. ასეც მოხდა. ქვეტექსტი ასეთი იყო: ჩვენ, მართალია, ავტომატებით მოვედით, მაგრამ ნახეთ, რა დემოკრატები ვართ, აგერ, გამსახურდიას მომხრეებს თეატრს ვუხსნითო. ამას მივხვდი და უარი ვთქვი.

- არიან თუ არა რობერტ სტურუაზე ან თემურ ჩხეიძეზე უკეთესი რეჟისორები დღეს, ეს თეატრმცოდნეებმა გაარკვიონ, მაგრამ თქვენ ბედმა გაგიღიმათ და ორივესთან ნაყოფიერად თანამშრომლობდით. რას ნიშნავს სტურუასთან ახლოს ყოფნა და რას ნიშნავს მისგან წასვლა?

- მე სტურუასთან ახლოს არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა თქვენ ალბათ პირად ურთიერთობებს არ გულისხმობთ. ვისთვის ძნელია მისგან წასვლა, ვისთვის - არა.

- თქვენთვის?

- ვნახოთ, მე ხომ ხელახლა ვუბრუნდები სცენას. თავის დროზე რუსთაველის თეატრიდან წამოსვლა ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა. სანამ გერმანიაში წავიდოდით გასტროლებზე, სამხატვრო ხელმძღვანელმა დამიბარა და მითხრა, გასტროლების შემდეგ ყველას გავყრი, შენს გარდაო. ყველაში, ირაკლი აფაქიძის გარდა, იგულისხმებოდნენ ის მსახიობები, ვინც გამსახურდიას უჭერდნენ მხარს. ესენი იყვნენ იზა გიგოშვილი, ელდარ სახლთხუციშვილი და გოგი თურქიშვილი. მე ვთხოვე, ასე არ გაეკეთებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეც დავტოვებდი თეატრს. მაგრამ, სტურუამ ჩემი თხოვნა ყურად არ იღო და მე თეატრი დავტოვე.

- თქვენთვის რატომ დაუშვა კომპრომისი, როგორც ნიჭიერი მსახიობი ვერ გაგიმეტათ?

- მშვენივრადაც გამიმეტა და სხვებთან ერთად ბრძანებით გამანთავისუფლა, თუმცა შრომის წიგნაკში, რომელსაც დღემდე ამაყად ვინახავ, ჩამიწერეს, რომ თურმე გაცდენების გამო მანთავისუფლებდნენ. უარესი, მერე შემომითვალა, აღდგენაზე დამეწერა განცხადება. საქმე ბევრად უფრო რთულად იყო, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, სტურუას ვერ გავიმეტებ იმისათვის, რომ მასზე ცუდი ვთქვა და მის თაყვანისმცემლებს გული მოვუკლა.

- როცა სცენაზე დაბრუნება გადაწყვიტეთ, თემურ ჩხეიძეს დაურეკეთ. რატომ მაინცდამაინც მას?

- როცა დავურეკე და ვუთხარი, თეატრში ვბრუნდები-მეთქი, ორჯერ საუბრის დასაწყისში გადამიხადა მადლობა და ერთხელ საუბრის დამთავრებისას. ეს თემურ ჩხეიძეა.

- როგორ ფიქრობთ, სტურუასთან რომ დაგერეკათ, მადლობას არ გადაგიხდიდათ?

- ასე გიპასუხებთ: ეს ორი ადამიანი ორი განსხვავებული სამყაროა.

- ამბობენ, რომ ყველა კარგი რეჟისორი დიქტატორია და მსახიობები იმდენად დამოკიდებული ხდებიან მათზე, სხვებთან თანამშრომლობა უჭირთ....

- ის ანეკდოტი ხომ გახსოვთ, ქმარი იძახის, მამაკაცი ოჯახის თავიაო, ცოლი კიდევ ამბობს, ქალი კისერია და საითაც ის მიტრიალდება, თავიც იქით მიჰყვებაო. იქნებ, თეატრშიც ასეა. ბოლოს და ბოლოს, მსახიობი რეჟისორის სურვილების შემსრულებელი უნდა იყოს. თუ ამის ზევით რაღაცას დაამატებს, რეჟისორს, რაგინდ დიქტატორი იყოს, მაინც მოხიბლავს. თუ მსახიობს მხოლოდ ერთ რეჟისორთან შეუძლია თამაში, ეს ნიშნავს, რომ იგი არც ისე ნიჭიერია. სულ ესაა და ეს.

- დღეს აშკარად შეიმჩნევა აკადემიური დადგმების სიმცირე და ე. წ. კაპუსტნიკების მომრავლება. როგორ ფიქრობთ, ეს ერთგვარი ტაქტიკაა ჩვენი ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე თუ კრიზისის ნიშნები შეიმჩნევა? თქვენ თუ მიიღებთ მონაწილეობას ასეთ "კაპუსტნიკებში"?

- რა პრინციპით ხდება რეპერტუარის შერჩევა ამ თუ იმ თეატრში, ეს ჩემი გასარჩევი არ არის. რაც შეეხება "კაპუსტნიკებს", აუცილებლად ვითამაშებ, თუ იქ საინტერესო პერსონაჟის შექმნის შესაძლებლობა მომეცემა და მეცოდინება, რომ მაყურებელი გულგრილი არ დარჩება.

- რას აკეთებდით მთელი ამ ხნის განმავლობაში?

- როცა თეატრიდან წამოვედი, მატერიალურად ძალიან გამიჭირდა. სადღაც უნდა მემუშავა. არადა, 6 წლიდან სცენაზე ვდგავარ და სხვა პროფესია არ მქონია. ნაძალადევში, გადასასვლელ ხიდთან, ნახევარსარდაფში საამქრო იყო, სადაც ხანჯლებს აკეთებდნენ სუვენირებად რუსეთში გასატანად. იქ დავიწყე მუშაობა, მაგრამ ხერხემლის ძველი ტრავმა გამიმიზეზდა და საოპერაციო შევიქენი. ჩემმა მეგობრებმა შემომთავაზეს, ჩვენ რაღაცას ვქმნით და შენც ჩვენთან იყავიო. ისინი კიდევ მალამო "ფიტომალს" ქმნიდნენ... ახლაც იქ ვმუშაობ და როგორც სხვებს დაავქვთ ხაჭაპური და შოთი პური მაღაზიებში, ისე დამაქვს მე "ფიტომალი" საბითუმო აფთიაქებში. ერთი ხანობა ამის პარალელურად სერიალს ვახმოვანებდი.

- მაგრამ სცენას მაინც დაუბრუნდით. სტურუამ რუსთაველში დაბრუნება რომ შემოგთავაზოთ, როგორ მოიქცევით?

- მაშინ მან უნდა გააუქმოს ის ბრძანება, რის საფუძველზეც ხუთი კაცი უსამართლოდ გაგვაგდო თეატრიდან. შემდეგ უკვე შეიძლება ამაზე ფიქრი დავიწყო.

- სტურუამ თუ იცის, რომ ამდენი წლის შემდეგაც იმ ბრძანების გაუქმება თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია?

- თქვენ როგორ ფიქრობთ? ჩემი გაგდებიდან ორი თვის თავზე დასის გამგე გამომიგზავნა: მოვიდეს, სალაპარაკო მაქვსო. მე კიდევ გადავეცი, რომ თეატრის ზღურბლს აღარ გადავაბიჯებდი, სანამ ჯერ იმათ არ აღადგენდა, ვინც ჩემთან ერთად გაგდო. შემდეგ, როცა "ველური გულის" გახმოვანებაზე ვმუშაობდი, მარი ჯანაშიას პირით შემომითვალა: ვიცი, თეატრში სალაპარაკოდ არ მოვა და სადმე სხვაგან შემხვდესო. დასაფიქრებლად სამი დღე ვითხოვე. რა თქმა უნდა, ის მიხვდა, რომ მე ისევ იმ აზრის ვიქნებოდი და ჩვენც ერთმანეთს ვერ შევხვდით. იცით როდის გაგვყარა სამხატვრო ხელმძღვანელმა ქუჩაში? როდესაც ხალხი შიმშილით იხოცებოდა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ეს ის მსახიობები იყვნენ, ვინც მასთან ერთად "კავკასიური ცარცის წრე" შექმნეს.

- მაგრამ, გარკვეულ კომპრომისზე მაინც წახვედით, მაგალითად, როცა ტელევიზიაში ფილმის გახმოვანებაზე დათანხმდით...

- მართალია, ამ კომპრომისზე წავედი, თუმცა ტელევიზიაში სახელის მოსაპოვებლად არ მივსულვარ. ამიტომაც არ მიმიცია არც ერთი ინტერვიუ, თუმცა მაშინ ხუანის ბუმი იყო და მისი გამხმოვანებელიც ყველას აინტერესებდა. რაც მთავარია, ტელევიზია ჩემი სახლი არასოდეს ყოფილა და იქიდან ჩემთან ერთად არავინ გაუყრიათ.

- არ იცოდით, რომ ტელევიზიაშიც იგივე ხდებოდა, რაც თეატრში? პოლიტიკურ კონიუნქტურას ვგულისხმობ.

- რა ხდება ტელევიზიაში ან თქვენს რედაქციაში, მე, რა თქმა უნდა, არ ვიცი, ან კი რატომ უნდა ვიცოდე? თუ ასე წავიდა საქმე, ყველგან რაღაცა ხდება. შეიძლება ეს გულუბრყვილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ, იცით, გამსახურდიას რამდენი მხარდამჭერი უყურებდა ამ სერიალს და უხაროდა, რომ ხუანის გამხმოვანებელიც გამსახურდიას მომხრე იყო? უფრო ამიტომაც დავთანხმდი.

- არ გეშინიათ, რომ თქვენ სამუდამოდ შეგრჩებათ განაწყენებული მსახიობის იმიჯი? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენი სანდრო ამ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანია...

- მაცალეთ, ბატონო, თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ ეს პირველი როლია.

ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲗᲐᲠᲒᲣᲛᲔᲑᲘ

ᲘᲕᲐ ᲛᲘᲜᲓᲐᲫᲔ



ორიგინალის შინაარსისა და ფორმის სხვა ენის ლექსიკური საშუალებებით გადმოცემას ადეკვატური თარგმანი ეწოდება. ტერმინ "ადეკვატური თარგმანის" ნაცვლად ზოგჯერ "სრულფასოვან თარგმანსაც" ხმარობენ. თარგმნა მძიმე და, სამწუხაროდ, ხშირად დაუფასებელი შრომაა. მკითხველი თარგმნის ხარვეზებს უმალ ამჩნევს, რაც მთარგმნელის განქიქების მიზეზი შეიძლება გახდეს, თუმცა, იგივე მკითხველი "ნატიფი" თარგმანის წაკითხვისას იშვიათად გადაშლის წიგნის თავფურცელს, რომ მთარგმნელის ვინაობა შეიტყოს.

საქართველოში "პროფესიულ" თარგმანს, სულ მცირე, 15-საუკუნოვანი ისტორია აქვს და ის, პირველ რიგში, ცხადია, ბიბლიის თარგმნასთანაა დაკავშირებული. ბიბლიის თარგმნა მრავალ საუკუნეს გაგრძელდა. ძველი და ახალი აღთქმის ყველა წიგნის ერთად თავმოყრა და გამოცემა მხოლოდ XVIII საუკუნეში მოხერხდა, როდესაც 1743 წელს მოსკოვის მახლობელ სოფელ ვსესვიატსკოეში დაიბეჭდა ქართული ბიბლია, რომელიც "ბაქარის ბიბლიის" ან მოსკოვური გამოცემის სახელითაა ცნობილი. ამ საქმეს ჯერ არჩილ მეფე, ხოლო შემდეგ ვახუშტი ბატონიშვილი ედგა სათავეში. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ეს გამოცემა თარგმნის მხრივ უნაკლო არ აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ გამომცემლები ქართულ ტექსტს სლავურ ბიბლიას ადარებდნენ და მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ. ასე, მაგალითად, ისო ზირაქის XIII თავში წინადადება "ეგრეცა შესაჭმელ არიან მდიდართა გლახაკნი" გადმოუციათ როგორც "ეგრეთვე *პაჟითი* მდიდართა გლახაკნი", რაც სლავური ტექსტიდანაა გადმოღებული, სადაც წერია "такожде пажити богатым убозии", ასევე 1 მეფეთა XXVI თავში ვკითხულობთ: "და მოვიდეს ზეფელნი *ზნოინისა* საულისა მიმართ". რაც სლავური "изыдоша зифли от знойныя к Саулу" გავლენას უნდა მივაწეროთ.

ბიბლიის კანონიკური თუ არაკანონიკური წიგნების, ეგზეგეტიკური თუ პოლემიკური ხასიათის ტექსტებისა ან ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების გარდა, მთარგმნელის საქმიანობაში ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნას დიდი ადგილი ეკავა. ასეთი სახის თარგმანი მთარგმნელისგან ორიგინალისა და მშობლიური ენების სრულყოფილი ცოდნის გარდა, კრეატიულობასა და დახვეწილ გემოვნებასაც მოითხოვს, რაც თარგმანს შემოქმედებით პროცესად, ხელოვნებად აქცევს. ეს ასეა დღესაც, თუმცა, მთარგმნელს ახლა ბევრი ისეთი ტექსტის თარგმნა უწევს, რაც მთარგმნელობას ხელობას ამსგავსებს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ დიპლომისა და ნიშნების ფურცლის ან ბინის გაქირავების ხელშეკრულების თარგმნა განსაკუთრებულ კრეატიულობას არ მოითხოვს, თუმცა, ასეთი გამოყენებითი თუ ყოფითი ტექსტების თარგმნას გარკვეული კომპეტენცია მაინც სჭირდება.

სამწუხაროდ, ჩვენს მთარგმნელ-თარჯიმნებში ასეთი კომპეტენციის დეფიციტი აშკარად შეიმჩევა. მთარგმნელები თავის საქმეს ზერელედ ეკიდებიან და "კორპორაციის" რეპუტაციას ლახავენ. ზერელე თარგმანს თუ არა, აბა, რას შეიძლება დაბრალდეს, როდესაც გერმანული ლუდის "Lowenbrau"-ს სახელწოდება ქართულ ეტიკეტზე "ლოვენბრაუ"-დ არის გადმოცემული. ეტყობა, მთარგმნელი უმლაუტებს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს, რადგან ლუდის გემო ასეთი უზუსტობისგან ბევრად არ იცვლება.

უხეირო თარგმანისგან პროდუქტის გემო რომ არ იცვლება, თავისთავად ცხადია, მაგრამ ასეთივე ზედაპირულ დამოკიდებულებას იჩენენ მთარგმნელები თავიანთი საქმიანობის სხვა სფეროების მიმართაც, როგორიცაა, მაგალითად, ჩვენში გავრცელებული სერიალების თარგმანი. ეტყობა, ამ სერიალების ნაწილს რუსულიდან (და არა ორიგინალის ენიდან) თარგმნიან, რაც სწორედ დაშვებულ უზუსტობებსა და შეცდომებზე შეიმჩნევა. მოსამსახურე ქალი სტუმარს ყავას სთავაზობს და ეკითხება: "თქვენ ყავას ქლიავით მიირთმევთ თუ ქლიავის გარეშე?". ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ლათინურ ამერიკაში ყავას ქლიავით სვამენ. ბოლოს და ბოლოს, კაცია და გუნება, მაგრამ ეჭვი მაქვს, რუსულის უხეირო თარგმნასთან გვაქვს საქმე: "кофе со сливками" მთარგმნელმა "ყავა ქლიავით" გადმოაქართულა და, შესაბამისად, ყავის სმის ახალი ტრადიცია დანერგა.

ასევე საინტერესო მთარგმნელობითი პასაჟია, მაგალითად, ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" ერთ-ერთი წამყვანის ცნობა, რომ ქარიშხლის შედეგად ამდენი და ამდენი ოჯახი "უსისხლოდ" დარჩა. "უსისხლოდ" ამ შემთხვევაში "без крова"-ს გაქართულებას ნიშნავს. რუსული ფილმის "Три тополя на Плющихе" ტიტრებში ასეთმა ფრაზამ გაიელვა: "ბედნიერები მხოლოდ ოსები არიან." თანამედროვე თარგმანში გაწაფული მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, რომ ორიგინალში "Счастливы только осы" ითქვა. სხვათა შორის, ქართულში განასხვავებდნენ თარგმანებსა და თარგუმებს. თარგუმები (პირველ რიგში, ბიბლიის თარგუმები) უფრო პარაფრაზია, ვიდრე ტექსტის ზუსტი, სრულყოფილი გადმოცემა. თარგუმისტები ბიბლიის ტექსტის "თარგუმობისას" დიდ თავისებურებას იჩენდნენ. ისინი ტექსტს ხან უმატებდნენ, ხან აკლებდნენ, ხან ცვლიდნენ კიდეც.

თანამედროვე თარგუმისტები ზოგჯერ ისე თარგმნიან, რომ მართლაც "უსისხლოდ" დარჩები. სხვათა შორის, ეს ჟურნალისტების ქართულსაც შეეხება ხოლმე, თუმცა, ეს თემა შორს წაგვიყვანს. გაუგებარი რჩება მხოლოდ ის, ჰყავთ თუ არა ამ გადაცემებსა და სერიალებს რედაქტორები, და თუ ჰყავთ, რაში გამოიხატება მათი საქმიანობა? იქნებ ღირს, ვინმემ ჩამოუაროს ჩვენს ტელე-რადიოარხებს და იკითხოს: უკაცრავად, ეს ფრაზა ორიგინალშიც იყო? ან ერთი-ორი რედაქტორი ხომ არ გჭირდებათ?

ᲓᲘᲚᲘᲛ, ᲓᲘᲚᲘᲛ, ᲓᲘᲚᲘᲛᲔᲔ

ᲕᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑ ᲓᲐ ᲕᲧᲘᲓᲘ ᲛᲔᲔ...

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲖᲝᲜᲘᲐ

"ვერის უბნის" ეს მელოდია რაღაცით ჯერ ზოგადად ქართულ ტელევიზიას მაგონებს, შემდეგ კი, თითოეულს ცალ-ცალკე (მე კი, მათ შორის ყველაზე მეტად "რუსთავი 2" მტკივა), რომლებიც იმ სუპერმარკეტს დაემსგავსნენ, რომლის ვიტრინაში მიჯრითაა გამოლაგებული: სარეცხ-სახეხი ფხვნილები, პამპერს-პრეზერვატივები, რძისა და პურფუნთუშეულის ნაწარმი; საპოხ-საცხები კოსმეტიკა; ფარმაკოლოგია და...

მოკლედ დღეს, როდესაც ტელეეკრანის წინ ვჯდები, ასე მგონია, ელიავას ბაზრობაზე ან სადღაც, "გალერეა-ბაზარხანაში" ამოვყავი თავი.

ჰოდა, ჩემს აღშფოთებასა თუ სინანულს, რომელიც როგორც იქნა, ამოვთქვი, თუ აქვე ობიექტური საფუძველი არ მოვუნახე, ვინ იცის რა მელის.

საფუძვლად კი, იმაზედ უკეთესს რას წარმოგიდგენთ, თუ არა იმას, რომ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად უცხოეთში მივლინებებში ყოფნის დროს, მსგავსი არაფერი მინახავს ევროპის ტელეეკრანებზე; სადაც ასე მოსაბეზრებლად და თავხედურად (უნიჭობაზე ქვემოთ), წამდაუწუმ ცხვირში არ გვჩრიან "ოლვეის ულტრას" და თანაც ერთობ მომხიბლავი შარმით, როგორც სანახაობრივად, ასევე შინაარსით:

- ნახეთ, ახლა უფრო სანდოა, რადგან მშრალია და თანაც არც სუნი აქვს"!

იფ, იფ! არადა ასეთი სიბეჯითითა და სიჯიუტით მთელი ამ წლების მანძილზედ, ტელეეკრანიდან ის რომ ექადაგათ, ჩვენს სამშობლოს (როგორ გაგვიუცხოვდა ეს სიტყვა, სულ ქვეყანასა და სახელმწიფოს გავიძახით) ააღორძინებსო, დღეს იქნებ ასეთი გაღლეტილები აღარ ვყოფილიყავით, ხოლო რაც შეეხება ქალის ჰიგიენას და ბუასილს, რომლის მალამო - "ტკივილებს საამოდ დაგვიამებს" და კიდევ, სექსუალური მუცლის პრესისათვის, როგორმე იქნებ სხვა უფრო მოხდენილი საშუალებებით მიგვეხედა?!.

ვთქვი! მსგავსი არაფერი მინახავს ევროპაში-მეთქი.

- მაშინ რა ეშველებათ, ბუასილიან ჯენლტმენებს, ან ფათახ-საპატრონო, ფრაუ-ფროილაინებსაო იკითხავთ.

ბატონებო, ეს კბილი (თუ ნიფხავი), მრავალი ათეული წლებია მოიცვალეს მათ და ქალმა თუ კაცმა, თავთავიანთ პირის ღრუსა თუ წინა-უკანალს რომ უნდა მიხედონ, ამისათვის ტელეეკრანს არავინაა მიჩერებული და შესაბამისად, არც ევროპის ტელესარეკლამო ბიზნესი კარგავს ამნაირებისთვის ძვირფას დროს.

ეს ერთი და მეორე! მათი ამ ფორმით შეგინებითი პრესინგი, უბრალოდ, შეურაცხმყოფელიც კია, რადგან კბილებს რომ ჯაგრისი სჭირდება და ჭაბუკს პრეზერვატივი, ესეც კარგა ხანია, ისწავლეს მათ.

საქართველოში კი თურმე ჩვენ ჯერ კიდევ ელემენტარული ადამიანური ჰიგიენის კულტურის თვითმოთხოვნილება არ გაგვაჩნია და ტელეეკრანებიც სწორედ ამიტომ იღწვის ასეთი თავგამოდებით ერთბაშად ორ ფრონტზე, რომ დაგვაკვალიანოს, ამ საჭიროებათა გაცნობიერებაში (თანაც რა, როგორი ფერის, ზომის, წონის, გემოსი და აქვს თუ არა სუნი!), პლუს საარსებო კაპიტალის მოხვეჭა, მაგრამ რის ფასად, როგორი ფორმითა და საშუალებებით?!.

დილიმ, დილიმ, დილიმ, დილიმეე

ვყიდულობ და ვყიდი მეე...

ქართველებმა თქვეს: - "თვალი ჭამს და თვალი სვამსო". 3 ათასი წლის წინათ, ჩინელებმა ასეთი აფორიზმი ამოტვიფრეს: "ერთი გამოსახულება ათასი სიტყვა ღირს"!

ვიღაცამ რეკლამა განმარტა ასე:

- "ხელოვნება, გადასცე იდეა ერთი თავიდან მეორეში"!

მიაქციეთ ყურადღება - ხელოვნებაო და არა გაწაფულ, ფეხმარდ ფიგაროების ჩალიჩი, რომლებიც ერთ არხზე - ჯამბურატა კურკუტას ყიდიან; მეორეზე - ლაბლაბოს, მესამეზე კი - ამბრედუზო მედუზოს. ან სამთავეს ერთად ერთი ტელეკომპანიის არხზე.

მთავარია, ფიგარომ ქოჩრის გადავარცხნა მოასწროს ან, წინ ან უკან!

დანარჩენი?!.

დილიმ, დილიმ, დილიმ, დილიმეე

ვყიდულობ და ვყიდი მეე..

ლენინმა თქვა. - "ხელოვნება ეკუთვნის ხალხს"!

აი, ამისი თქმა კი ვერ მოასწრო თუ ვის ეკუთვნის "კგბ", ხალხს თუ სტუდენტებს. თუმცა, განა, სტუდენტობა იგივე ხალხი არ არის?!. "კგბ" კი, მათი პირმშო და საბჭოეთის "ჰაიდ-პარკი", რომლებმაც ფეხი სტუდენტურ კლუბებში აიდგეს და შემდეგ, ჭირვარამშეყრილი საბჭოთა ადამიანების "ჰაერის გამოსაშვებად" ჯერ სპორტდარბაზებში გადაინაცვლეს, შემდეგ პიონერთა სასახლეების სცენებზედ და ბოლოს ტელეეკრანებისკენაც გაიკვალეს გზა.

რით შეიძლება ავხსნათ დღევანდელ საქართველოში "კგბ"-ის აღზევება? (თუ რეანიმირება). დილეტანტიზმის ერთობ გავრცელებული ეპიდემიით, რომელმაც კარგა ხანია, მოიცვა განსაკუთრებით კულტურა, რომელშიაც ასე ფართოდაა ჩაბმული მასები.

ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ლენინი ცოცხალია!

მაგრამ ვის ეკუთვნის ტელევიზია?!.

რა მორალური და პროფესიონალური პასუხისმგებლობა აკისრიათ მათ პატრონებს?

ან აქვს კი რაიმე მნიშვნელობა ჩვენთვის იმას, რომ ერთი - გარგანტუასია; მეორე გულივერის თუ მესამე რობინზონ კრუზოსი?!

დილიმ, დილიმ, დილიმ, დილიმეე

ვყიდულობ და ვყიდი მეე..

ერთხელ, როცა ჟურნალ "ნიანგის" მხატვრული რედაქტორი ვიყავი, ერთი უნიჭო დამემუქრა: - თუ ისევ გააგრძელებთ ჩემი შემოქმედებითი კარიერის შეფერხებას, აქ მეორედ მომსვლელი არ ვარ!

- ჰოდა, მეც ეს მინდა, - ვუპასუხე, მაგრამ გულუბრყვილობაა, თუნდაც ერთი, ან ორი ასეთი პრინციპული, პირდაპირობით მიაღწიოთ მიზანს, რადგან ასეთი ტიპის ადამიანები, მით უფრო აგრესიულნი არინ, რაც უფრო უნიჭონი.

ხოლო თუ მას ერთხელ მაინც მიეცა თავისი ნაღვაწის საზოგადოების წინაშე გამომზეურების საშუალება, მაშინ ათმაგად რთულდება მისი გრაფომანული ამბიციების დაცხრობა; სრულიად მიუღწევადი კი, მაშინაა, როცა ავტორიც და გამომცემელიც ერთ თარგზედაა მოჭრილი. ესე იგი, ორივე უნიჭოა!

მაშ სხვაგვარად რით შეიძლება ავხსნათ ასეთი მასშტაბებით საქართველოს ტელეკომპანიების ტელეარხებზე ასე მოჭარბებულად უდღეური და უგემოვნო ტოკშოუებისა თუ რეკლამ-კლიპ-სექს ხურუშით ატროვება; ფარული თუ ღია კამერები; ან ჯეკპოტლოტო-მოტო გადაფხეკ-გადმოფხეკები?! გნებავთ, დაუსრულებელი, გულისამრევი, ტრანსპლანტაცირებული სერიალები?!. (მე "რუსთავი 2" ყველაზე მეტად მტკივა).

დილიმ, დილიმ, დილიმ, დილიმეე

ვყიდულობ და ვყიდი მეე..

დევიდ პოტერი თავის წიგნში - "სიუხვის საზოგადოების ადამიანები" მიდის იმ დასკვნამდე, რომ სკოლისა და ეკლესიისგან განსხვავებით, რეკლამა ადამიანებს აიძულებს შეიყვაროს ის, რასაც სთავაზობენ. ზღუდავს მის არჩევანს და აზვიადებს მომხმარებლის მატერიალურ მომხიბვლელობას.

სხვები კი კიდევ უფრო შორს მიდიან და "რეკლამის მაგიური" სიძლიერით შეწუხებულები ამტკიცებენ: - რეკლამა რყვნის ადამიანთა ფასეულობებს და აიძულებთ მათ ისურვონ ის, რაც მათ არ სჭირდებათ (ძალიან ბევრი ლუდი, ალკოჰოლური სასმელი, სიგარეტი, თვითმკურნალობა და სხვა); საზოგადოებრივი სიდუხჭირის ხარჯზე, ახალისებს პირად ფუფუნებას. ბადებს უკმაყოფილებას და გულს უცრუებს ადამიანებს იმ ნივთებზე, რაც მათ გააჩნიათ და აიძულებენ ისურვონ ის, რაც მათთვის არასდროს იქნება მიღწევადი.

დამეთანხმებით, შემაშფოთებელი დასკვნებია, მით უფრო ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა დღეს.

ეს რეკლამის ერთი მხარეა, მეორე კი, რეკლამა დღევანდელობის რეალობაა. რეკლამა ჯანსაღი საზოგადოების მასტიმულირებელია, სრულყოფს და ხელს უწყობს პროგრესს. მაგრამ მხოლოდ გააზრებული და პროფესიონალური რეკლამა!

სწორედ ამიტომ არის, რომ როგორც ერთი მოსაზრება, ასევე მეორე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ, რომლებმაც გადაწყიტეს თავისი საქმიანობა მიუძღვნან ისეთ ფენომენს, როგორიცაა რეკლამა.

დილიმ, დილიმ, დილიმ, დილიმეე

ვყიდულობ და ვყიდი მეე..

როცა გარგანტუა პანტაგრუელს შეატყვეს ზნექცევა არ უვარგოდა, მამამისმა გადაწყვიტა კეთილმეცნიერებით განსწავლა მისი და იმჟამინდელ ცნობილ მკურნალს მიადგა თხოვნითა და მუდარით - ვინძლო ჩემი შვილი ჭეშმარიტ გზას შეაყენოთო. ექიმმა წესისამებრ სამკურნალო სწავლისა, გარგანტუას ანტიკირული შხამი, ანუ აპუნტრაკი მიაღებინა და განწმინდა ყოველგვარი სიბილწისგან.

იქნებ ასეთი აპუნტრაკით გვემკურნალა?!

და თუ არა, მაშინ როგორ?!

P.S. ცხადია, ქართულ ტელესივრცეში ნიჭიერი სპეციალისტები მოიძებნება. იქნებ თქვენ იმარჯვოთ ბატონებო?!

თორემ... დილიმ, დილიმ, დილიმ, დილიმეე?!.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

თბილისის საერთაშორისო ცენტრში შარშან 22 ოქტომბერს მოწყობილ გამოფენას - "უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე" აშშ-ში იანვრის ბოლოს წაიღებენ; გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთების ასლები, ისტორიული ფოტოსურათები და დოკუმენტური მასალები. არქეოლოგიური ნივთების ასლების ორიგინალები თარიღდება ძვ. წ. აღ. XXV - ახ. წ. აღ. IV საუკუნეებით.

ექსპოზიცია მონაწილეობას მიიღებს ნიუ იორკის საერთაშორისო ჩვენებაში, რის შემდეგაც 19 თებერვალს ტეხასის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ქვეყნების საგამოფენო დარბაზში გამოფენენ უძველესი ისტორიული მემკვიდრეობის მოტივებზე შექმნილ ნიმუშებს, ხოლო ქართველი ხელოვნებათმცოდნე მაკა დვალიშვილი საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე ლექციას წაიკითხავს. ექსპოზიცია საქართველოში 2005 წლის 23 თებერვალს დაბრუნდება.

პროექტს "უძველესი საქართველო - ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე" აფინანსებენ აშშ-ს საელჩო საქართველოში, საერთაშორისო ხელოვნებისა და განათლების ფონდი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. ***მედიანიუსი***

ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ

ბაკურიანში 12-13 იანვარს კავშირი "მონუმენტის" ორგანიზატორობით ყინულის ფესტივალი გაიმართება. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მოქანდაკეები; ისინი ყინულისგან სხვადასხვა ფიგურებს შექმნიან. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ფესტივალში მონაწილეებს დიპლომებს გადასცემს.

13 იანვარს, ყინულის ფესტივალის დახურვისას, უკრაინელი დიზაინერი მარინა იაროსკავსკი ზამთრის კოლექციის ჩვენებას მოაწყობს. ჩვენებაში მონაწილეობას მიიღებენ უკრაინელი მოდელები. ***მედიანიუსი***

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲨᲘ

8 და 9 იანვარს თეატრალურ სარდაფში რუსთაველზე თბილისის "გოეთეს ინსტიტუტის" ორგანიზებით წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა გერმანელი დრამატურგის მარიუს ფონ მაენბურგის ნაწარმოების "ცივი ბავშვის" პრემიერა.

სპექტაკლის რეჟისორია გურამ ბრეგაძე, მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძეს ეკუთვნის, მხატვარია გოჩა ღულელაური, ქორეოგრაფი - გია მარღანია. პროექტი ხორციელდება გოეთეს ინსტიტუტისა და ქართულ-გერმანული საზოგადოების ერთობლივი დაფინანსებით.

სპექტაკლში მონაწილეობენ როგორც თეატრალური სარდაფის, ასევე მიწვეული მსახიობები (ზურაბ ინგოროყვა, ქეთი ხიტირი, ონისე ონიანი, ეკა ბაკურაძე, მაკა შალიკაშვილი, კოტე თოლორდავა და ეკა ქართველიშვილი).

სპექტაკლზე მუშაობა ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ***24 საათი***

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

10 იანვარს "გოეთეს ინსტიტუტში", ცნობილი გერმანელი დირიჟორის უვე ბერკემერის ინიციატივით, კავკასიის კამერული ორკესტრის პროექტის პრეზენტაცია გაიმართება.

კავკასიის კამერული ორკესტრი, რომელსაც ბერკემერი ჩამოაყალიბებს, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მუსიკოსებით დაკომპლექტდება. ამ ტიპის ორკესტრის შექმნა სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველი პრეცედენტია. "გოეთეს ინსტიტუტში" იმედს გამოთქვამენ, რომ ორკესტრი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მოსახლეობას პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვის აუცილებლობის მაგალითს მისცემს; მომავალში კი ორკესტრი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ევროპაში ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ***ინტერ-პრესი***

ორი ახალბედა და ნიჭიერი

2005 წელი განსაკუთრებული წარმატებით ორი ახალგაზრდისთვის დაიწყო. კანადელი თინეიჯერის ავრილ ლავინის ვარსკვლავი ნიუ იორკში გამართულ მსმენელის ფავორიტების დაჯილდოების ცერემონიალზე გაბრწყინდება. შოუ "სი ბი ეს"-ით კვირას, 9 იანვარს გადაიცემა. ავრილ ლავინი კი ნომინაციაში ყველაზე საყვარელი შემსრულებელი ქალი ისეთ დიდ ვარსკვლავებს გაუწევს კონკურენციას, როგორებიცაა: ალიშა ქიზი, სარა მაკლაქლანი, ნორა ჯონსი და შერილ ქროუ. ინგლისელი მომღერლის ჯოს სტოუნის სახელი კი კიდევ უფრო პრესტიჟულ ცერემონიალზე გაჟღერდება. ის "გრემის" სამ ნომინაციაზეა წარდგენილი: საუკეთესო ახალბედა შემსრულებელი, საუკეთესო ქალი შემსრულებელი და საუკეთესო პოპ-ვოკალ ალბომი.

ამ ორ ახალგაზრდა ქალბატონზე მუსიკალური მიმომხილველები კიდევ დიდ ხანს იმსჯელებენ. ამიტომ მათი ახლოს გაცნობა უდავოდ საინტერესოა. მით უფრო, რომ ავრილიც და ჯოსიც ერთფეროვან მუსიკალურ რეალობაში აბსოლუტურად ახალ სიტყვას ამბობენ.

დავიწყოთ კანადელი მომღერლით. გოგონა, რომელიც ცოტას ლაპარაკობდა და სხვებივით სულ სიცილი არ ეკერა პირზე სწორედ მაშინ შეხტა სცენაზე, როცა მსმენელს ბოლომდე მობეზრდა ბრიტნისა და მისი მიმბაძველების მოსმენა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არც არის, რომ მისმა ორივე ალბომა უდიდეს წარმატებას მიაღწია. 2005 წლისთვის კი გოგონა დატვირთულ საგასტროლო ტურნეს გეგმავს.

ავრილ ლავინი 1984 წელს ონტარიოს გარეუბანში, კონსერვატორთა ოჯახში დაიბადა. ის ბავშვობიდან ქანთრის მღეროდა და, ალბათ, ასე გაგრძელდებოდა მერეც, რომ არა ლავინის პირველი მენეჯერი, რომელმაც ის ეკლესიაში აღმოაჩინა. სანამ 16 წლის გახდებოდა, ლავინს უკვე გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი "არისთა რიქორდსთან". ამავე პერიოდში ის გადაბარგდა ნიუ იორკში და თავის პირველ ალბომზე დაიწყო მუშაობა.

ეს კრებული Let Go 14 მილიონი ეგზემპლარით გაიყიდა და მრავალი პრიზით დაჯილდოვდა, მათ შორის, 2002 წლის "ემ ტი ვი"-ს მუსიკალურ დაჯილდოებაზე მოპოვებული საუკეთესო ახალბედა შემსრულებლის ჯილდოთი. ამ ახალბედა მომღერალს სხვებისგან გამოარჩევდა რაღაც "გარეული ბავშვისთვის" დამახასიათებელი იმიჯი და ინდეფერენტულობა, რითაც ის ვარსკვლავობის სტატუსს უდგებოდა. მისი თანატოლი თინეიჯერებისთვის კი ავრილი უმალ იქცა ახალი მუსიკალური ტალღის ნაწილად, რომლისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია შემოქმედება და რომელიც შორს დგას ქარხნული პრინციპით დამზადებული პოპისგან.

მართალია, ავრილ ლავინის მიმართ არიან კრიტიკულად განწყობილნიც, მაგრამ მაინც ყველა ერთხმად აცხადებს, რომ გოგონა უდავოდ ნიჭიერია. ამის დასტურია დადებითი რეზენციებიც, რომელიც ავრილის მეორე ალბომმა Under My Skin მიიღო. კრიტიკოსებმა ის იმის დასტურად მიიღეს, რომ მომღერალი მომავალშიც წარმატებების ამ ტალღას გაჰყვება.

ასე რომ, შეიძლება, ვერავინ გამოთვალოს, ავრილის პროვოკაციულ-ბავშვური იმიჯიდან რა ნაწილია ხელოვნური და რა - ნამდვილი, მაგრამ როგორც თავად გოგონა იტყოდა: რა მნიშვნელობა აქვს.

ახლა კი ჯოს სტოუნი. მისი მოღვაწეობა ბევრისთვის იმის დასტურია, რომ სოული ყველა ასაკში შეიძლება, იმღერო. სტოუნი მხოლოდ 17 წლისაა და ჟანრის უამრავ ვარსკვლავთან ერთად უმღერია. ასაკი ამ გოგონას სასარგებლოდ მუშაობს. მას ხომ წინ კიდევ მრავალი წელი აქვს იმისთვის, რომ სიმღერისას მეტ სიღრმეს და სრულყოფას მიაღწიოს.

ჯოსლინ ივ სთოუქერი დოვერში, ინგლისში 1987 წლის აპრილში დაიბადა. მისი შთაგონების წყარო გახდა არეტა ფრანკლინის უდიდესი ჰიტების ალბომი, რომელიც იყო პირველი საკუთარი ფულით შეძენილი დისკი. ფრანკლინის სიმღერების მოსმენის შემდეგ სტოუნი მიხვდა, რომ მომღერლობა სურდა. 14 წლის ასაკში "ბი ბი სი"-ს გადაცემაში "ღამის ვარსკლავი" მან სწორედ არეტას ჰიტი-კლასიკა შეასრულა. სიმღერა ძალიან ორიგინალური გამოვიდა. გოგონამ შეძლო, გაეერთიანებინა გლეიდის ნაითის, ჯენის ჯოპლინის და თავად არეტას სტილი. ეს კი იმდენად ახალი სიტყვა იყო, რომ ჯოსს აგენტი ერთი თვალის დახამხამებაში გამოუჩნდა.

რიტმ-ენ-ბლუზის ლეგენდის ბეტი ვრაითისა და სხვა მომღერლების დახმარებით სტოუნმა თავისი სადებიუტო ალბომი ჩაწერა. ეს იყო კრებული სათაურით The Soul Sessions (2003 წ.), რომელმაც კრიტიკოსებიცა და მსმენელიც დაარწმუნა, რომ გოგონა გაცილებით უფრო ზრდასრული და სრულყოფილი მომღერალი იყო, ვიდრე მის ასაკს შეეფერებოდა. 2004 წელს სტოუნმა შეასრულა ჯგუფ White Stripes-ის სიმღერის Fell In Love With A Girl თავისი ვერსია. რომელიც ორი მილიონი ეგზემპლარით გაიყიდა. თუმცა, სხვისი სიმღერების შესრულების გარდა, სტოუნმა თავისი სიმღერების დიდი ნაწილი დაწერა, რომლებიც მეორე ალბომში Mind, Body and Soul გაერთიანდა (2004 წ. სექტემბერი). ამ ალბომის შემდეგ ახალბედა, ნიჭიერი გოგონას შესაძლებლობები უკვე ყველამ აღიარა.

დღეს ჯოს სტოუნს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. მათ შორის არიან ისეთი ცნობილი სახეებიც, როგორიც ლენი კრავიცია. ლენი ამბობს, რომ ჯოსსთან მუშაობა სურს. მიკ ჯაგერმა კი გოგონა კინოფილმ "ალფის" თანმხლებ მუსიკალურ ალბომზე სამუშაოდ მიიწვია. აქედან გამომდინარე, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბრიტნი სპირსის მიმბაძველთა ამალისგან განსხვავებით, ჯოს სტოუნი თავის გამორჩეულ ადგილს მუსიკალურ ინდუსტრიაში სამომავლოდაც შეინარჩუნებს.

სოულის და

პირველი ალბომის გამოსვლიდან ორი წლის თავზე 17 წლის ჯოს სტოუნი "გრემის" სამ ნომინაციაზეა წარდგენილი: საუკეთესო ახალი შემსრულებელი. საუკეთესო ქალი შემსრულებელი. საუკეთესო პოპ-ვოკალ ალბომი.

1987 წ. 11 აპრილი: ინგლისში, დოვერში ჯოსი ჯოსელინ ივ სთოუქერის სახელით დაიბადა.

ალბომები: The Soul Sessions (2003). დისკი სინგლი - Fell In Love With A Boy (2004) გაიყიდა 2 მილიონი ეგზემპლარი.

Mind, Body & Soul (სექტემბერი, 2004 წ.). ჯოს სტოუნის პირველი სრული მოცულობის ალბომი. 14-დან 12 სიმღერა თავიდან ბოლომდე ან ნაწილობრივ ჯოს სტოუნის მიერაა დაწერილი.

Mind, Body & Soul Sessions: ცოცხალი კონცერტი ნიუ იორკში (2004 წ. დეკემბერი). ვიდეო-ციფრულ დისკში შედის 13 სიმღერა.

© GRAPHIC NEWS

ყველაფერი, მაგრამ არა - ჩვეულებრივი

ავრილ ლავინი ახალი ტიპის ვარსკვლავი გახდა. 17 წლის ასაკში კანადელმა გოგონამ პირველ წარმატებას 2002 წლის ზაფხულში მიაღწია. თინეიჯერ მსმენელს მან "ემ ტი ვი"-ს ერთფეროვანი პოპ-რეალობის ორიგინალური ალტერნატივა შესთავაზა.

1984 წ. 27 სექტემბერი: დაიბადა ონტარიოში, ნაპანიში.

1996 წ.: 12 წლის ასაკში დაწერა პირველი სიმღერა. იმავე წელს შეასრულა პირველი სოლოც ეკლესიაში გამართულ კონცერტზე.

2001 წ.: კონტრაქტი ხმის ჩამწერ კომპანია "არისთა რიქორდსთან" გააფორმა.

გაიყიდა სადებიუტო ალბომის Let Go (2002 წ. ივნისი) 14 მილიონი ეგზემპლარი. სიმღერა ჩარტების სათავეებში მოექცა ავსტრალიაში, კანადასა და ბრიტანეთში; ხოლო შტატებში მეორე ადგილს დასჯერდა.

Under My Skin (2004 წ. მაისი). ეს სიმღერა ლიდერობს ავსტრალიის, კანადის, ბრიტანეთისა და შტატების ჩარტებში.

© GRAPHIC NEWS

1,5 მილიონი პირადი დანაზოგიდან

მსოფლიო დასავლელი ვარსკვლავების მორიგი ხელგაშლილობის მხილველი ხდება. მსოფლიო მასმედიის საშუალებებით ყოველდღიურად ვრცელდება ცნობები, თუ რომელი ცნობილი სახე რამდენს რიცხავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დასახმარებლად. ერთ-ერთი ასეთი უკანასკნელი ინფორმაციით, სტივენ სპილბერგმა დაზარალებულ აზიელებს საკუთარი სახსრებიდან მილიონნახევარი ამერიკული დოლარი გადაურიცხა; ცოტა ადრე მილიონი დოლარი კინომსახიობმა სანდრა ბალოკმა გაიღო; მნიშვნელოვანი თანხით (რაოდენობა არ კონკრეტდება) შეეწია დაზარალებულებს ლეონარდო დი კაპრიოც.

ამერიკელმა მედიამაგნატმა რუპერტ მერდოკმა კი განაცხადა, რომ მისი კომპანია NewsCorp ამავე მიზნით მილიონ დოლარს რიცხავს; ამას გარდა, მერდოკი გამოვიდა ინიციატივით და მოუწოდა ამერიკული საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელობას, დაუთმონ უფასოდ დრო და ფურცლები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან მიღებულ მონაცემებს, ახალ ამბებს. ამერიკული მასმედიის წვლილი ამით არ ამოწურულა. 5 იანვარს ამერიკულმა ტელეარხმა ჰოლივუდისა და ამერიკული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავების მონაწილეობით ერთსაათიანი მარათონი გამართა, საიდანაც შემოსული თანხა მთლიანად დაზარალებულ ქვეყნებს გადაერიცხა. მარათონის წამყვანი მსახიობი სარა ჯესიკა პარკერი იყო.

ᲜᲘᲜᲘᲐ ᲥᲐᲥᲐᲑᲐᲫᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია

ჩემი უკანასკნელი ორი წერილი ქართული მრავალფეროვანი დღესასწაულების აღსანიშნავად შეიქმნა. ისე მოხდა, რომ მაინცდამაინც პარასკევ დღეს, მაშინ როდესაც მე სვეტებს ვთხზავ, ჯერ ქრისტეშობა დაემთხვა, შემდეგ ახალი წელი და ახლა ისევ ქრისტეშობა. პატრიარქმა კი 31 დეკემბერს მე და მთელ საქართველოს ახალი წლის დადგომა საჯაროდ მოგვილოცა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყაროში, აბსურდი სულ უფრო და უფრო აქტიური ხდება, ეს საახალწლო მილოცვა და შემდეგ შობის დღესასწაული იუნესკოსაც კი გააკვირვებდა. ამიტომ, რადგან აბსრუდის მოტრფიალეც გახლავართ და ფანტასტიკური ჟანრისაც, ამ ალოგიკურ მოვლენათა თანმიმდევრობას ჩემს სასიკეთოდ გამოვიყენებ და მეორე შობას საქართველოში ჩემთვის სახლში ჩუმად აღვნიშნავ (მეც ხომ ამ ქვეყნის შვილი ვარ) და სვეტს კი, ჩვეულ არასადღესასწაულო გრაფიკში შემოგთავაზებთ.

ყველაფერი ახალი კარგად მივიწყებული ძველიაო. ის რაზედაც მე დღეს მინდა ვისაუბრო, კარგად არავის მიუვიწყებია, მაგრამ დღეს ამ ტენდენციის რეაბილიტაცია თუ რეინკარნაცია თავიდან რომ ხდება, ესეც ცხადია.

კომუნისტურ ხანაში, 20-იან წლებში, ხელოვნებაში გაჩნდა ასეთი მიმდინარეობა - სოცრეალიზმი (სოციალისტური რეალიზმი), რომელიც სიკეთეს, სიკეთეს და სიკეთეს ასახავდა. იყვნენ კეთილები და ძალიან კეთილები, უყვარდათ და ძალიან უყვარდათ, სამშობლოსთვის მოამაგე და სამშობლოსათვის თავდადებულები. ბოროტი და ისიც კანტიკუნტად, მხოლოდ გარედან შემოსული ჯაშუში თუ იყო. ჩვენს, მაშინდელ ქვეყანაში კი მხოლოდ კეთილები და ძალიან კეთილები ცხოვრობდნენ. ცხოვრება კი მაშინ როგორი იყო, ბუნებრივია, ამას აღარ მოვყვები, მაგრამ ტელევიზია, კინო თუ თეატრი ამას არაფერს აჩვენებდა. დღეს ზუსტი "კალკით" არავის გაუმეორებია სოცრეალისტური შედევრები, მაგრამ ქართულმა ტელეარხებმა გეზი რომ სწორედ ამ მიმართულებით აიღეს, ესეც ფაქტია.

პირველად პოსტ-სოცრეალისტური ტენდენციები კოკა ყანდიაშვილის ლეგენდად ქცეულ გადაცემაში შევნიშნე სახელწოდებით "რა ხდება?" და აი, რა ხდებოდა ყანდიაშვილის საავტორო გადაცემაში: ადამიანებს, სოფლებს, ქალაქებს პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ მათი ცხვორება მაინც საამური იყო. ყველა მაინც ბედნიერი იყო, ცხოვრებაც ყველას უხაროდა. მერე რა, რომ წლების განმავლობაში, არც შუქი ენახათ და არც გაზი, მათ ხომ ერთმანეთის და კოკას გადაცემის სიყვარული ასულდგმულებდათ. ერთი სიტყვით, მაშინ ასეთი სურათი იხატებოდა - **გვიჭირს, მაგრამ გვილხინს**. გასაჭირს ისე გვაჩვენებდნენ, რომ მისი აქტუალობა მეორე პლანზე იწევდა, პირველ პლანზე კი საამური არსებობა იხატებოდა. ისევე როგორც სოცრეალიზმის საწყისშივე ტყუილი იდო, ასევე გახლდათ ამ ზემოთ ხსენებულ გადაცემაშიც, - როგორ რეალისტურადაც ასახავდნენ მაშინ კომუნისტები ყოფას, ასევე რეალურად პასუხობდა ყანდიაშვილის გადაცემა კითხვას - "რა ხდება?". ტენდენციის რეაბილიტაცია აქტიურად შევარდნაძის ეპოქაში დაიწყო და პიკს სწორედ 2 ნოემბრის არჩევნებამდე პერიოდში მიაღწია. დღეს აღარც შევარდნაძეა და აღარც მისი ხელისუფლება, მაგრამ ეს უკანასკნელი (მიმდინარეობა) სულ უფრო და უფრო მძლავრდება, მოსახლეობას კი ცხოვრება ისევ გაუსაძლის პირობებში უწევს. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ყანდიაშვილის გადაცემა სხვა სახელწოდებით და იგივე პათოსით ახლა ახალ ხელისუფლებას ულბობს გულს, მას მიმდევრებიც გაუჩნდნენ. დღევანდელმა ტელეარხებმა პრიორიტეტად (საკუთარი ინიციატივით), პოზიტივი აირჩიეს, თუმცა ეს რეალობას არ შეესაბამება. ნეგატიურ მოვლენებსაც კი ლამაზ და ბრჭყვიალა ქაღალდში ფუთავენ და ასე ტკბილად აწვდიან მოსახლეობას ინფორმაციას. საბედნიეროდ, ეს ყველას და უკლებლივ ყველა ჟურნალისტს არ ეხება, მაგრამ ზოგადად ტელესაეთერო ტენდენცია ამგვარია.

პირველი - რაც საკვირველი არ არის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო არხმა მაუწყებლობა ახალი ფორმატით აღადგინა, საკვირველი არ არის, რომ ბევრი კრიტიკული წერილი გაჩნდა ბეჭდვით მედიაში, რომელთა შორის ყველა მათგანს ვიზიარებ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია - ყოველთვის იარსებებენ ადამიანები და ამ შემთხვევაში ჟურნალისტები, რომელნიც ყველა ხელისუფლებას მოემსახურებიან და აქედან გამომდინარე მათი კეთილდღეობა ყოველთვის გარანტირებული იქნება. ისინი ამას ყოველთვის შეეცდებიან. ერთადერთი, რაც წინა წერილებში გამომრჩა და შესაძლებელია, ეს მე გამოვტოვე, გახლავთ ის, რომ ყანდიაშვილები, შენგელიები, მავანნი და მავანნი ყოველთვის შეეცდებიან ხელისუფლების სამსახურში ყოფნას. ეს უკვე სამწუხარო რეალობაა. ჩემთვის ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი სწორედ ის გახლავთ, რომ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს (და შესაძლებელია, ხელისუფლებასაც), რომელიც ჯერ კიდევ ნდობით სარგებლობს, სჭირდება ზემოთ ხსენებული ადამიანები საკუთარი გადაცემებით. საყოველთაო ტყუილს და მლიქვნელობას ეს ხელისუფლებაც ითხოვს და სიამოვნებს. პირადად მე ეს ყველაზე მეტად მაშფოთებს. თუმცა, ესეც უკვე სამწუხარო რეალობაა - ყველა ხელისუფლება თუ პრეზიდენტი ყოველთვის მოითხოვს და სიამოვნებით მიიღებს მლიქვნელებსაც და მოისმენს თუ ნახავს ტყუილსაც. და ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს ხელისუფლებაც, არათუ ითხოვს, არამედ სჭირდება ისინი, ანუ ზემოთ ხსენებული ჟურნალისტები თუ გადაცემები.

მეორე - რაც საკვირველია. გარდა კრიტიკული წერილებისა, ამგვარ რეპლიკებსაც წავაწყდი, როგორც გაზეთებში, ასევე პირად საუბრებში: "განა ლამაზი და კეთილი არაფერი ხდება ჩვენს ცხოვრებაში, სულ უბედურ შემთხვევებს რომ ვაშუქებთ?!" აი, ეს ნამდვილად მიკვირს, მოსახლეობა თუ საზოგადოება, როგორც გნებავთ, ისე ვუწოდოთ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ტყუილში ცხოვრობს, რომელსაც მუდმივად ჰპირდებიან და არ უსრულებენ, რომელსაც ეუბნებიან, რომ მალე ყველაფერი კარგად იქნება, და არაფერი კარგად არ არის, თავად ითხოვს ტყუილს. საზოგადოების დაკვეთაა "სოცრეალისტური პათოსი". ალბათ, ამიტომ არის, რომ განსაკუთრებულად ბევრი მადლიერი მაყურებელი რეკავდა და დღემდე რეკავს კოკა ყანდიაშვილის გადაცემის პირდაპირ ეთერში; მადლობთ რომ არსებობ, მადლობა ღმერთს, რომ შენ გხედავ ცისფერ ეკრანზე და ა.შ.

ერთი სიტყვით, დასასრულს ისევ დასაწყისს დავუბრუნდები და გეტყვით, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი ჩვენ ირგვლივ ისევე ირეალური, აბსურდული და ალოგიკურია, როგორც ის საოცრება, რომ **ახალი წელი ქირსტეშობას უსწრებს წინ.**

ფეხბურთი

"ლივერპულმა" ორი ფეხბურთელი დაკარგა

გუშინ ცნობილი გახდა, რომ "ლივერპულის" ესპანელ ნახევარმცველ ხაბი ალონსოს და მეკარე კრის კერკლანდს ოპერაცია სჭირდებათ. აღდგენისთვის კი ორივე ფეხბურთელი დაახლოებით სამ თვეს დაკარგავს.

ალონსოს კოჭზე ახლავე გაუკეთებენ ოპერაციას. მან 1 იანვარს, ფრენკ ლემპარდთან შეჯახებისას მიიღო ტრავმა. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი ექვს კვირას დარჩებოდა ლაზარეთში, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ალონსოს ორჯერ მეტი დრო დასჭირდება.

პარასკევს კი კერკლანდს ხერხემლის დისკზე გაუკეთებენ ოპერაციას. "ლივერპულში" გადასვლის შემდეგ მეკარეს ტრავმები მუდამ თან სდევდა და 23 წლის ფეხბურთელს მოსვენებას არ აძლევდა. გუნდმა კერკლანდი 2001 წელს 10 მილიონ ევროდ შეიძინა, მაგრამ მას შემდეგ მან მხოლოდ 25 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

თუ "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ლევერკუზენის "ბაიერის" ბარიერს დაძლევს, მაშინ მეოთხედფინალურ შეხვედრებში ორივე ფეხბურთელს შეეძლება თამაში. ეს მატჩები 5 ან 6 აპრილს გაიმართება.

ამას გარდა, "ლივერპული" ამთავრებს "ვალენსიადან" მაურიციო პელეგრინოს გადმოყვანის საქმეს. გუნდი ესპანურ მხარესთან უკვე ფორმალობებს აგვარებს. ცენტრალური მცველი, რომელიც კლაუდიო რანიერის გუნდში ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა, ნისლიან ალბიონზე მას შემდეგ გადაბარგდება, რაც "ვალენსიასთან" მოქმედ კონტრაქტს გაწყვეტს. 33 წლის არგენტინელს თავის დროზე კლუბის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის ორ ფინალურ მატჩში მიუღია მონაწილეობა - 2000 და 2001 წლებში. მიმდინარე სეზონში კი უკვე უთამაშია ევროთასებზე "ვალენსიას" შემადგენლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ პელეგრინო "ლივერპულს" ჩემპიონთა ლიგის ტურნირში ვერ დაეხმარება.

საინტერესოა, რომ არგენტინელი მცველი კვლავ რაფაელ ბენიტესის განკარგულებაში იქნება, რომელიც ამ ზაფხულს "ლივერპულში" სწორედ "ვალენსიადან" გადავიდა. ამ სეზონში ესპანელთა რიგებში პელეგრინო მინდორზე მხოლოდ ორჯერ გამოვიდა. მან ძირითად შემადგენლობაში ტრავმის შემდეგ დაკარგა ადგილი. ფეხბურთელმა "ლივერპულთან" 6-თვიანი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა, მინდორზე მანამდე ვერ გამოვა, სანამ კონტრაქტთან დაკავშირებით ყველა ფორმალობა არ მოგვარდება.

"მე სრულიად კმაყოფილი ვარ", - ამბობს 33 წლის ფეხბურთელი, რომლის კონტრაქტი "ვალენსიასთან" ივნისში იწურებოდა. პელეგრინომ "ვალენსიასთან" ერთად ესპანეთის ჩემპიონატი და უეფას თასი მოიგო.

პელეგრინომ საფეხბურთო კარიერა არგენტინის "ველეუ სარსფილდში" დაიწყო და 1994 წელს გუნდთან ერთად ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასები მოიგო. გაატარა რა ერთი სეზონი (1998/1999 წლები) "ბარსელონაში", ფეხბურთელი "ვალენსიაში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

ბლატერი წესებს ცვლის

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა გადაწყვიტა, ფეხბურთის რამდენიმე წესი შეცვალოს. ამ მიზნით ის მზად არის, ფიფას თუნდაც 2011 წლამდე უხელმძღვანელოს. მსოფლიო ფეხბურთის შეფმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ აუცილებელია, გამარტივდეს თამაშგარე მდგომარეობის წესი. მისი ვარაუდით, თამაშგარეში შეიძლება მოხვდეს მხოლოდ ის ფეხბურთელი, რომელიც ბურთს იღებს. "პასიური თამაშგარე არ უნდა არსებობდეს", - მიიჩნევს ფიფას შეფი.

ბლატერი კატეგორიული წინააღმდეგია, თამაშგარე მდგომარეობის დასაფიქსირებლად ელექტრონული თანაშემწეები იქნას გამოყენებული. სამაგიეროდ ის ყაბულს არის, საკამათო სიტუაციაში, როცა ვერ ირკვევა, ბურთმა გადალახა თუ არა კარის ხაზი, გამოყენებულ იქნას თანამედროვე კონტროლის მექანიზმი. ბლატერის თქმით, ფიფა ამ ახალ წესს გამოსცდის ინგლისის თასის ფინალურ შეხვედრაში, რომელიც 27 თებერვალს კარდიფის "ათასწლეულის" სტადიონზე გაიმართება. "ადიდასის" ბურთში მიკროჩიპი იქნება ჩამონტაჟებული.

იმისთვის, რომ ბლატერმა თავის მიზანს მიაღწიოს, მზად არის, პოსტზე 2011 წლამდე დარჩეს. გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის წარმატებით ჩატარების შემთხვევაში და მაშინ, თუ ჯანმრთელობაც ხელს შეუწყობს, ბლატერი ფიფას პრეზიდენტის პოსტზე მესამე ვადით იყრის კენჭს. ბლატერი, მისივე თქმით, აღიარებს, რომ მისი პრეზიდენტობის პირველ წლებში უაღრესად შებოჭილი იყო და ამის დავიწყება არ შეუძლია.

რუნიმ ბექჰემს აჯობა

ბრიტანული სპორტის ნომერ პირველი ვარსკვლავის საპატიო ტიტული დევიდ ბექჰემიდან ახალგაზრდა უეინ რუნის ხელში გადავიდა. 18 წლის ფეხბურთელმა, რომელიც შარშან ლივერპულის "ევერტონიდან" "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა, მე-14 ადგილი დაიკავა გაერთიანებული სამეფოს ყველაზე გავლენიან პერსონათა შორის. მან დევიდ ბექჰემს 9 პოზიციით აჯობა.

ჟურნალ GQ-ის გამოკითხვის შედეგად, მკითხველებმა სპორტსმენებს შორის ყველაზე მაღალ პოზიციაზე რუნი დაასახელეს. ბრიტანულ საზოგადოებაზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით რუნიმ უკან ჩამოიტოვა ლონდონის "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი (მე-18 ადგილი) და ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი.

ბრიტანული საზოგადოება კი ყველაზე გავლენიან ადამიანებად პოლიტიკოსებს, მედიამაგნატებსა და მწარმოებლებს მიიჩნევს. პირველ ათეულს ერთობლივად ლიდერობენ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. შემდეგ მოდიან არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის კურატორი ალან მილბერნი, ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი გორდონ ბრაუნი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა იმპერიის შეფი რუპერტ მერდოკი, ინგლისის ბანკის ხელმძღვანელი მერვინ კინგი.

აი, დებიუტი! ლუშემბურგომ და "რეალმა" სასწაული მოახდინეს

გუშინწინ, 5 იანვარს, ფეხბურთის საუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო მატჩი შედგა - მადრიდის "რეალმა" და სან სებასტიანის "რეალ სოსიედადმა" 6 წუთის ხანგრძლივობის მატჩი გამართეს. გეხსომებათ ალბათ, რამ გამოიწვია ასეთი შეხვედრის დანიშვნის აუცილებლობა. "რეალი" და "სოსიედადი" დეკემბერში ხვდებოდნენ ერთმანეთს, ანგარიში 1:1 იყო, თუმცა, მატჩის 87-ე წუთზე გაზეთ Gara-ს რედაქციაში ვიღაც უცნობმა დარეკა და აუწყა, რომ "სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე ბომბი იყო დამონტაჟებული და ის ზუსტად 21 საათზე აფეთქდებოდა. მატჩი იმ წამსვე შეწყდა და სტადიონი დაიცალა. მართალია, ბომბი ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ ბასკი ტერორისტებით გატანჯულ ესპანეთში მსგავსი ანონიმური ზარები მეტად ყურადსაღებია...

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ "რეალი"-"სოსიედადის" მატჩის მთლიანად გადათამაშება არ ისურვა, მხოლოდ ძირითადი დროის დარჩენილი სამი და მსაჯის მიერ დამატებული სამი წუთის, ანუ სულ ექვსი წუთის თამაში დაავალა გუნდებს. სწორედ ეს ექვსი წუთი ითამაშეს გუშინწინ "რეალმა" და "სოსიედადმა".

ამ წუთების განსაცდელად კი "სანტიაგო ბერნაბეუზე" 22 ათასი გულშემატკივარი შეგროვდა. ნაწილობრივ ეს ალბათ უფასო ბილეთებითაც იყო გამოწვეული, თუმცა, არც ის დაივიწყოთ, რომ ეს მატჩი სადებიუტო იყო "რეალის" ახლად დანიშნული მწვრთნელის, ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგოსთვის.

დებიუტი კი ნამდვილად შედგა, თანაც, როგორი! ახალი მწვრთნელის მიერ დამოძღვრილმა "რეალმა" შეუძლებელი შეძლო და ამ ექვს წუთში გოლის გატანა მოასწრო.

რონალდოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზიდანმა შეასრულა და "რეალს" სამი ქულა მოუტანა. მატჩის შემდეგ ყველა აღფრთოვანებული იყო. ქვემოთ გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს ვანდერლეი ლუშემბურგოსთან, შემდეგ კი რონალდოსა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტის, ემილიო ბუტრაგენიოს კომენტარებს, რომლებიც მატჩის დასრულებისთანავე ჩაიწერეს ჩვენმა ესპანელმა კოლეგებმა.

ლუშემბურგო: "ჩვენ ვიმუშავეთ, რათა გაგვმართლებოდა"

- რას იტყვით ამ უცნაური მატჩის შესახებ?

- ეს თამაში ფეხბურთელებმა მოიგეს. დღეს დილით დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ვისაუბრეთ და განვიხილეთ, თუ რისი გაკეთება იყო შესაძლებელი დროის ამ მონაკვეთში, როგორ უნდა გვეთამაშა. ჩვენ ვიმუშავეთ იმისთვის, რომ ასე გაგვმართლებოდა. გუნდი იმსახურებდა ამ გამარჯვებას და მან ის მოიპოვა. პირველად მივიღე მონაწილეობა მატჩში, რომელიც ექვს წუთს გრძელდებოდა. მაგრამ ახლა ჩვენ ეს თამაში უნდა დავივიწყოთ, რადგან კვირას ახალი ისტორია იწყება და ამისთვის დღესვე ვიწყებთ მზადებას. ჩვენ უკვე შემდეგი მატჩისთვის ვემზადებით.

- შემადგენლობა არც ისეთი შემტევი იყო, როგორც ვვარაუდობდით. რატომ?

- შემადგენლობა დაბალანსებული უნდა იყოს. თუ ყველას თავდასხმაში დავაყენებთ, მაშინ ვინ იკისრებს თამაშის ორგანიზებას? ფიგუს არ შეეძლო თამაში და ამიტომ მორიენტესი გამოვუშვით მოედანზე. ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც საჭიროდ ჩავთვალეთ მატჩის მოგებისთვის.

- გუნდი მეტისმეტად მოტივირებული გავიდა მინდორზე.

- რომ გაიმარჯვო, მოედანზე მოტივირებული უნდა გახვიდე. არ შეიძლება ასეთ მნიშვნელოვან მატჩში, უბრალოდ, მის ჩასამთვარებლად გახვიდე მინდორზე. გუნდი ძალიან მოტივირებული იყო და ამიტომ, დღეიდან მოყოლებული, უკვე ყველაფერი შესაძლებელია.

- თქვენ ძალიან აქტიურად ზეიმობდით გატანილ გოლს. ამას არავინ ელოდა...

- ეს ჩემი მუშაობისა და გოლის აღნიშვნის მანერაა. თამაშში მე გუნდთან ერთად ვმონაწილეობ და თუ გოლი გაგვაქვს, უნდა ვიზეიმოთ კიდეც.

- რატომ შეცვალეთ ორი ფეხბურთელი?

- მატჩის დაწყების წინ სათადარიგო მოთამაშეებს ვუთხარი, რომ გოლის გატანის შემთხვევაში, დროის გაწელვის მიზნით, ორ ცვლილებას ვგეგმავდი. ეს შეცვლები იმიტომ განვახორციელეთ, რომ ერთადერთი საშუალება, რომლითაც მეტოქეს ჩვენთვის გოლის გატანა შეეძლო, საჯარიმო მოედანში ბურთის ჩაკიდებები იყო. მე აქცენტი გავაკეთე პავონზე, რომელიც კარგად თამაშობს თავით.

რონალდო: "ეს იყო ჩემი საფირმო ფინტი"

"კარგად ვიცოდით, რომ მინდორზე ასი პროცენტით დამუხტულები უნდა გავსულიყავით, რომ ძალიან ცოტა დრო გვექნებოდა. ჩვენ ჩაკიდებებით უნდა გვეთამაშა, ამიტომაც ითამაშა მორიენტესმა", - იხსენებს რონალდო.

შემდეგ ბრაზილიელმა ფორვარდმა ისაუბრა იმ მომენტზე, როდესაც მან პენალტი "აიკიდა": "მივიღე ბურთი. წავედი წინ. ამ დროს ჩემკენ მცველი წამოვიდა. მე ერთ-ერთი ჩემი საფირმო ფინტი გავაკეთე. ეს ყველაფერი პენალტით დასრულდა. თერთმეტმეტრიანი დარტყმის შესრულება თავად მინდოდა, მაგრამ ჩვენს მიერ არჩეული რიტმის გამო დაქანცული ვიყავი. ამიტომ უმჯობესი იყო, დარტყმა ზიდანს შეესრულებინა. კარგად უნდა გამოვიყენოთ ის ზონა, სადაც ჩვეულებრივ მე ვიმყოფები - ძირითადად, ეს მეტოქის მეკარის საჯარიმო მოედანია. ეს "რისკის ზონაა" მეტოქის მცველებისთვის და ეს უნდა გამოვიყენოთ".

"ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ფინალურ მატჩს ვთამაშობდით. ჩვენ ძალიან მოტივირებულები ვიყავით. საათნახევრის განმავლობაში გასახდელში ვემზადებოდით, 25 წუთი მინდორზე ვხურდებოდით, თვითონ თამაში კი მხოლოდ ექვს წუთს გაგრძელდა. მსგავსი რამ არასოდეს მინახავს".

"თითქოს ხალხი ფიზიკური ვარჯიშებისას ჩემმა შრომისუნარიანობამ გააკვირვა. ბევრი მაკრიტიკებდა. მაგრამ დღეს მე იმის დემონსტრირება მოვახდინე, რომ ფეთქებადი მოთამაშე ვარ, რომელიც უკეთესად გამოიყურება მოკლე დისტანციებზე. ჩემი თამაშის მანერა ასეთია, ასე უკეთ გამომდის".

ბუტრაგენიო: "დავტკბეთ დღესასწაულით!"

"რეალის" ვიცე-პრეზიდენტი ემილიო ბუტრაგენიო აღფრთოვანებულია ამ მატჩით. ჟურნალისტებთანაც მეტად ემოციურად ისაუბრა: "ეს გამარჯვება ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ფეხბურთელისთვის, ლუშემბურგოსთვის, საკისთვის, ჩვენი გულშემატკივრებისთვის. ეს უდიდესი საჩუქარია ჩავლილი დღესასწაულების შემდეგ. მოთამაშეები ფანტასტიკურად მოქმედებდნენ, პირველივე წუთიდან თავგანწირვით იბრძოდნენ. იგივეს აკეთებდნენ გულშემატკივრები".

"ექვს წუთში მეტოქის საჯარიმო მოედნამდე ბურთის მიტანა ძალიან ძნელია. ამიტომაც ითამაშა მორიენტესმა, რათა მაღალი ბურთებისთვის ებრძოლა. ჩვენ გავიმარჯვეთ და ეს ამბავი ერთმანეთს უნდა მივულოცოთ".

"დღეს დილით ვთქვი, რომ გოლს გავიტანდით და შემდეგ ორ შეცვლას გავაკეთებდით. სწორედ ასე მოხდა. ძალიან გვიხარია და იმედი მაქვს, ყველა იმ სიძნელის შემდეგ, რაც უკანასკნელად დაგვატყდა თავს, დღევანდელი მატჩი წარმატებული მომავლის ათვლის წერტილი გახდება".

"ეს გამარჯვება შესანიშნავი დასაწყისია ლუშემბურგოსთვის. ის გამოცდილი სპეციალისტია და მასზე უდიდეს იმედებს ვამყარებ. ვფიქრობ, ის გუნდს მაქსიმალურად შრომისუნარიანს გახდის. იმედი მაქვს, გუნდი გადასხვაფერდება. შემადგენლობაში უმაღლესი კლასის მოთამაშეები გვყავს, წინ კიდევ დიდი დრო გვაქვს იმისთვის, რომ სიტუაცია გამოვასწოროთ".

"ახლა დღესასწაულით უნდა დავტკბეთ. ხვალიდან კი "ატლეტიკოს" წინააღმდეგ დერბისთვის დავიწყებთ მზადებას".

ედუ ფიქრობს

ნინო ტიკარაძე

ამბობენ, "არსენალის" ნახევარმცველს ბრაზილიელ ედუს კლუბიდან წამოსვლა უნდაო. იმასაც ამბობენ, რომ მას მომავალი გუნდიც უკვე არჩეული აქვს - "ვალენსია", მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდი გახლავთ. ისე კი, გამორიცხული არაფერია. თავად ფეხბურთელი მაინცდამაინც დარწმუნებული არ ჩანს. ესპანური პრესა ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებს. წესით და რიგით, ყველაფერი მალე უნდა გაირკვეს.

გასულ თვეში საუბარი დაიწყეს იმაზე, რომ ბრაზილიელ ედუს "არსენალში" გაჩერება აღარ უნდა, თუმცა, ამის მიზეზს არავინ ასახელებს. თავად ფეხბურთელს ყოველთვის საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა და დღემდეც ასეთივე აქვს "მეთოფეთა" მთავარ მწვრთნელ არსენ ვენგერთან. როცა ინგლისურმა და ესპანურმა პრესამ ედუს გუნდიდან წასვლაზე და ესპანეთში გადასვლის შესახებ დაიწყო ინფორმაციის გავრცელება, ვენგერმა საჯაროდ აღიარა, რომ მას ფეხბურთელის დათმობა არ უნდოდა. მწვრთნელი იმედოვნებდა, რომ ედუ გაუძლებდა თუნდაც ისეთი ძლიერი გუნდის ცდუნებას, როგორიც მადრიდის "რეალი" გახლავთ და "არსენალთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დათანხმდებოდა: "არ მესმის, რატომ უნდა აინტერესებდეს ფეხბურთელს მადრიდის "რეალი" ლონდონის "არსენალზე" მეტად", - აღნიშნა ერთი შეხედვით გაოცებულმა ვენგერმა.

ამ განცხადებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ესპანურ გაზეთ AS-ის ერთ-ერთ სტატიაში ეწერა, რომ "მეთოფეთა" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა გაითვალისწინა ედუს თხოვნა და მას კლუბიდან მალე გაუშვებსო. სტატიაში ისიც ეწერა, რომ ამ საქციელით ფეხბურთელის იმედი გაამართლდა, რადგან მას სჯეროდა, რომ "არსენალი" საკმაო თანხის საფასურად წინააღმდეგობას აღარ გაუწევდა ბრაზილიელ ლეგიონერს და იანვარში "ვალენსიაში" გადასვლის უფლებასაც უპრობლემოდ მისცემდა.

თუმცა, სიმართლე ისაა, რომ ბრაზილიელი ლეგიონერი ჯერ კიდევ ყოყმანობს. ამას მისი განცხადებებიც მოწმობს: "გასულ წელს კლუბთან მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო. ამ გუნდში ჩემი დარჩენის შანსი ძალიან მცირეა. ალბათ ესპანეთში გადავალ". ამ განცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ ედუმ BBC-თან საუბარში ტონი შეარბილა: "ჩემი ძმა ამადეო ფენსაო, რომელიც ამავე დროს ჩემი წარმომადგენელია, ლონდონში ჩამოსვლას და "არსენალის" ხელმძღვანელობასთან საუბარს აპირებს. მათი შეხვედრა 6 ან 7 იანვარს უნდა გაიმართოს. ვფიქრობ, ახლა შემიძილია ავირჩიო - ან დავრჩე, ან წავიდე. მაგრამ გადაწყვეტილება მალევე უნდა მივიღო, რადგან დრო არ ითმენს." გაცილებით უფრო მკაცრ კომენტარს აკეთებს ფეხბურთელის ძმა, რომელიც, როგორც ედუმ აღნიშნა, "არსენალის" ვიცე-პრეზიდენტ დევიდ დეინთან მოსალაპარაკებლად ლონდონში ჩაფრინდება: "მართალია, "არსენალს" ედუს გაშვება არ უნდა, მაგრამ მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის. ჩვენ იმაზე უფრო მეტი გვინდა, ვიდრე ისინი გვთავაზობენ".

შეგახსენებთ, რომ ედუ "არსენალმა" 2001 წლის იანვარში ექვს მილიონ ფუნტად იყიდა ბრაზილიის "კორინთიანსისგან."

ამ სეზონში ბრაზილიელ ნახევარმცველს "არსენალში" 9 ნოემბრიდან ფეხის ტრავმის გამო აღარ უთამაშია. მთლიანობაში, მან სულ 109 მატჩი ჩაატარა. მის ანგარიშზე 13 ბურთი ირიცხება. ბრაზილიელ ნახევარმცველს ლონდონურ კლუბთან კონტრაქტის ვადა ზაფხულში ეწურება, თუმცა, ამის მიუხედავად, ედუს უფლება აქვს, სხვა კლუბებთან დაიწყოს მოლაპარაკება, რადგან, ფიფას წესების თანახმად, ფეხბურთელს კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე შეუძლია დაუკავშირდეს მისთვის სასურველ კლუბსა თუ კლუბებს და არჩევანიც გააკეთოს.

როგორც ესპანურ პრესაში აცხადებენ, ფეხბურთელმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო. მის სასურველ გუნდად "ვალენსიას" ასახელებენ. იმასაც ამბობენ, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი და ამ ესპანური კლუბის ხელმძღვანელობა უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ. სავარაუდოდ, ნახევარმცველი გუნდში სეზონის დასასრულს გადავა. "მას "ვალენსიაში" თამაში ურჩევნია "რეალსა" და "ბარსელონაში" თამაშს," - განაცხადა "ვალენსიას" წარმომადგენელმა ესპანურ გაზეთ "Marca"-სთან საუბარში. თუმცა, თავად ფეხბურთელმა ეს განცხადება უარყო და აღნიშნა: "ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია". მეტიც, მან, როგორც თავად აღნიშნა, პრესის საშუალებით შეიტყო ესპანეთის სამი უძლიერესი გუნდის: "რეალის", "ბარსელონასა" და "ვალენსიას" მიერ მისადმი გამოჩენილი ინტერესი: "მართალია, ახლახან გავიგე, რომ მსოფლიოს ამ სამ ცნობილ გუნდს ჩემი შეძენა სურს. ბუნებრივია, ამ ფაქტმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, მაგრამ პირადად ჩემთან კლუბების წარმომადგენლებს ამ საკითხზე ჯერ არ უსაუბრიათ. ამიტომ 100 პროცენტით დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს სიმართლეა. თუმცა, თუ ეს მართლაც ასეა, შემიძლია ვთქვა, რომ გამიჭირდება ერთ-ერთის გამორჩევა, რადგან ჩემთვის სამივე კლუბი განსაკუთრებულია," - განაცხადა ფეხბურთელმა. მაგრამ ამჯერად მას არჩევანის გაკეთება არა სამ, არამედ ორ გუნდს შორის მოუწევს, რადგან მადრიდის "რეალმა" ჯერჯერობით უცნობი მიზეზის გამო უარი თქვა ბრაზილიელი ნახევარმცველის ყიდვაზე.

კალათბურთი

მე საუკეთესო ვარ

სანდრო ნავერიანი

ვინ არის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო გამთამაშებელი? ეს საკითხი ყოველთვის იდგა, დგას და დადგება, მაგრამ საუკეთესოს გამოვლენა მას შემდეგ უფრო გამძაფრდა, რაც "ნიუ-იორკ ნიქსის" გამთამაშებელმა სტეფონ მარბერიმ გასული წლის უკანასკნელ დღეს ჟურნალისტებს განუცხადა: "მე საუკეთესო ვარ!".

პირველ იანვარს "ნიუ-ჯერსი ნეთსის" კალათბურთელმა რიჩარდ ჯეფერსონმა მარბერის სიტყვები არაფრად მიიჩნია და განაცხადა: "მეოთხე წელია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ვთამაშობ. ოთხივე სეზონი "ნეთსის" რიგებში ჩავატარე და ვთვლი, რომ ამ წლების განმავლობაში ვთამაშობდი მსოფლიოს საუკეთესო გამთამაშებელთან ერთად. ალბათ ხვდებით, ვისაც ვგულისხმობ. რა თქმა უნდა, ეს არის ჯეისონ კიდი". ჯეფერსონმა ასევე აღნიშნა ისიც, რომ არც ჯეი კიდს, არც მეჯიქ ჯონსონს და არც ჯონ სტოქტონს არასოდეს უთქვამთ: "მე ყველაზე ძლიერი ვარ", მიუხედავად იმისა, რომ ისინი მართლაც საუკეთესონი არიან.

და მაინც, საკითხი ღიად რჩება: ვინ არის საუკეთესო?

სტეფონ მარბერი? მისი მაჩვენებლები წლევანდელ სეზონში მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ ჯერ ჩემპიონატის ნახევარიც კი არ გალეულა, თან, არ დაგავიწყდეთ, ლაპარაკია რეგულარულ სეზონზე, მთავარი კი სათასო მატჩებია, ეგრეთ წოდებული პლეი-ოფი. სწორედ ამიტომ ჯერ ადრეა დაასახელო საუკეთესო გამთამაშებელი, თუმცა, საუკეთესო ცენტრის დასახელება

სტეფონ მარბერი თვლის, რომ ის საუკეთესო გამთამაშებელია, მაგრამ...

არ გამიჭირდება, რადგან შაკილ ო`ნილის ბადალი არავინაა მთელ ლიგაში.

ისევ გამთამაშებლებზე ვისაუბროთ და საუკეთესო გასული წლების შედეგებით დავასახელოთ. ამისთვის მოვიხმარ ნიუიორკულ გაზეთ "სანის" ("sun") მიმომხილველის ჯონ ჰოლინგერის ანალიტიკურ წერილებს. ჰოლინგერი საუკეთესო გამთამაშებელს მოედანზე გატარებული დროის მიხედვით ავლენს. მაგალითად: "ა" კალათბურთელი თითო მატჩში 20 წუთს თამაშობს და 5 შედეგიან გადაცემას აკეთებს. კალათბურთელი "ბ" კი მატჩში საშუალოდ 40 წუთს თამაშობს 8 შედეგიან გადაცემას იძლევა. ამ შემთხვევაში "ა" და "ბ" კალათბურთელებს შორის საუკეთესოა "ა". რატომ? "ა" 4 წუთში ერთხელ იძლევა შედეგიან გადაცემას, ხოლო, "ბ" - 5 წუთში ერთხელ. ასეთი გამოთვლების შემდეგ უკანასკნელი სამი წლის საუკეთესო გამთამაშებლად სემ კასელი დასახელდა. მეორე ადგილი ერგო სტივ ნეშს, მესამე - ჯეისონ კიდს, ხოლო მეოთხე ადგილზე სტეფონ მარბერი გავიდა. აღსანიშნავია, რომ აღმავლობის გზას დაადგა ყველა გუნდი, რომლიდანაც სტეფონ მარბერი წავიდა. როდესაც მან "მინესოტა თიმბერვულვზი" მიატოვა და მის ნაცვლად მინეაპოლისურ კლუბში "ნიუ-ჯერსი ნეთსიდან" სემ კასელი მივიდა, მგლები ძალიან კარგად ათამაშდნენ. "ნიუ-ჯერსი ნეთსი" გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა მას შემდეგ, რაც გუნდი მარბერიმ დატოვა და მისი ადგილი "ფენიქს სანზიდან" გადმოსულმა ჯეისონ კიდმა დაიკავა. დაბოლოს, "ფენიქს სანზი" ბრწყინვალე კალათბურთს თამაშობს მას შემდეგ, რაც გუნდმა სტეფონ მარბერი გაუშვა და მის ნაცვლად "დალას მავერიქსიდან" სტივ ნეში მიიღო. "ნიუ-იორკ ნიქსი" სტეფონ მარბერისთვის მეოთხე გუნდია და, არ არის გამორიცხული, იგივე ბედი ეწიოს, რაც წინა სამ გუნდში. ამის შემდეგ სტეფონ მარბერი ხმამაღლა აცხადებს, საუკეთესო ვარო. მოდი და დაუჯერე! კლუბებს რომ თავი დავანებოთ, სტეფონ მარბერის ხელში ოლიმპიურმა ნაკრებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, ხოლო მაშინ, როდესაც ოლიმპიური ნაკრების პირველი გამთამაშებელი ჯეისონ კიდი იყო, დრიმ თიმმა ოქრო მოიპოვა. როგორც ხედავთ, ყველანაირი მაჩვენებელი მარბერის წინააღმდეგ მეტყველებს.

რაც შეეხება წლევანდელ სეზონს, საუკეთესო გამთამაშებელი უდავოდ სტივ ნეშია. გუნდი, რომელშიც ნეში თამაშობს, ლიგის საუკეთესო გუნდია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სტივ ნეშის გადაცემები ხშირ შემთხვევაში საგოლეა. ნეშის შემდეგ გამოვყოფდი ალენ აივერსონს, რომელმაც კენიონ მარტინის გუნდიდან წასვლის შემდეგ გამთამაშებლის ფუნქცია თავის თავზე აიღო და არცთუ ცუდად გამოსდის. ყოველ შემთხვევაში, მისი შედეგიანობა და გამთამაშებლობა კარგად შეერწყა ერთმანეთს.

ფორმულა 1

მონტოია "მაკლარენ-მერსედესს" მოარჯულებს

"უილიამსიდან" "მაკლარენ მერსედესში" დიდი აყალმაყალით გადაბარგებული კოლუმბიელი ხუან პაბლო-მონტოია დიდ იმედს ამყარებს ახალ გუნდთან თანამშრომლობაზე და პატივისცემითაც საუბრობს ფინელ მეწყვილე კიმი რაიკონენზე. ფორმულა 1-ის ექსპერტები კი სწორედ კოლუმბიელისა და ფინელის ტანდემისგან ელიან, რომ 2005 წლის "დიდ პრიზებზე" ისინი მეტოქეებს გზას გადაუღობავენ. სამეფო რბოლების მოყვარულთათვის უინტერესო არ უნდა იყოს კოლუმბიელის ინტერვიუ, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

- ახლახან ტესტირება გაიარეთ. რა იყო თქვენი უმთავრესი საზრუნავი, რაზე ამახვილებდით ყურადღებას?

- ძირითადად, ბოლიდის გამართულობაზე ვამახვილებდით ყურადღებას და იმაზე, რომ ბოლიდს შევგუებოდი. მერე კი საბურავებიც გამოვცადეთ.

- როგორი შთაბეჭდილება დატოვა მანქანამ?

- მანქანა ძლიერია. ბევრი რამ ბრწყინვალედ ფუნქციონირებს. საერთოდ, ვცდილობ, მანქანა საკუთარ სტილს მივუახლოვო, რადგან ბევრი რამ ჩემს მანერას არ ერგება.

- MP4-19B კოკპიტში ჩაჯდომამდე თუ ღელავდი?

- ვიდრე მანქანაში ჩავჯდებოდი, მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა მქონდა. მერე კი აღმოვაჩინე, რომ მასში ზოგი რამ ისე არ იყო, როგორსაც ადრე ვიყავი მიჩვეული. ყველაფერმა ამან, ცოტა არ იყოს, ამაღელვა, მაგრამ ბარსელონაში გატარებული ორი სატესტო დღის შემდეგ ბოლიდს შევეგუე. როდესაც ხერესში ტესტირებაზე გავედი, ამაზე აღარ ვფიქრობდი. უბრალოდ, ჩავჯექი მანქანაში და გზას გავუყევი.

- გიხარიათ თუ არა, რომ კიმი რაიკონენთან მოგიწევთ მუშაობა?

- ჩვენს შორის ყველაფერი ხუთიანზეა. ერთმანეთს ვუგებთ. იგი ერთ-ერთია იმ მრბოლთა შორის, რომელთანაც მშვიდად საუბარი შემიძლია. ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან. გვაქვს ერთნაირი ჰობი, მაგალითად, მოტოკროსი.

- სეზონს თავდაჯერებული ხვდები?

- კარგი იქნებოდა, გამარჯვებებისა და ტიტულებისთვის რომ გვებრძოლა, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჯერ კიდევ მანქანის მორჯულებაზე ვმუშაობთ. ნაადრევია იმის თქმაც, თუ რამდენად ძლიერები ვიქნებით. ჯერ ახალ გუნდთან მუშაობას უნდა შევეგუო და მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება ჩვენი შანსების შეფასება. ჯერჯერობით ყველაფერი წესრიგშია.

- "მაკლარენ-მერსედესის" მართვა თუ მოგწონს?

- ჩემი შთაბეჭდილებები ყოველდღიურად მდიდრდება. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სრულიად განსხვავებულ ბოლიდს ვმართავდი. ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ გავიგო, რაზე რეაგირებს მანქანა დადებითად და სად ვგრძნობ თავს უხერხულად. დრო გვჭირდება, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მანქანა მაინც ბრწყინვალეა.

- იმედგაცრუებული ხომ არ ხართ იმით, რომ ტესტებზე ჯერ კიმისთან ერთად არ გიმუშავიათ?

- ჩემთვის ეს პრობლემა არაა. მე ხომ მანქანასთან მუშაობაზე ვამახვილებდი ყურადღებას. თუ ჩვენს შედეგებს შევადარებთ, სულაც არ გამიკვირდება, თუ კიმის მონაცემები უკეთესი იქნება, რადგან დიდი ხანია, რაც იგი ამ მანქანას მართავს. ჩემთვის შედეგებზე მეტად ახლა ტესტირება უფრო მნიშვნელოვანია.

ბოულინგი

ეს ერთი და სხვა მრავალი

ანუ კიდევ ერთი მხურვალე შეხვედრა ბოულინგურად

წინასაახალწლო ფაციფუცი მინელდა და ახალმა წელმა ჩვეული რიტმით შემოაბიჯა. და მაინც, ტრადიციული მილოცვების ფონზე გართობა-დროსტარება კვლავინდებურად გრძელდება. სხვადასხვა სანახაობრივი წარმოდგენები თუ შოუ-პროგრამები სადღესასწაულო დღეებში კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება ხოლმე. ამ საზეიმო ფერხულს არც ბოულინგცენტრი ჩამორჩა და არაერთი ლამაზი წვეულება მოაწყო თავისი სტუმრებისთვის.

ძველი წლის გასაცილებლად და დამდეგი წლის ახლებურად შესახვედრად ოპტიკური მაღაზიების ქსელ "რონიკოს" წარმომადგნელები ბოულინგცენტრს ეწვივნენ და ჯანსაღ გარემოში ჯანსაღად გაერთნენ.

საღამო ჩვეულებისამებრ შეჯიბრებით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ რონიკოელთა შორის მრავლად იყვნენ პროფესიონალი მოთამაშეები, ასპარეზი მაინც უფრო სამოყვარულო დონეზე გაიმართა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სპორტული ჟინი მოყვარულმა ბოულერებმაც და პროფესიონალებმაც თანაბრად გამოავლინეს. მოგეხსენებათ, რაოდენ დემოკრატიული სპორტია ბოულინგი. თამაშის საოცარ პოპულარობას სწორედ ეს განსაზღვრავს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი რონიკოელი - დათო სულამანიძე საქართველოს პირველი ჩემპიონია ბოულინგში. ამიტომ მის კოლეგებს, ცოტა არ იყოს, აფრთხობდათ მასთან შერკინება, თუმცა, სახელოვან ბოულერთან გაჯიბრება თავისებურად აზარტულიცაა. ალბათ ამიტომ ბევრი მათგანი ცდილობდა, ტოლი არ დაედო მისთვის და მაღალი რეიტინგული მაჩვენებლით ეასპარეზა. ცხადია, ასეთი თავდადება გასაკვირი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ დასაჯილდოებლად მოასპარეზეთა შერჩევა სხვადასხვა ნომინაციების მიხედვითაც იყო გათვალისწინებული.

ბოულინგური გართობით მოხიბლული რონიკოელები ლამაზად გაწყობილ ფურშეტის სუფრასაც დიდი ოვაციით შეეგებნენ. არანაკლები ხალისი შემოიტანა საგანგებოდ მათთვის მოწყობილმა გასართობმა პროგრამამ, რომლის ორგანიზება უშუალოდ საღამოს ინიციატორმა ბატონმა როლანდ ჯავახიამ ითავა. მისი აზრით, მსგავსი შეხვედრები კოლექტივში ჯანსაღ დამოკიდებულებას კიდევ უფრო აღვივებს და კოლეგიალობის პრინციპს ავითარებს. სხვათა შორის, თავად როლანდი ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ბოულინგცენტრის ხშირი სტუმარია და ბოულინგის პროპაგანდასაც დიდად უწყობს ხელს. როგორც ჯი ემ სი ჯგუფის ერთ-ერთ პარტნიორს, არაერთხელ მიუღია სპონსორული მონაწილეობა კლუბის მასშტაბით გამართულ სპორტულ ღონისძიებებში პრიზების დასაწესებლად.

ჯი ემ სი ჯგუფმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და ბოულინგში გამარჯვებულთ "ნემიროვის" არყისა და "სანდორას" წვენების სასაჩუქრე ნაკრები უსახსოვრა. ასევე გათამაშდა მრავალი საჩუქარი რონიკოს მხრიდან, მათ შორის ფულადი პრემიები და ერთკვირიანი ფასიანი შვებულებები თანამშრომლებისთვის. მოკლედ, დროსტარებაც ასეთი უნდა - სასიამოვნო სიურპრიზებით და კარგი მოლხენით.

ვფიქრობთ, რონიკოელებს ბოულინგური აზარტით განცდილი წინასაახალწლო განწყობა მთელი წლის განმავლობაში თბილ მოსაგონრად ექნებათ.

ადრეც არაერთხელ გვითქვამს და ისევ დავსძენთ: ამგვარი საღამოები საზოგადოების მორალურ გაჯანსაღებას და დადებითი აურის შექმნას განაპირობებს. ფიზიკურ-ემოციური განტვირთვა კი ძალზე საჭიროა ჩვენი დღევანდელობისთვის. თქვენც გირჩევთ, გაატაროთ დრო ბოულინგურად და გარწმუნებთ, არ ინანებთ.

მოკლედ

აგასის სურს, ავსტრალიის ღია პირველობა მეხუთედ მოიგოს

Australian Open-ის ოთხგზის გამარჯვებული ამერიკელი ანდრე აგასი მიიჩნევს, რომ სპორტისთვის შეუფერებელი ასაკის მიუხედავად, მას შეუძლია, წარმატებით იასპარეზოს ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე და მეხუთედ მოიგოს ტურნირი. სააგენტო "როიტერის" თქმით, აგასიმ ეს სიტყვები ავსტრალიელ სკოტ დრეიპერთან საჩვენებელი მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა.

"უკვე 34 წლის ვარ. მალე 35 შემისრულდება და ყოველწლიურად სულ უფრო ძნელდება ძველი დონის შენარჩუნება. თუმცა, ამის მიუხედავად, ვაპირებ, არა მარტო მონაწილეობა მივიღო ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე, არამედ გამოვიყენო ჩემი წარმატების შანსი. ავსტრალიაში იმისთვის ჩამოვედი, რომ ყველა მატჩი მოვიგო, ესე იგი, ტურნირში გავიმარჯვო", - განაცხადა ანდრე აგასიმ. ცნობილია, რომ ამერიკელმა ჩოგბურთელმა ავსტრალიის ღია ჩემპიონატი 1995, 2000, 2001 და 2003 წლებში მოიგო.

ამასობაში გაირკვა, რომ ჰოფმანის თასის გათამაშებაში ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში საზარდულის ტრავმა მიიღო ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა და ამის გამო შეიძლება გამოტოვოს ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, რომელიც 17 იანვარს დაიწყება. "მწუხარებით უნდა ვთქვა, რომ მარკს სერიოზული ტრავმა აქვს, რის გამოც ტურნირს გამოეთიშა", - განაცხადა ჰოფმანის თასის ტურნირის დირექტორმა პაულ მაკნამემ.

პრესკონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართება, ფილიპუსისმა ტრავმის სირთულეზე უნდა ისაუბროს და საბოლოოდ თქვას, ითამაშებს თუ არა ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე.

ტაისონი რინგზე აღარ გამოვა

ლეგენდარული მძიმეწონოსნის, მსოფლიო ჩემპიონის მაიკ ტაისონის რინგზე გამოსვლის საკითხი უაღრესად ბუნდოვანია. არადა, "რკინის მაიკის" დაბრუნება 2005 წლის მარტში იყო დაგეგმილი. ახლა კი ტაისონის საქმე იმდენად არეულია, რომ ლეგენდარული მოკრივე შეიძლება საერთოდ დაემშვიდობოს რინგს.

მოკრივესთან დაახლოებული წყაროებისგან ცნობილი ხდება, რომ ექს-ჩემპიონს არათუ ვარჯიში არ დაუწყია, არამედ ახლახან მოშუშებული მუხლისთვისაც კი ჯეროვნად არ მიუხედავს. მუხლი კი მაიკმა დენი უილიამსთან ბრძოლისას დაიზიანა.

ბოლო დროს ტაისონმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას აპირებს. მისი მეგობრებიც ადასტურებენ: მიუხედავად იმისა, რომ ტაისონს მრავალმილიონიანი ვალი დაუგროვდა, გადაწყვეტილება ამჯერად სერიოზულია და ტაისონი კრივს ნამდვილად დაემშვიდობება.

ამას წინათ ტაისონს დეპრესიამ ახალი ძალით დარია ხელი. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში დიდმა ჩემპიონმა განაცხადა, რომ მთლიანად დაკარგა ცხოვრების გემო. "არ შეიძლება, სიკვდილი სიცოცხლეზე უარესი იყოს, - ამბობს სახელგანთქმული მოკრივე, - მაგრამ ვიდრე ცოცხალი ხარ, უნდა იცოცხლო. მე არ ვიცი, რას ვაკეთებ. უბრალოდ, ვცხოვრობ. უბრალოდ, დროს ვკლავ. ჩემი ცხოვრება საზიზღრობაა... როცა ჩემს ძველ სურათებს ვაკვირდები და ამის შემდეგ სარკეში ვიხედები, ვერ ვხვდები, ვინ არის ეს ადამიანი. ჩემს ცხოვრებაში დადგა დრო, როცა ვერ გამიგია, რა საჭიროა ეს ყველაფერი. მე არც ვჩხუბობ და არც ვვარჯიშობ. არც კი ვიცი, მინდა თუ არა კრივი საერთოდ. ხან მინდა, ხან არა. ვფიქრობ, რომ უფრო არ მინდა. უბრალოდ, ძალიან დავიღალე".

ეს ტაისონის პირველი დეპრესია არ არის. შარშან ზაფხულში მან უკვე განაცხადა, რომ ვერ იტანს საკუთარ თავს და სიკვდილი უნდა, რადგან სული წაიწყმიდა. "ვერ ვიტან ჩემს ახლანდელ ცხოვრებას. შეიძლება მომავალ ცხოვრებაში უფრო გამიმართლოს და უფრო მართალი ადამიანი ვიქნები, - განაცხადა მაშინ ტაისონმა. - სწორედ ამიტომ უკვე შემდგომ ცხოვრებაზე ვფიქრობ და მინდა, სხვა სამყაროში გადავიდე. მე მართლაც მეზიზღება საკუთარი თავი".

TV-სპორტი

პარასკევი. 7 იანვარი

НТВ+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ლეჩე"
13:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:20 "FUTBOL MUNDIAL"
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:35 იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "რომა"
18:20 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "რეალი". შესვენებისას (19:10) - თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "რეალი" - "რომა"
23:10 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" - "ბავარია"

НТВ+ПЛЮС
09:00 ჩოგბურთი. "Hopman Cup" ავსტრალიაში. აშშ - ავსტრალია
13:00, 21:15 პრესცენტრი
13:15, 21:30 "ქრონიკა"
13:30 ჩოგბურთი. ტურნირი ჩინეთში. ა. მორესმო - ს. უილიამსი. წყვილები. მატჩი მე-3 ადგილისთვის. მ. შარაპოვა - ე. დემენტიევა. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (15:00) - NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
17:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "MEMPHIS GRIZZLIES". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
19:45 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
20:30 სათხილამურო რბოლა. რუსეთის ჩემპიონატი. დღე პირველი
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 "გუნდი" - "ლადა"
22:10 "ჰოკეი-პლუს"
22:40 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
23:30 ტაილანდური კრივი
00:25 ახალი ამბები
00:40 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
01:10 01:10-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 ჩოგბურთი. "Hopman Cup" ავსტრალიაში. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
11:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი ავსტრიიდან
11:45 ფრისტაილი. მსოფლიო თასი საფრანგეთში
12:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
13:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
14:15 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. სპრინტი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
17:45 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ყატარაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:15 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
21:00 ფეხბურთი. "Efes Pilsen" თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ჩემპიონატი კანადაში
00:00 მულტისპორტი
00:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
01:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ფრისტაილი. მოტოკროსი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
02:30 ახალი ამბები
02:45 რალი. რალი-რეიდი, დაკარი

ტერორიზმის მრავალფეროვნება

ნაწილი პირველი

მარინა კვაჭაძე
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

"ტერორიზმი ამინდივით არის - ყველა მასზე საუბრობს, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ვერ ცვლის".
რ. ფრინდლერი

მსოფლიოში ტერორიზმის მომძლავრებამ, ტერორიზმის ხასიათის მრავალფეროვნებამ, ტაქტიკის შეცვლამ და მრავალრიცხოვან ტერორისტულ ჯგუფთა ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ადაპტაციამ, აქტუალური გახადა სახელმწიფოს ანტიტერორისტული საქმიანობის განხილვა. მრვალფეროვანი გახდა ტერორიზმთან ბრძოლის ტაქტიკაც. წარმოდგენილი პუბლიკაციის მიზანია ტერორიზმის მრავალსახეობისა და მასთან ბრძოლის პრობლემების წარმოჩენა. სტატიაში მოყვანილია რამდენიმე ფრაგმენტი გამოკვლევიდან, რომელშიც შესწავლილია თანამედროვე ტერორიზმთან დაკავშირებით სახელმწიფოს, საზოგადოების, მასმედიის და სხვა სუბიექტების პოზიციები. ამჟამად წარმოგიდგენთ ტერორიზმთან სახელმწიფოს ბრძოლის ზოგიერთ ასპექტს.

სახელმწიფო ამა თუ იმ ანტიტერორისტული ღონისძიების არჩევისას ითვალისწინებს არა მარტო სხვა ქვეყნების გამოცდილებას, არამედ საკუთარი ქვეყნის თავისებურებას, საზოგადოების განწყობას, ტერორიზმის წარმოშობის მიზეზებს, მათი აღმოფხვრის გზებს და სხვა მრავალ ფაქტორს. ეს ყოველივე კი სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების ტერორიზმიდან ეფექტურად დაცვის საწინდარია. ამ მიმართულებით სახელმწიფოს ამოცანაა, აღკვეთოს ტერორისტული აქტები, შეძლებისდაგვარად გაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები და არ შემოიფარგლოს ტერაქტებისა და მსხვერპლთა რაოდენობას კონსტატაციით.

ტერორიზმთან ბრძოლის უცხოური გამოცდილება განსაკუთრებით ყურადსაღებია საქართველოსთვის. უკანასკნელ პერიოდში პოსტსაბჭოურ სივრცეში მიმდინარე არაორდინარულმა მოვლენებმა გარკვეული სიძნელეები წარმოშვა მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებაში. ამ სიტუაციაში განსაკუთრებით დაზარალდა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი, რომელიც რუსეთის ზეგავლენის ქვეშ დარჩა. აქ მიმდინარე რუსეთ-ჩეჩნეთის საომარმა მოქმედებებმა, ტერორიზმის გავრცელება გამოიწვია. ეს რეგიონი ტერორისტული აქტების სიმრავლით და მისი გავრცელების მასშტაბურობით ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაზარალებული რეგიონი გახდა და საერთაშორისო ანტიტერორისტული მოძრაობის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ბუნებრივია, ყოველივე ამან თავის მხრივ ტერორიზმის ესკალაციის საშიშროება შექმნა მეზობელ, ჩრდილო კავკასიასთან გეოგრაფიულად ახლო მდგომ ამიერკავკასიის სახელმწიფოებში - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

რუსეთთან მიმართებაში განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეხედულებები ქმნიან ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან ტერორიზმის გავრცელების ზოგიერთ წინაპირობას. ამ რეგიონის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, სამი სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკის ჩამოყალიბებამ, ევროკავშირში გაწევრიანების სურვილმა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მისწრაფებამ და აშშ-ს მიერ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მიმდინარეობამ, ასევე რუსეთ-საქართველოს შორის არასტაბილურმა ურთიერთობებმა, აზერბაიჯანის პროამერიკულმა და პროდასავლურმა ორიენტაციამ, სომხეთის პრორუსულმა პოლიტიკამ, და რაც მნიშვნელოვანია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების პრობლემამ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი პირველმნიშვნელოვანი გახადა. აქედან გამომდინარე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის უსაფრთხოების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ მილსადენის გაყვანაში სხვადასხვა ქვეყნების მონაწილეობის წვლილს და წილს, ნათელი ხდება, რომ ნავთობსადენის უსაფრთხოების საკითხი სცილდება მხოლოდ ერთი ან ორი ქვეყნის ინტერესებს და რეგიონულ პრობლემასაც, მას უფრო დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ამ რეგიონში დაგროვილმა სხვადასხვა სახის პრობლემებმა და სხვადასხვა ქვეყნების ინტერესთა გადაკვეთამ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ ბოლო პერიოდში და საერთაშორისო ტერორისტების ყურადღება მიიპყრო. საერთაშორისო ტერორიზმის ცეცხლმა ამ ქვეყნებშიც შემოაღწია.

ტერორიზმის ისტორია სეკარიების სექტის ტერორისტული აქტებით დაიწყო და დღემდე გრძელდება. დანით, ხანჯლით და თვითნაკეთი ბომბებით შეიარაღებული ტერორისტები დღეს თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევებით არიან აღჭურვილი. ტერორიზმის ტრანსნაციონალურმა ხასიათმა და მისი მასშტაბების ზრდამ, სახელმწიფოები აიძულა, ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო სისტემის შესაქმნელად კონსოლიდაცია მოეხდინათ თავიანთი ძალებისათვის. XXI საუკუნის ტერორიზმი უფრო მძლავრი, მობილური, სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა. მრავალრიცხოვანი ტერორისტული ჯგუფების პარალელურად მოქმედებენ დაქსაქსული მობილური პატარა ჯგუფები. თანამედროვე ტერორისტები გამოირჩევიან ინტელექტით, თანამედროვე ტექნიკის მიღწევების კარგი ცოდნით და ფლობით. მათ პარალელურად მოქმედებენ კარგად შეიარაღებული, მრავალრიცხოვანი, გასამხედროებული ტერორისტული ჯგუფები (ირა, ეტა, პალესტინის განთავისუფლების არმია და სხვა), რომლებიც თავის მაგალითზე ცდილობენ, გაზარდონ ახალი თაობა. ტერორიზმის მოქმედების არე და მასშტაბები გაფართოვდა, ის ინტერნაციონალური გახდა.

უხსოვარი დროიდან

ტერორი უხსოვარი დროიდანაა ცნობილი და უკიდურესად რადიკალური, განსაკუთრებული საშიში ექსტრემიზმის სოციალურ-პოლიტიკური ფორმით გვევლინება. მას სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ჯგუფი საკუთარი პოლიტიკური ინტერესების მისაღწევად მიმართავდა. ტერორი იყო მათი მთავარი იარაღი სამეფო გადატრიალებების, მონარქთა და მათთვის არასასურველი პირების მკვლელობების დროს. ტერორიზმის ორგანიზებული განვითარება XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მძლავრი ტერორისტული ჯგუფების გამოჩენას უკავშირდება, მათგან თავისი განსაკუთრებული აქტიურობით რუსი ანარქისტები გამოირჩეოდნენ. ამიტომ თანამედროვე ტერორიზმის ფუძემდებლად რუს ტერორისტებს მიიჩნევენ. ტერორიზმმა თავისი დანაშაულებრივად განვითარების პიკს XX საუკუნეში მიაღწია. ეს საუკუნე სხვა მხრივაც არის გამორჩეული. იგი ორი მეტად დიდი სისხლისმღვრელი ომით აღინიშნა, რაც ჩვენი აზრით, საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ კაცობრიობას საჭირო დასკვნები გამოეტანა ომებისა და სისხლისღვრის საწინააღმდეგოდ და მთელი თავისი ძალისხმევა ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ მიემართა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პირიქით, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კაცობრიობისთვის ომზე არანაკლებ საშიშმა მოვლენამ - ტერორიზმმა იჩინა თავი. თანამედროვე ტერორისტები დღეს პრიმიტიული, თვითნაკეთი იარაღების ნაცვლად, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების შედეგად შექმნილი იარაღებით შეიარაღებულები უფრო კვალიფიციურად ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს.

ყოველივე ამას ამტკიცებს აშშ-ში ალ-ქაიდას მიერ 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტები, რომლებსაც განხორციელების სირთულით, მასშტაბურობით, დაღუპულ მსხვერპლთა რაოდენობით და დამანგრეველი შედეგით პრეცედენტი არა აქვს.

სწორედ ამ დღიდან იწყება ტერორიზმთან ბრძოლის ახალი ერა, რადგანაც თანამედროვე ტერორიზმის გლობარულმა ხასიათმა და ახალი მეთოდებისა და ტაქტიკური სქემებისა და საშუალებების ფართო გამოყენებამ სერიოზული კორექტივების შეტანა მოითხოვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონცეფციისა და მისი განხორციელების ცალკეულ ღონისძიებებში.

ტერორიზმს, როგორც სოციალურ მოვლენას, უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე მის სამართლებრივ ასახვას. ისტორიამ საკმარისად შემოგვინახა ცნობები მისი წარმოშობის, დანაშაულად ჩამოყალიბებისა და გავრცელების შესახებ, მაგრამ სრული ისტორიული ექსკურსის ჩატარება შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ჩვენ შევეხებით ამ დანაშაულის ცალკეულ მომენტებს და კონკრეტულ მონაცემებს.

ესპანეთი გლოვობს

ნიუ იორკი 11. 09. 2001.

სარკინიგზო ტერაქტი ესპანეთში.

ტერაქტის შედეგის ლიკვიდაცია ნიუ იორკში.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ტერორიზმს, როგორც ომის წარმოების ლეგიტიმურ საშუალებას უარყოფდნენ. თანამედროვე პერმანენტულმა ტერორისტულმა აქტებმა კი ცხადყვეს, რომ ომის თანამედროვე ფორმას, თანაც უფრო ეფექტურს და რეზულტატურს სწორედ ტერორიზმი წარმოადგენს. მაშინ როდესაც, სამხედრო აქციები ხშირ შემთხვევაში არც ისე ეფექტურია, სამხედრო ოპერაციებს ენაცვლება მობილური, მცირერიცხოვანი, კარგად გაწვრთნილი ტერორისტული ჯგუფების მოქმედებები და მათ გაცილებით მეტი დამანგრეველი შედეგი მოაქვთ. ამის მაგალითს თუნდაც დღევანდელ ერაყში მიმდინარე სიტუაცია წარმოადგენს, სადაც ტერორისტული აქტების შედეგად მსხვერპლთა რიცხვი ბევრად მეტია, ვიდრე საომარ მოქმედებებში დაჭრილთა და დაღუპულთა რიცხვი, ამასთან მსხვერპლი მხოლოდ სამხედროები არ არიან, მათ რიცხვს უცხოელი ჟურნალისტები და საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ავსებენ. ამით ტერორისტები ახდენენ საერთაშორისო ინციდენტების პროვოცირებას, მოწინააღმდეგე მხარეში შიშის დათესვას, რომლის შედეგადაც სახელმწიფო გამოყოფს თავის დასაცავად დიდძალ რესურსებს, რაც ხშირად სოციალური პროგრამების ხარჯზე ხდება, და მოსახლეობის გულისწყრომას იწვევს, ტერორისტთა მიზანი მოწინააღმდეგის მორალური სულის გატეხვა, საზოგადოებაში შიშისა და პანიკის დათესვაა.

XX საუკუნის ისტორიიდან არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც სახელმწიფოები მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) საბრძოლველად დაქირავებულ ტერორისტული ჯგუფებს იყენებდნენ ან თვით შექმნეს და აღჭურვეს ასეთები. ტერორისტული ომი უფრო ნაკლებ თანხებს მოითხოვს, ვიდრე ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები, და ეს კარგად ესმით თვით ტერორისტებს და მათ სპონსორებს.

ტერორიზმის წარმოქმნის საფუძველს წარმოადგენს არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტური საფუძვლები: ამასთან, ობიექტური ფაქტორი მართალია, გადამწყვეტია, მაგრამ არა ერთადერთი და საკმარისი. ტერორიზმის წარმოშობის ერთიდაიგივე ფაქტორები ბევრ ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ტერორიზმი ყველგან არ იკიდებს ფეხს. აქედან გამომდინარე, ობიექტური ფაქტორების პარალელურად არსებობს აგრეთვე სუბიექტური ფაქტორებიც: ტერორიზმისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, ქვეყნებში უნდა გაჩნდნენ გარკვეული ტიპის პიროვნებები, ჩამოყალიბდეს გარკვეული, ძალადობაზე დაფუძნებული შემეცნება, რომელიც პოლიტიკურ ძალადობასა და ფანატიზმზე აღმოცენდება. ტერორისტები თავს იმართლებენ, რომ იცავენ ხალხის ინტერესებს სხვა ადამიანთა მსხვერპლად შწირვის ფასად.

აშშ-ში 11 სექტემბრის მომხდარმა მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა ტერორიზმთან ბრძოლის ახალ სტილს, ტერორიზმის ძველი მეთოდებისა და საშუალებების გადასინჯვას შედეგად მოჰყვა არა მარტო უკვე არსებული მეთოდების კორექტირება, არამედ ტერორიზმთან ბრძოლის ახალი კონცეფციის ჩამოყალიბება. 11 სექტემბრის შემდეგ საერთაშორისო სამართალის თეორია და პრაქტიკა მკვეთრად იცვლის პოზიციას და ერთხმად აღიარებს საერთაშორისო ტერორიზმს, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირები, რომლებიც ეჭვმიტანილი იქნებიან საერთაშორისო ტერორისტული აქტების მოწყობაში, წარდგებიან საერთაშორისო იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინაშე. ის სახელმწიფოები, რომლებიც, თავშესაფარს აძლევენ საერთაშორისო ტერორისტებს, აძლევენ უფლებას იქონიონ იქ სასწავლო ბაზები და სხვა ინფრასტრუქტურა, შეიძლება გახდნენ სამხედრო ოპერაციების ობიექტი დაზარალებული სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან. ამის ნათელი მაგალითია, 2001 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, აშშ-ის და ანტიტერორისტულ ალიანსში შემავალი ქვეყნების მიერ ტერორისტული ბანაკების განადგურება, ასევე ავღანეთის უკანონო რეჟიმის - თალიბების შეიარაღებული ძალების განადგურება, რასაც ქვეყანაში ახალი, დემოკრატიული რეჟიმის დამყარება მოჰყვა.

გაეროს 2001 წლის 1373 რეზოლუციის თანახმად, საერთაშორისო ტერორიზმი, რომელსაც მოჰყვება უდანაშაულო ადამიანების მასობრივი განადგურება და უმძიმესი მატერიალური ზარალი, განიხილება, როგორც ქმედება, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და შეადგენს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

XXI საუკუნემ საკმაოდ საინტერესო სიტუაცია წარმოშვა. ტერორიზმის გააქტიურებასთან ერთად პროპორციულად შეიცვალა სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, და საერთოდ საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა ტერორიზმის (როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმის) მიმართ. ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში მსოფლიო გაერთიანდა. დღეს ამ ბრძოლაში ის სახელმწიფოები გამოდიან პარტნიორებად, რომელთაც გუშინ, პოლიტიკური თუ სხვა მიზეზების გამო, მათი ერთ კოალიციაში მოაზრება წარმოუდგენელი იქნებოდა.

ჯერ კიდევ ერთა ლიგაში წევრი-სახელმწიფოები ცდილობდნენ შეემუშავებინათ ტერორიზმის ერთიანი განსაზღვრება, რაც დღემდე შეუძლებელი გახდა. თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ტერორისტულ აქტებად, მხოლოდ 2004 წლის 8 ოქტომბერს განისაზღვრა. გაეროს უშიშროების საბჭომ შეძლო გარკვეული ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიეღო ტერორიზმის ერთიანი განსაზღვრება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსაზღვრებაც საკმაოდ სადავოა და მიღებისთანავე პოლემიკის საგანი გახდა. საგაზეთო სტატიის ფორმატი საშუალებას არ იძლევა, განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ტერორიზმის განსაზღვრების პრობლემა.

აქვე უნდა განვსაზღვროთ, რომ ტერორიზმის განხილვისას აუცილებელია შინაარსით მასთან ახლო მდგომი, მაგრამ თავისი მნიშვნელობით განსხვავებული ცნებების - ტერორის და ტერორისტული აქტის დამახასიათებელი თვისებების განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ დღემდე ვერ შეიმუშავა ტერორიზმის ერთიანი განსაზღვერება, ყოველი ქვეყანა ცდილობს თავისებურად ახსნას და ეროვნულ კანონმდებლობაში თავისებური განსაზღვრება მისცეს, ან ჩამოთვალოს ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ტერორიზმს (ამ განსაზღვრებაში ასახვას პოვებს ქვეყნის ტრადიცია, ტერორიზმთან ბრძოლის გამოცდილება, ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებები, სამართლებრივი სისტემა და სხვა ფაქტორები).

როგორც ვხედავთ, ტეროლოგიაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას "ტერორიზმის" კონცეპტუალური განსაზღვრების შემუშავება წარმოადგენს, რაც კარგად წარმოჩინდა დასავლეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებისა თუ სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავების მაგალითზე.

ტერორიზმთან (იქნება ეს შიდასახელმწიფოებროივი თუ საერთაშორისო ტერორიზმი) ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს ბრძოლა ამ დანაშაულთან უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: ტერორიზმთან ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას; ამ სფეროში კანონმდებლობის სრულყოფას; ტერორიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებული სპეციალური კანონმდებლობის შემუშავებას; სისხლის სამართლის კოდექსში ტერორიზმის ერთიანი დეფინიციის შეტანას ან იმ ქმედებათა ჩამოთვლას, რომლებიც სახელმწიფოს მიაჩნია ტერორისტულ აქტებად; ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში შეტანას; ტერორისტული აქტების დანაშაულებზე მკაცრი სანქციების შემოღებას. ტერორიზმთან ბრძოლისათვის პროფესიონალი კადრების მომზადებას; სპეცსამსახურების სპეციალური დანაყოფების ჩამოყალიბებასა და მომზადებას; სპეციალური სამხედრო თუ საპოლიციო ძალების მომზადებას; ტერორისტებთან პროფესიონალ მომლაპარაკებელთა მომზადებას; მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას და სხვა; ტერორიზმთან მებრძოლი ორგანოების სისტემატურ ურთიერთობას მასმედიასთან; მასმედიისა და აღნიშნული ორგანოების ისეთ ურთიერთქმედებას, როდესაც დაცულია სიტყვის თავისუფლება; საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ორშაბათი 10.1

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ბოინგი 747" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ფორტ ბოიარდი **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ნახევარკაცა" (18) (იერონ კრაბე) **02.50** პატრული

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ტროას საიდუმლო" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმები "კლიფორდი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - ლეხ ვალენსა **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ - "სუპერმენიდან სპაიდერმენამდე" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "სუპერმასიური შავი ხვრელები **23.00** პროფესიონალი **23.30** ქართ. ფილმი "ჩემი ძვირფასი სანატრელი ბაბუ" **01.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინნ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "მუსიკა მზეზე" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინნ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** გიორგი კალანდია "გელინო 1" **23.45** მხ. ფილმი "შურისძიება" (გ) (ტერენს ჰილი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. ფილმი "სტამბული" **21.20** კონცერტი **22.25** კინოსეანსი "მოლანდება"

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.05** მხ. ფილმი "თავდასხმა" (ს. სიგალი) **12.15, 02.30** იმედის მელოდიები **12.40, 17.25, 02.00** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.50** ქრონიკა **15.20** მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი" (გ) **17.10** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია" 1-ლი ს. **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "ათენი-2004" **00.25** სპ. პროგრამა "გოლი" **00.55** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 მუსიკა **09.20** სათავ. ფილმი "დიდი რბოლა" **10.50** დოკ. ფილმი **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** ისტორიული ფილმი "ანა და მეფე" **14.10** მუსიკა **14.45** ბოევიკი "მოუხელთებელი" **16.05** მულიფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "სიყვარულით ლილია" **21.00** ბოევიკი "15 წუთი" **23.00** "სტარტი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "ეპიდემია"

ქვეკავშირი

13.00 ტუწ-ემ **14.00** ინდ. მხ. ფილმი "მითხარი რომ გიყვარვარ" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მაქსიმალური ექსტრემი" **00.30** ტუწ-ემ

1 OPT

"OPT-Თბილისი" ტრანსლირუეთ პროგრამა პერედაჩ ნა 1 ჩას პოზჟე ოსნოვნოგო პერვოგო კანალა. **06.00, 10.00, 12.00** Новости. **06.10** Мультсериал "Кошки-мышки". **06.40** Фильм-сказка **"СНЕЖНАЯ КОРОЛЕВА"**. 2-я часть. **08.20** Служу Отчизне! **08.50** Дисней-клуб: "Команда Гуффи". **09.10** "В мире животных" **10.10** "Непутевые заметки" **10.30** Пока все дома. **11.10** Тайны века. "Проклятие Брюса Ли". **12.10** Живая природа. Наследники короля Льва в фильме "Прайд". **14.00** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **14.30** "КВН-2004". Высшая лига. Финал. **16.40** Мег Райан в комедии **"КЕЙТ И ЛЕО"**. **19.00** Николай Караченцов в комедии **"КОЛХОЗ ИНТЕРТЕЙНМЕНТ"** **21.00** Время. **21.30** Стивен Спилберг в фильме **"ИСКУССТВЕННЫЙ РАЗУМ"** **00.10** Дмитрий Хворостовский в программе "Новогодний фейерверк". **01.30** Суперчеловек. "Мужчина и женщина". Фильм 4-й. **02.35** Джейсон Гедрик в боевике **"ПОВЕРЖЕННЫЙ ЧЕМПИОН"** **04.10** Майкл Лэндес в боевике **"МАКС НАЙТ - СУПЕРШПИОН"**.

НТВ

05.50 Мультфильмы "Веселая карусель", "Двенадцать месяцев". **06.55** Худ. фильм **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ТОМА СОЙЕРА И ГЕКЛЬБЕРРИ ФИННА"**. 3-я с. **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Детское утро на НТВ. "Сказки Баженова". Новогодний выпуск. **08.40** Их нравы. **09.20** Едим дома. **10.15** "Михаил Лермонтов. Последний круиз". **11.10** Олег Табаков в комедии **"ПРЕЗИДЕНТ И ЕГО ВНУЧКА"** **13.20** Мэдолин Смит в сериале **"ЕСЛИ НАСТУПИТ ЗАВТРА"**. **20.35** Голди Хоун и Курт Рассел в комедии **"ЗА БОРТОМ"**. **22.45** Жан-Клод Ван Дамм в боевике **"КОЛОНИЯ"**. **00.25** Роберт Де Ниро в комедии **"МЫ НЕ АНГЕЛЫ"**. **02.15** Альфред Молина в сериале **"БРЭМ И ЭЛИС"**. **02.40** Алессандро Гассман в комедии **"ДАВАЙТЕ ОТДЫХАТЬ"** **04.30** Тони Ленг в комедии **"КИТАЙСКАЯ ОДИССЕЯ"**.

სამშაბათი 11.1

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ფორტ ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წითელი დრაკონი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "ჩაპლინი" (12) (რობერტ დაუნი-უმცროსი) **02.50** პატრული

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "გრანდიოზული გაქცევები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმები "კლიფორდი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.30** მხედრობა **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "ბაჯამა" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "სუპერმასიური შავი ხვრელები **23.00** პროფესიონალი **23.30** ქართ. ფილმი "ჩემი ძვირფასი სანატრელი ბაბუ" **01.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინნ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინნ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** გიორგი კალანდია "გელინო 2" **23.45** მხ. ფილმი "თუნუქის დოლი" (12)

მეორე არხი

19.00 სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. ფილმი "რიგა" **21.30** კონცერტი **22.10** კინოსეანსი "ბერიკაცები"

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია" **12.20, 14.30, 17.10, 04.10** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ბურატინოს თავგადასავალი" 1-ლი ს. **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **23.40** მხ. ფილიმ "ესპანური სასტუმრო" (15) (ო. ტოტუ) **01.40** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.35** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

აჭარა

09.00 საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "ინსპექტორი გაჯეტი 2" **10.50** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** "სტარტი" **12.10** მხ. ფილმი "მე იქ ვიქნები" **13.50** დოკ. ფილმი **14.45** კომედია "თავდავიწყებული სიყვარული" **16.15** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** ბოევიკი "ვირტუოზი" **21.00** დრამა "კარლიტოს გზა" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "სილვია"

ქვეკავშირი

12.00 ტუწ-ემ **14.00** მხ. ფილმი "მაქსიმალური ექსტრემი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "შიშის სახლი" (გ) **00.30** ტუწ-ემ

1 OPT

КАНАЛ "ОРТ-ТБИЛИСИ" ТРАНСЛИРУЕТ ПРОГРАММУ ПЕРЕДАЧ НА 1 ЧАС ПОЗЖЕ ОСНОВНОГО ПЕРВОГО КАНАЛА. 06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Николай Караченцов в фильме **"КОЛХОЗ ИНТЕРТЕЙНМЕНТ"**. **11.20** "Шутка за шуткой". **12.20** Георгий Тараторкин в фильме **"ПОБЕДИТЕЛЬ"**. **14.10** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валерий Николаев в многосерийном фильме **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ"**. **17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** Док. фильм "Встань и иди: семь лет одиночества". **19.00** Сериал **"КЛОН"**. **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **21.00** Время. **21.30** Джулия Робертс в комедии **"ЛЮБИМЦЫ АМЕРИКИ"** **23.30** Эрик Робертс в боевике **"РАСКАЛЕННОЕ РОЖДЕСТВО"**. Рождество - один из самых любимых праздников для миллионов людей. Его ждут, к нему готовятся, загадывают желания. У чикагского полицейского Корнелиуса Моргана в канун праздника не было ни желаний, ни надежд. Полицейский департамент изъял у него значок, а преступники отняли любимую жену. Жизнь потеряла смысл. И только страстная жажда мести не дает опустить руки. К тому же в Рождество принято дарить подарки: это традиция. Морган решает ее не нарушать и преподнести небольшой, но памятный сувенир Джимми Скальцетти, главарю банды, повинной в смерти его жены. **01.10** Ричард Харрис в боевике **"СМЕРТЬ СРЕДИ АЙСБЕРГОВ"**. **02.40** Гэри Бьюзи в боевике **"ПУЛЕНЕПРОБИВАЕМЫЙ"**. **04..20** Док. фильм "Дело "Аполлон": были ли американцы на Луне?". **05.05** "Подводный мир Андрея Макаревича".

НТВ

06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Премьера. "Анатомия преступлений". **10.55** Комедия **"ЗА БОРТОМ"**. **13.35** Комедия **"МЫ НЕ АНГЕЛЫ"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Комедийный сериал **"ОТРАЖЕНИЯ"**. **18.00** Игры разума. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Игорь Костолевский в детективном сериале **"УСАДЬБА"**. **20.45** Инна Чурикова в остросюжетном сериале **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА"**. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Юрий Стоянов в сериале **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ"** **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.20** Пьер Ришар в комедии **"РАССЕЯННЫЙ"**. **01.45** Особо опасен! **02.20** Сериал **"БРЭМ И ЭЛИС"**. **03.05** Коллекция Национального географического общества. "В поисках ягуара". **04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Сериал **"ОПЕРАТИВНИК"**. **05.35** Чрезвычайное происшествие.

ოთხშაბათი 12.1

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "მიაღწიე წარმატებას" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "თვითნებური გაქცევა" (18) (ჟან-კლოდ ვან დამი) **02.15** პატრული

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "სუპერმასიური შავი ხვრელები **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმები "კლიფორდი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.30** რაციო - დათო სიხარულიძე **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ - "სუპერმენიდან სპაიდერმენამდე" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **23.00** ახალი პროექტი **23.30** მხ. ფილმი "გენერალი" (12) **01.15** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინნ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "მუსიკა მზეზე" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინნ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "პატრიოტთა თამაშები" - ვასილ მუავანაძე. პატრიარქის შემოდგომა" **00.00** მხ. ფილმი "თავსატეხი" (15) (მაიკლ ბინი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. ფილმი "ლისაბონი" **21.30** კონცერტი **22.40** კინოსეანსი "ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან"

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია" **12.15, 14.35, 17.10, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.35** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ბურატინოს თავგადასავალი" მე-2ს. **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.25** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "უცნობი საქართველო" **23.45** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი სული" **01.30** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავ. ფილმი "ჯაშუშთა შვილები 2" **11.00** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 18.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** ისტ. ფილმი "სირანო დე ბერჟერაკი" **14.00** მუსიკა **14.45** კომედია "ჟანდარმი და უცხოპლანეტელი" **16.10** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.50** მხ. ფილმი "შემოდგომის მარათონი" **21.00** ბოევიკი "გატაცება 60 წამში" **23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "ზღვა"

ქვეკავშირი

12.00 მხ. ფილმი "შიშის სახლი" (გ) **14.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "ვულკანური დარტყმა" (გ) **00.30** ტუწ-ემ

1 OPT

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Жан Маре в сериале **"ГРАФ МОНТЕ-КРИСТО"**. 1-я с. **10.30** Сериал **"КЛОН"**. **11.30** Смехопанорама Евгения Петросяна. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.20** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валерий Николаев в многосерийном фильме **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ"**. **17.00** "Пять вечеров". Среда. **18.20** "Анекдоты". **19.00** Сериал **"КЛОН"**. **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **21.00** Время. **21.30** Леонардо Ди Каприо в приключенческом фильме **"ПЛЯЖ"** **23.40** Настасья Кински в боевике **"МАКСИМАЛЬНОЕ УСКОРЕНИЕ"**. Странная интрига заплетается вокруг отважного инструктора по прыжкам с парашютом Ричарда Броди. Его обвиняют в гибели некоей Крис, у которой во время прыжка не раскрылся парашют. Через некоторое время он выясняет, что Крис жива, а сам Броди оказывается в центре шпионских страстей, так как девушка странным образом связана с КГБ. **01.30** Роберт Редфорд в триллере **"ТРИ ДНЯ КОНДОРА"**. **03.50** Джейсон Гедрик в боевике **"ПОСЛЕДНИЙ ДОН"**. 1-я с.

НТВ

06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Анатомия преступлений. **10.50** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. **11.25** Программа Павла Лобкова "Растительная жизнь". **12.00** Сериал **"УСАДЬБА"**. **13.35** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА"**. **14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Комедийный сериал **"ОТРАЖЕНИЯ"**. **18.00** Игры разума. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **"УСАДЬБА"**. **20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА"**. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ"**. **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.20** Анн Парийо в фильме **"КРОВЬ НЕВИННЫХ"**. **02.20** Сериал **"БРЭМ И ЭЛИС"**. **03.00** Коллекция Национального географического общества. "Нападение таинственных акул". **04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Сериал **"ОПЕРАТИВНИК"**. **05.35** Чрезвычайное происшествие.

ხუთშაბათი 13.1

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ვინ არის კლეიტის სტოუნი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ტრასა 60" (12) (ჯეიმს მარედენი) **02.20** პატრული

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმები "კლიფორდი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - მაკარტნი, კიდმანი. **16.30** დოკ. ფილმი "გარეული ცხოველები გერმანიის ტერიტორიაზე" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" - ელექტრობა **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "კოლუმბიის უკანასკნელი აფრენა" **23.00** მედიატორი **23.30** მხ. ფილმი "ითამაშე ბეკ-ჰემივით" **01.30** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ფარული კამერა **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინნ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "მუსიკა მზეზე" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** "პატრიოტთა თამაშები" - უბილეთო მგზავრი. გია დანელია. **22.45** კუბური მუსიკის ყველა ვარსკვლავი **23.45** "ფანტომასი, ფანტომასი" **00.15** მხ. ფილმი "მდიდარი რომ ვიყო" (გ) (ვალერია ბრენი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** კონცერტი **20.55** სპექტაკლი "ძველი ვოდევილები" **22.40** კონცერტი

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია" **12.15, 17.10, 04.35** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 04.05** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი სული" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** "მთვარიანი ველის სერენადა" **23.45** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **00.20** "იმედის ქვეყნის მელოდიები" **01.20** მხ. ფილმი "აუტანელი სისასტიკე" **03.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავ. ფილმი "განძეულობა" **11.20** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 18.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** "ზღვარი" **12.10** კომედია "დიდი არდადეგები" **13.35** მუსიკა **14.45** ფანტასტიკა "ჩამოსვლა" **16.35** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** კომედია "ბლეფი" **21.00** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" 1 ს. **22.45** "ექსკლუზივი" **00.00** საახალწლო პროგრამა

ქვეკავშირი

12.00 მხ. ფილმი "ვულკანური დარტყმა" (გ) **14.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "არცთუ ისე სასაცილო" (გ) **00.30** ტუწ-ემ

1 OPT

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Жан Маре в сериале **"ГРАФ МОНТЕ-КРИСТО"**. 2-я с. **10.30** Сериал **"КЛОН"**. **11.30** "Кумиры". Людмила Семеняка. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.20** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валерий Николаев в многосерийном фильме **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ"**. **17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** Звезды эфира. "Голубой огонек". **19.00** Сериал **"КЛОН"**. **19.50** Старый Новый год на Первом. "Кривое зеркало". **21.00** Время. **21.30** Старый Новый год на Первом. "Кривое зеркало". **23.10** Старый Новый год на Первом. Лучшее. **01.00** Шарон Стоун, Изабель Аджани в фильме **"ДЬЯВОЛИЦЫ"**. История двух доведенных до отчаяния женщин и одного убийства, задуманного как возмездие и избавление. Но безукоризненный план в финале дал осечку. Разве могли предположить "несчастные убийцы", что жертва, убитая и затем утопленная ими, самым таинственным образом исчезнет из бассейна? Похоже, кто-то затевает с ними еще более жестокую игру... **02.50** Худ. фильм **"ПОСЛЕДНИЙ ДОН"**. 2-я с. **04.30** Док. фильм "Вера Мухина. Испытание".

НТВ

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Анатомия преступлений. **10.55** Кулинарный поединок. **12.00** Сериал **"УСАДЬБА"**. **13.35** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА"**. **14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Комедийный сериал **"ОТРАЖЕНИЯ"**. **18.00** Игры разума. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **"УСАДЬБА"**. **20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА"**. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **

ჯილდოვდება როკ-ენ-როლი

რა აერთიანებთ ჯენის ჯოპლინს, არტ ბლეიკსა და Led Zepellin-ს იმის გარდა, რომ ყოველი მათგანი უკვე ისტორიის კუთვნილებაა? ლეგენდარული "ზეპელინები" დაშლილია და მას შემდეგ, რაც მისი დრამერი გარდაიცვალა, ჯგუფის აღდგენის შანსი თითქმის არ არსებობს; რაც შეეხება დანარჩენ ორს - ისინი კარგა ხანია, აღარ არიან ამქვეყნად.

ამ სამი ლეგენდარული სახელის გამაერთიანებელი წლევანდელი "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალია. უფრო სწორად კი, "გრემის" ჯილდო შემოქმედებითი მიღწევებისა და მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში შეტანილი წვლილისთვის - Lifetime achievement award. სწორედ ამ ჯილდოს გადასცემენ "ზეპელინების" დარჩენილ წევრებს, ჯოპლინისა და ბლეიკის ახლობლებს 12 თებერვალს, ძირითადი ჯილდოების გადაცემამდე ერთი დღით ადრე.

რაც უფრო ახლოვდება "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალი, მით მეტი ინტენსიურობით ქვეყნდება წინასწარი მონაცემები ცერემონიალზე დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

"გრემი" ტრადიციულად წელსაც დააჯილდოებს ადამიანებს მუსიკაში გაწეული ღვაწლისთვის. აკადემიის განცხადებაში წერია: "ჯილდო ენიჭებათ მათ, ვინც სხვებისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენენ; ვინც ლეგენდარულ შემსრულებლად, კულტურის გამავრცელებლებად მიიჩნევიან". ნახევარ საუკუნეზე მეტია, ცერემონიალი ორ ნაწილად იყოფა. ერთში პროდიუსერებსა და მუსიკოსებს ულოცავენ წარმატებებს - წლის ალბომი, სიმღერა და ა.შ. მეორეში კი პატივს მიაგებენ მათ, ვინც მუსიკალურ კულტურაში წარუშლელი კვალი დატოვა.

წელს ასეთი პიროვნებების რაოდენობა ათია. ჯერი ლი ლუისი - რიტმ-ენდ-ბლუზის ლეგენდა, ცეცხლოვანი პიანისტი; ის თითქმის სამოცდაათი წლისაა და დღემდე გამოდის კერძო შეკრებებზე; კიდევ ერთი მოხუცი - ედი არნოლდი, ქანთრის შემსრულებელი. სამშობლოში ის 26-ჯერ გახდა ჩარტების ლიდერი და საერთო ჯამში ფირფიტების გაყიდვების ოცეულში გაცილებით მეტჯერ მოხვდა, ვიდრე ნებისმიერი მუსიკოსი მსოფლიოს მასშტაბით. არტ ბლეიკი - დრამერი და ჯგუფის ლიდერი, უბრალო ჯაზის შესრულებას აგრძელებდა 60-იანებშიც, როდესაც ეს სტილი ახალგაზრდებში სულაც აღარ იყო აქტუალური. ბევრის აზრით, სწორედ არტ ბლეიკის დამსახურებით მოაღწია ჯაზმა ჩვენს დრომდე თავისი მოწყენილი სახით. ჯენის ჯოპლინი - 60-იანების საუკეთესო მომღერალი ქალბატონი; ადამიანი, რომელიც საკუთარი თმით შემოსილი მღეროდა; გარდაცვალების მიზეზი - ნარკოტიკები. Led Zepellin - ამ ლეგენდაზე რაღა შეიძლება ითქვას... წლევანდელ "გრემიზე" ასევე პატივს მიაგებენ პიანისტ პაინტოპ პერკინსს, ქანთრის შემსრულებელ ოჯახს - Carter Family-ს და ჯაზ-პიანისტს ჯელი როლს.

ძალიან საინტერესოა, რით ხელმძღვანელობენ ხოლმე ამერიკელი აკადემიკოსები, როდესაც ამ ჯილდოს (შემოქმედებითი მიღწევებისა და მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში შეტანილი წვლილისთვის) ლაურეატებს არჩევენ. ისინი ხომ ყოველწლიურად გადასცემენ ჯილდოებს, ხოლო პატივსაცემი მუსიკოსების რაოდენობა ბევრად არ მცირდება. ცნობილია მხოლოდ ერთი პრინციპი: ორჯერ ამ ჯილდოს გადაცემა დაუშვებელია.

ბრიტანული მუსიკის გმირები

ბრიტანელმა მუსიკის ექსპერტებმა იმ 25 სიმღერის ჩამონათვალი გამოაქვეყნეს, რომელთაც ისინი 1977 წლიდან 2004 წლამდე დაწერილ საუკეთესო კომპოზიციებად მიიჩნევენ. ამ სიაში აღმოჩნდა სიმღერები დევიდ ბოუის, "ქოლდფლეის", "ოაზისის", "ქლეშის", The Streets-სა და სხვათა შესრულებით.

სიის შედგენის შემდეგ სიტყვა რადიო "ბი-ბი-სი 2"-ის მსმენელზეა. მსმენელებს შორის გამართული არჩევნების შედეგები 10 იანვრამდე უნდა გახდეს ცნობილი. ამავე დღეს გამოცხადდებიან Brit Awards-ის ნომინანტები. ცერემონიალი 20 თებერვალს გაიმართება.

არასასიამოვნო ცნობა U2-გან

U2-მ თაყვანისმცემლები გაანაწყენა. ჯგუფმა გადადო თავისი ტურნე, რომელიც ბოლო ალბომის How to Dismantle an Atomic Bomb-ის მხარდასაჭერად დაიგეგმა. პირველი კონცერტი გასტროლის ფარგლებში 1 მარტს მაიამიში უნდა გამართულიყო.

ჩანაფიქრის მიხედვით, ტურნეს ბილეთების გაყიდვა ამ კვირიდან უნდა დაწყებულიყო. გეგმების შეცვლის მიზეზად ოფიციალურად ჯგუფის წევრების "ოჯახურ პრობლემებს" ასახელებენ. თუმცა, ეს პრობლემები ხელს არ შეუშლის ჯგუფის საკონცერტო გამოსვლას "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალზე 13 თებერვალს ლოს ანჯელესში. სხვათა შორის, ჯგუფი წელს "გრემის" სამ ნომინაციაზეა წარდგენილი.

მოცარტის უცნობი პორტრეტი

ბერლინში მოცარტის უცნობი პორტრეტი აღმოაჩინეს. ტილო ზეთშია შესრულებული დაახლოებით 1790 წელს. იმ დროისათვის კომპოზიტორი უკანასკნელად იყო მიუნხენში. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სწორედ ესაა მოცარტის სიცოცხლისდროინდელი უკანასკნელი პორტრეტი. სურათი უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში გალერეაში ინახებოდა; ის, რომ ტილოზე სწორედ დიდი კომპოზიტორია გამოსახული, კომპიუტერმა დაადასტურა. სავარაუდოდ, პორტრეტს აუდიტორიას 27 იანვარს აჩვენებენ.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.